 რათა არა სასჯელსა დიდსა თანამდებ ვიქმნეთ, რამეთუ
 ყოველი, რომელი გლახაკთა ვაჩვენოთ,³⁰⁴ ქრისტესა [S85]

ვასკენებთ, ვითარცა თავადმან ბრძანა: „რაგდენი უყოთ
კლახაკთა, იგი მე მიყავით“ (მთ. 25.40). აწ უკვე შევიძინათ
თუ მოწყადება და სახიერება, ვითარცა სამოსელი ნათლისა
განუანათლნეთ სუელი ჩვენნი, და აქაცა კეთილად ესცხ-
ონდებოდეთ და მერმესა მას საუკუნესა მოუთხობელნი
იგი კეთილნი დავიძკვიდრნეთ, რომელთა ღირსმცავართ
ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთმოყვარებითა
უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება
და სიმტკიცე თანა მამით და სულთ ჴმდითურთ, აწ და
მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

[A94] სწავლა იბ

რათა არა ამპარტავან და ზუავ ვიყვნეთ

ქველისსაქმესა ზედა

მოვედით უკუე, მკვირედ ვსთქუათ მათდა მიმართ, რომელნი
მიდრეკილ არიან შედგომად ამპარტავნებისა და ზუაო-
ბისა ვნებისა. გარნა რომელთამე მიმართ უყო სიტყვა ჩემი
– რომელნი საფასეთა ზედა ზუაობენ, ანუ რომელნი სა-
მოსელთა, გინა მთავრობათა, გინა თუ მოძღვრებათა, ანუ
ძლიერებათა, ანუ თავხედობათა, [S86] ანუ რომელნი იგი
შემდგომად სიკუდილისა ზუაობენ, რამეთუ ესოდენ მრავალ-
ფერ არს ვნება ესე, ვიდრელა ამასცა იქმს. ამისთვის მრავალ-
გზის მესმის, ვითარმედ: იგი ვინმე მოკუდა და ესე რამმე,
ანუ იგი რამმე უსარგებლო განაწესა, რათა საქებულ და
სახელთვან იქმნასო. რომელთამე მიმართ უკუე ვყო სიტყ-
ვა, რამეთუ არა კმა-არს ერთი სიტყვა ყოველთა მიმართ.
გარნა მათდა მიმართ მივაქციო სიტყვა, რომელნი ქველის-
საქმესა ზედა, ანუ მარხუასა, ანუ ღოცვასა ზუაობენ,
რამეთუ უფროს ყოველთასა ესენი ცრემლთა ღირს-არიან,
რომელ შრომასა თავს-იდებენ და [A95] სასყიდელსა წარი-
წყმენდენ. გულისკმა-აჰყავ, კაცო, ვითარმედ დიდებასა მას
ღმრთისა მიერსა რავდენცა ეძიებდე, უმეტესად შეგიყვარებს
ღმერთი და მოგანიჭებს. ხოლო კაცთამიერსა რავდენცა
ეძიებდე, ღმრთისაცა საძულველ, იქმნები და კაცთაცა.

რამეთუ რასხათვის უკვე იქმ ვაჭრობასა ამას ხენეშსა. რომელ ღმერთსა მოუპყროეს მარჯვენე მოცემად სახეიდელოთა გამოუთქმელთა და შენ გარე-მოაქცევ მას და კაცთაგან ეძიებ სახეიდელსა. რომელი ყოვლადვე არარას მოგვცემენ? არა გეხმოს[S87]-ა ხიტყვა უფლისა, ვითარ იტყვის, ვითარმედ: „ყოველივე რომელიცა ვინ კაცთა სახეენებელად აქმნეს, წარუწყმდეს სახეიდელო თვისი?“ (მთ. 6.1) რამეთუ ყოველსავე ზედა საქმესა ზეათბა ბოროტ არს, ხოლო უფროს ყოვლისა – ქველისსაქმესა ზედა. ვითარ უკვე ვიხსნეთ თავნი ჩვენნი ამის ბოროტისა ვნებისაგან? უკეთუ მოვიგოთ გულისკმის-ყოფა, ვსცნათ, თუ ვინაჲ ვეძიებთ დიდუბასა. მითხარდა, საყვარელო, ვინ არს მოძღვარი და [A96] სჯ ულისმდებელი ქველისსაქმისა და სხუათა მათ სათნოუბათა? საცნაურ არს, ვითარმედ – ღმერთი, რომელმან წესი ესე დაგვიდვა და ყოველივე უცთომელად უწყის. ხოლო შენ, უკეთუ ასპარეზსა ისწავლიდე, ანუ რეინობასა, ანუ ფილოსოფოსობასა, ვისა წადიერ ხარ ჩვენებად ჭელმარჯვეობისა და გონიერებისა და სიმხნისა შენისა – მასწავლეულისა მის შენისა-ა,³⁰⁵ ანუ – ღვინისმოფარდულთა და მხლის მსყიდველთა და მეთევზეთა, რომელთაგან არცა ერთი გაქვს სარგებელი? და მე ვპვინებ, თუ მრავალთა მათ და უსწავლეულთა ერთა არცა ერთი გაქუნდეს ზრუნვად, არამედ მისა ხოლო ხედვედი, რომელი უფალ არს საქმისა მის შენისა. [S88] ვითარ უკვე არა დიდად ბოროტ³⁰⁶ არს და უგუნურება, რომელ სხუათა ჭელსოვნებათა შინა ყოველთავე მოძღვრისა მიმართ და გამნგებელისა გიპყრიან თუალნი, ხოლო აქა არა ესრეთ იქმ, არამედ დაუტეობ ღმერთსა და აჩვენებ კაცთა ამათა. არა უწყი-ა, რამეთუ³⁰⁷ ქველისსაქმითა ღმერთსა მიემსგავსები? [A97] აწ უკვე მიემსგავსე მას დაფარვითაცა ქველისსაქმისათა,³⁰⁸ რამეთუ თავადიცა პყურნებდა რა უძლურთა, ამცნებდა არავის თხრობად. რაჲ სარგებელ გეყოფის ქებისაგან კაცთასა? არარაჲ. ყოვლადვე უფროსად ზღვევა ფრიად არს, რამეთუ იგინი მებრ, რომელთა ეჩვენები, ავაზაკ იქმნებიან და განპყრეხვენ საუნჯეთა სასყ

იდღისა შენისათა, რომელნი დაუხეჯებულ არიან (კათა შინა. და რად³⁰ მათ ვიტყვი, უფროსდა ვთქვა, თუ ჩვენ თავით თვისით იავარ-უქყოფთ და განუაბნევთ საუხეჯეთა ჩვენთა, რომელნი მიცემად იყვნეს³¹ (კათა შინა. მ. უცხო ესე განსაცდელი, სადა-იგი მდიდრისა და მჭამელისა ვერ აენის. არცა მპარავთა წარიპარიან (კვლად მსუქაობრობაჲ მიერ წარიპარავს.³² ესე არს მდიდი მათ საუხეჯე[S89]თა, ესე მპარავი არს სიმდიდრისა მის სულთერისა, ესე ყოველსა სათხოუბასა ჩვენსა განძრევის და უწინა-კყოფს. რამეთუ იხილა რა ეშმაკისა, ვითარმედ საუხეჯე იგი ჩვენი მიუახლებელ არს ავაზაკთაგან და მდიდთა და სხვისა ყოველსავე საუხეჯე[A98]ლისაგან, მოიპოვა ღონე ესე – სუქობისა მიერ³² წარპარვად ყოველსავე ნაქონებისა ჩვენისა. რაისათვის სურვიელ ხარ, მ კაცო, დიდებისათვის კაცობრივისა და ქებისა, არა კმა-არს-ა შენდა ღმრთისა მიერი იგი საუკუნო დიდება? არა უწყია-ა, რამეთუ ქველისსაქმესა ფარულად ჯერ-არს აღსრულებად? „შევედ საუხეჯესა შენსათ და დაჯშ კარი შენი, – სთქვა უფალმან – და იდო(კე მამისა შენისა მიმართ ფარულად და მამა შენი, რომელი პხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ (კხადად“ (მთ. 6,6). და კუალად იტყვის: „რაუამს პყოფდუ ქველისსაქმეს, ნუ ს(კნობნ³³ მარ(კხენა შენი, რასა იქმოდის³⁴ მარჯუენა შენი. რათა იყოს ქველისსაქმე შენი ფარულად; და მამან შენმან, რომელი პხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ (კხადად“ (მთ. 6,3-4). აწ უკუე მ(კნებასა უფლისასა აღასრულებ, ესრეთ [S90] აღასრულე, ვითარცა მან ბრძანა, უკეთუ არა, (კუდ არს შრომა შენი. ამისთვის კვალად გეტყვი, ძმაო, იქმოდე რა ქველისსაქმესა, დაჯშ კარი შენი და მან ხოლო უწყოდენ, რომელსა მის(კემდე და უკეთუ შესაძლებელ არს, ნუმ(კა [A99] იგი ს(კნობს, რათა არა განაქიქოს³⁵ საიდუმლო შენი, და მაშინ ღმერთმან ქადაგოს სათხოება შენი.³⁶ და კაცობრივისა. ქუბასა თუ³⁷ ეძიებდე, სასყიდელი(კა დაგჭირდეს შრომათა შენთა და კაცთა(კა მანუენებელ და ამპარტავან გიწოდონ. აწ უკუე ყოველივე დაუტეოთ კაცობრივი გულისსიტყვა და

სამღათოსა მის დიდებისათვის სურვიელ-ვიქმნეთ, რათა
საუკუნეთა მათ კეთილთა მივეძიხვივნეთ მადლითა და
კაცთმოყვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა,
რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ,
აჲ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე ამინ.

[S91] სწავლა იგ

ნაყროვანთა მიმართ და ანგაჰრთა

ქვემდარიტად დიდად³¹⁸ საბრალდებელ არს, ოდეს შენ, კაცო,
თითოფერითა სანივაგითა განსძებოდე, ხოლო ქრისტესა
არცა თუ პურსა მისცემდე; ოდეს შენ მხმიდე ღვინოსა თა-
სურსა და მას არცა გრიღსა წყალსა [A100] ასმიდე; ოდეს
შენ სწვე³¹⁹ საგებელსა ზედა დიდფახისათა³²⁰ და მას დაუ-
ტეობდე ყინელთა³²¹ შინა განკვივებად. აჲ უკუე საცნაურ არს,
ვითარმედ ხადილობანი ეგე და სერობანი და ღვინისსმანი
და მთურალობანი, დადაცათუ შორს იყენენ სიძვისაგანცა
და ანგაჰრებისა, თავით თვისით მეზრ საენებელ არიან, რამეთუ
შენ იშვებ და გლახაკსა, რომელ არს ქრისტე, შეურაცხ-
პყოფ. ამისთვის ვეტყვი არა მათ, რომელნი მეძაყთ შემოიყ-
ვანებენ ტაბლად თვისად, რამეთუ არა არს ჩემი მათდა
მიმართ სიტყვა – ვითარ-იგი ძაღლთა მიმართ არა არს, არცა
მათდა მიმართ არს, რომელნი მტაცებელობით და ანგაჰარე-
ბით იშვებენ, რამეთუ იგინიცა ღორთა და მგელთა მიმს-
გავსებულ არიან, არამედ მათ ვეტყვი, რომელნი თვისითა
ნაქონებითა მამულთა იშოვებენ და განსცხრებიან, ვითარმედ
არცა იგინი თავისუფალ არიან სასჯელისაგან. აჲ უკუე
ისმინე ჩემი, მ კაცო, რომელ ესევითართა შე[S92]ებითა სცხ-
ონდები³²² ქვეყანასა ზედა: განიშორენ მემღერენი³²³ და მოჟ-
იცხარნი და მლაღობელნი ტაბ[A101]ლისაგან შენისა და
პყავ ქრისტე პურისმტედ და თანამეინახედ შენდა. უკეთუ
იყოს იგი მარადის პურისმტე შენი, სახიერ გექმნას, ოდეს
განგიკითხვიდე. ავაზაკნიცა სახიერ ექმნიან პურისმტეთა
თვისთა, რავდენ უფროს მეუფე იგი ტკბილი და ყოვლად-
სახიერი?! ნუ სიგლახაკესა მას განიცდი, რომელ-იგი³²⁴ სა-

მოსდითა ხენქმითა და დაბეჭკოდითა მოეადს ტაბლად
 შენდა, არამედ გულისკმა-ქყო, ვითარმედ მის ძლით ქრისტე
 გესტუმრობის და ხიხარულთ შეიწყნარე, ხოლო შემდგურ-
 ელთა და მსახიობელთა და მოკიცხართა³⁵ ყრთად განუ-
 შორე, რამეთუ არარად კეთილი მათგან მოგვეცეკვების, არამედ
 წარწემედა სულისა. უფროსდა, უკეთუ ძალ-გიც, ამცენ ესევო-
 თარისა მოქმედსა, რათა არღარა ესრეთ იქმოდენ, რამეთუ
 არცა ჰორციელად³⁶ სარგებელ ვისმე არიან, არცა სულო-
 ერად, არამედ ორკერძოვე მავნებელ და წარმწემედელ. ხოლო
 შენ, ძმაო, შეუდგე სიყვარულსა, სახიერებასა, მოწყალებასა,
 იქმოდე ქველისსაქმესა – თვისითაცა ჰელ[A102]ითა და
 სარწმუნოთაცა კაცთა შენთათა, მსახურებდ უძღურთა, შეი-
 წყნარენ უცხონი,³⁷ ჰელის-ადმკერობელ [S93] ექმენ ჰირვეულ-
 თა, მიავლინე საპერობილედ, ნუგეშინის-ეც მუნ მყოფთაცა,³⁸
 შეიყვანენ სახლად შენდა მონაზონნი, დაუგე ტაბლა, და-
 ბანენ ფერჰნი, ითხოვე მათგან ღოცვა.³⁹ ესრეთ თუ იქმოდე,
 საყვარელო, იქმნეს სახლი შენი ეკლესია⁴⁰ და არა სამგოს-
 ნო. ივლტოდეს მიერ ეშმაკი და ქრისტე გესტუმროს კრებუ-
 ლითურთ ანგელოსთად, რამეთუ სადაცა ქრისტე არს, მუნცა
 ანგელოსნი გარემოუდგან; სადაცა ქრისტე არს, მუნ ნათუ-
 ლი ბრწყინავს მიუანრდილებელი. აწ უკუე ქრისტე შევიწყ-
 ნართო გლახაკთა მიერ, ძმანო, ქრისტე ვისტუმროთ, ქრისტე
 შევიმოსოთ, ქრისტე იყავნ პურისმტე ჩუენი, რათა ღირს-მყენეს
 სასუფეველსა ცათასა მკვიდრ-ყოფად და ჰმა იგი კურთხე-
 ვისა გვასმიოს, რამეთუ მისი არს სუფევა და ძალი და დიდება
 თანა მამით და სულთ წმიდითურთ, აწ და მარადის და
 უკუენითი-უკუენისამდე. ამინ.

[A103] სწავლა იდ

ვეცხლისმოყვარეთა მიმართ⁴¹

აწ უკუე განიფრთხეეთ, კაცნო, და ნათელსა მას
 ჰე[S94]შმარიტსა მიხედენით, ხოლო ვითარ მიხედნეთ,
 უკეთუ არა აღიხილნეთ თუალნი? აწ უკუე ესრეთ იქმ-
 ნების ახილვა, უკეთუ პირველად გულისკმა-ქყოთ, თუ

ვითარ დაბრძლით.³² უწყოთ-ა, ვითარ დაბრძლით? ბიროტ-
 თა გულისთქმასთაგან, რამეთუ ვითარცა გუგასა თუელ-
 ისასა მიეფინის არმერი სიბნელისა, სისხლი რა თავით-
 გან შთაძისწვეთის, ეგრეთ მიეფინა³³ თუელთა ზედა სულ-
 თა თქვენთასა გულისთქმა იგი საფასეთა და სრულიად
 დააბნელა. არამედ აღვიდ არს არმერისა მის განქარვე-
 ბას, უკეთუ შეიწუნაროთ³⁴ ბრწყინვალება იგი ქრისტეს
 მოძღვრებისა, უკეთუ ეურად-იღოთ ბრძანება მისი, რასა
 იტყვის: „*ნუ იუნჯებთ თქვენ საუნჯეთა ქუეყანასა ზედა*“
 (მთ. 6.19). ესე მოძღვრება ეურად-იღეთ და ამათნი
 გულისთქმანი საფასეთანი, განიოტენით გულთაგან თქვენ-
 თა. გულისკმა-კეათ საცთური ანგაძარებისა³⁵ და
 სი[A104]მდიდრისა. რასათვის წადიერ ხარ მონებასა
 ბიროტისა მის ძძღავრებისასა, შეკერად თავისა თვისი-
 სა ჯელბორკილითა, რკინისა უფიცხებითა, და ყოფად
 მარადის ბნელსა შინა და თავსდებად შრომისა და ჭირ-
 ისა უსარგებლოდსა? რათა მოიგნე საფასენი და დაუ-
 მარხნე იგინი [S95] სხუათა და მრავალგზის – მტერთა
 და მოშურნეთა. ვინმცა გონიერძან დასდუა საუნჯე თეი-
 სი შორის მძარათა? უკეთუ გწადის დამარხვა საუნჯე-
 თა,³⁶ მუნ დამარხენ, სადა-იგი შესაძლებელ არს წარუ-
 პარველად დამარხვად. ხოლო ვითარ-ეგე აწ იქმ, არა
 სიმდიდრე გიყვარს, არამედ მონება და ჭირი და სიგლახ-
 აკე. მითხარდა, უკეთუმცა ვინ გინუენა აღვილი სრულიად
 უშიში, არამცა მუნ დასხენ-ა³⁷ საუნჯენი შენი? ხოლო
 აწ არა კაცი გინუენებს, არამედ ღმერთი, არა ქუეყანასა
 ზედა, არამედ ვათა შინა, და არა წადიერ ხარ მუნ დამ-
 არხვად საუნჯეთა შენთა? და რათუნ უადრეს არს ვათა
 შინა დადებად-საუნჯეთა, ვიდრე ქუეყანასა ზედა, რამეთუ
 ქუეყანასა [A105] ზედა რავდენცა უცთომელ იყოს აღ-
 ვილი, შიშისა და ზრუნვისაგან ვერ განთავისუფლდები,
 ხოლო მუნ, ესე ვითარი არარად იპოების და უფროსად
 არცა თუ საუნჯეთა შინა, ანუ მიწათა დასდებ საფასესა
 მას, რომელი ზეცისა საეანეთა წარსცე, არამედ თესლად

ნაყოფიერად დახოვსავ, და იგივე³⁵ საუნჯე³⁹ არს დათუ-
ხილიცა, რომელ-ესე ქვეყანასა ზედა არა იქმნებეს, რამეთუ
თესლი ქვეყანასა ზედა არა იმარხვის განუხრწნელად,
[S96] ხოლო მუნ აკვირს სამარადისოდ, ვითარმედ საუნჯე
ქვეყანასა ზედა ნაყოფსა არა გამოიღებს, ხოლო მუნ
უკუდავებისა ნაყოფსა მოგცემს.

უკეთუ კ'ელა სიგრძესა მას უამისასა წინა-მიყოფ და
იტივი, თუ: ოდეს მომცეს ესე ყოველი? მაქვს მრავალი
ჩვენებად, ვითარ აქვე მიიღებ ქველისსაქმისა შენისა
ნაცვალსა. გარნა აწ იგი დაუტეო და ესე გრქუა შენ:
არა მრავალი რას აქმენე-ა⁴⁰ სოფელსა შინა, რომლისა
ჭმევად არა ესევდი? და უკეთუ ვინ გაბ[A106]რალოს,
შვილთა და შვილიშვილთა⁴¹ მიიღებ მი'ხე'ხად, ოდეს-
იგი უამსა სიბერისასა აშენებდე⁴² ნაშენებთა დიდძალ-
თა, რომელთა აღსრულებად(ცა სასოება არა გაქუნ და
დასხმიდე ხეთა, რომელთა ნაყოფთა შემდგომად მრავალთა
წელთა მოელოდე და უწყოდნი, ვითარმედ შეუძლებელ
არს, რათამცა გეწიფა⁴³ ნაყოფისა მათისაგან⁴⁴ ჭამად.
არა საცნაურ არს-ა, ვითარმედ არა თავისა თვისისათვის,
არამედ შემდგომად შენსა მყოფთათვის კშურები? ვი-
თარ უკუე არა დიდად უგუნურებად სახელ-ესდვა⁴⁵ საქმე-
სა ამას, რომელ ჯორ(ვიელთა ამათ ზედა არა სულმოკ-
ლე იქმნები, არცა დახსნდები ზრ[S97]ენებად და შრომად,
რომლისა ხმევად⁴⁶ არა ესავ, ხოლო სულიერსა მას შინა
ესრეთ დაყოვნებისათვის სულმოკლედ მედგარ ხარ.
საქმე, რომელი იცი, ვითარმედ უეჭველად მოგეცემის
ნაცვალნი ფრიადი და კეთილი, და ამას ყოველსა ზედა
არცა თუ ფრიადი სიგრძე უამისა არს შორს ჩვენსა და
მომავალისა მის მისაგებელისა, რამეთუ მახლობელ არს
სასუფევეელი ცათა და არა უწყით, ვითარმედ ნუუკუე
ჩვენისა ამის მეგრ ნათესავისაზე [A107] იქმნას აღსას-
რული საქმეთა ჩვენთა და მოიწიოს საშინელ იგი დღე
წარდგომად ჩვენდა შესადრწუნებელსა მას და თუალუხ-
ვაესა სამსჯავროსა, რამეთუ უმრავლესნი მეგრ

სახაჯელნი აღსრულებულ არიან. და წმიდა სახარება
 ყოველსა ხოყელსა ქადაგებულ არს; და ბრძოლანიცა
 და ძრვანი და ხოყმდნი და სრვანი ქმნილ არიან; და
 ვინ უწყის, ნუქუქუ ფრიად ახლოს არს დღე იგი საშინელ-
 ისა მის განბჭობისა? ხოლო უკეთე სახაჯელთა არა
 ეხედაეთ, ნუ ამისთვის უზრუნველ-ვიქმნებით, რამეთუ არც
 ნოესზე მხედვიდეს სახაჯელთა მომავლისა მის წელ-
 თორღენისასა, არამედ იმღერდეს რა, სჭამდეს და
 სმი[S98]დეს, იქორწინებდეს და განქორწინებდეს, მეესა
 შინა მოიწია საშინელი იგი თხრებად. და სოდომელთა
 მათ ზედა, ვითარ არა მოელოდეს, არცა რას მკონებდეს,
 მოეფინა ცეცხლი იგი წუნწუბითურთ და ერთბამად
 ყოველნი დაწენა ბოროტთა საქმეთა მათთვის. აწ უკუე
 ესე ყოველი გულისგმა-გმყოთ და მოვაქცი[A108]ენეთ
 თაენი ჩვენნი გამზადებად მერმისა მისთვის საუკუნოსა,
 რამეთუ დადაცათუ ზოგადი ყოველთა აღსასრული და
 მეორედმოსლვა მეუფისა წუთ ერთდა მყოვნის, არამედ
 კაცად-კაცადისა აღსასრული ახლოს არს კართა ზედა.
 გინა თუ ვინ ბერი იყოს, გინა თუ ჭაბუკი და ვერვის
 ჳელ-ეწიყების შემდგომად ამიერ განსლვისა სინანულისა
 მოგებად, ანუ თხოვად დროებისა. დადაცათუ აბრაჰამ
 ევედრებოდეს მისთვის, გინა თუ ნოე, ანუ იობ,⁴⁷ ანუ
 დანიელ⁴⁸, არამედ რამცა ვის ამას ცხოვრებასა მოეგოს,
 იგი არს მის თანა – გინა თუ კეთილი, გინა თუ ბოროტი.
 ამისთვის გვედრები, ძმანო, რათა ვიდრელა ჟამი ესე
 გუაქუს, წარუსცეთ წინაშე ჩვენსა მუნ ნაყოფნი სინან-
 ულისანი, შევიკრიბოთ ზეთი ფრიადი საგზლად⁴⁹ [S99]
 სანთელთა ჩვენთა, ყოველივე ცათა შინა დავიუნჯოთ,
 რათა ჟამსა მარჯვესა, და ოდეს ფრიად სახმარ იყოს
 ჩვენდა, მოგვეგოს და ესრეთ სამარადისოდ ვიშვებდეთ
 მადლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო
 ქრისტესითა, [A109] რომლისა არს დიდება და სიმტკიცე
 თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და
 უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სწავლა იე

სინანულისათვის და ლოცვისა

საეკარელხო, მიუხედავად მოქალაქობისა იოვანე ნათლისმცემელისასა³⁵⁰ და ვისმინოთ მოძღვრება მისი და ვიჯამანათ შევბათაგან და მოვრადლობათა და მოვივით ცხოვრება მოღვაწებისა, რამეთუ უამი არს აღსასრულისა და სინანულისა, რათა განვიბანეთ ბილწებანი იგი ცოდვითა ჩვენთანი და გონებითა დაუხჯელთა მოუხდეთ წმიდასა მას ტრაპეზსა და ღირს-ვიქმნეთ დაუხჯელად მოღვბად საუნჯეთა მათ ზეცისათა. ვიჯამანათ უკუე დაკსნილობისა ამის და საშეკბელთა მეძიებელთა ცხოვრებისაგან, რამეთუ შესაძლებელ არს შევბითა და განცხრომითა აღსრულებად სინანული. და ესე ისწავეთ დიდისა წინასწარმტყვევლისაგან. [A110] იხილეთ სამოსელი მისი, [S100] სასრდელი და საყოფელი. არამედ მრქეთ მე, ვითარმედ: რად არს სიტყვა შენი, ნათლისმცემელისა ბაძვად გვასწავლი-ა?³⁵¹ და მსგავსად მისა უდაბნოს განსლვას გვიბრძანებ-ა?³⁵² კე, გასწავლით და გაწვევ, რამეთუ იგიცა კაცო იყო ჯორციელი, განშორებული ცოდვისაგან. ხოლო უკეთუ განშორებული ცოდვითაგან ესრეთ კქენჯნიდა ჯორცთა თვისთა, არა უმეტესად ჩვენ თანაგვადს-ა, შებღალულთა ამათ მრავალითა ცოდვითა, ჭირვება ჯორცთა ამათ³⁵³ მაჭირვებელთა ჩვენთა, რომელნი ურიცხვთა ბრალთა სიღრმესა შთავითხიენით³⁵⁴ და ვნებათა სამკვიდრებელ ვიქმნენით?³⁵⁵ ხოლო უკეთუ ესე ვერ ძალ-გვიძს³⁵⁶ განსლვად უდაბნოდ და მსგავსად მოქალაქობისა მისისა, ვაჩვენოთ სახლთა(ცა შინა ჩვენთა სინანული, რამეთუ მოახლებულ არს უამი სასჯელისა მის საშინელისა. დაღაკათუმ(ცა შორს იყო, არავე ჯერ-იყო უდებება, რამეთუ კაცად-კაცადისა აღსასრული კართა ზედა არს. და რომელი-იგი წარვიდეს ამიერ სოფლით, მის ზედა მო[A111]წვეუნულ არს უამი ესე სასჯელისა. ხოლო რათა ს(კნათ, ვითარმედ არა [S101] შორს არს დიდისა მის(ცა სასჯელისა უამი, ისმინეთ, რასა პავლე დაღადებს: „ღამე იგი განგვეშორა და ნათელი შემოგვეახლა“ (რომ. 13.12);

და კეძლად იტყვის: „მკობრედლა წუთ ერთ“³⁵⁷ მოძავადო იგი მოვიდეს და არა მყოვნოს“ (ებრ. 10:37), რამეთუ სასწაულნიცა აღსრულებულ არიან მოახლებულისა მის დღისანი. ვითარცა იტყვის უკვადო, ვითარმედ: „იქადაგოს სახარება ესე სასუფიქელისა“³⁵⁸ ყოველსა ხოფელსა. საწამებელად ყოველთა წარმართთა და მამინ მოიწიოს აღსახრულო“ (მო. 24:14). გულისკმაჰყავთ კეთილად თქმული ესე. არა სთქვა, თუ თდეს პრწმენეს³⁵⁹ ყოველთ კაცთა, არამედ: თდეს იქადაგოს ყოველთა მიმართ; და ამისთვის სთქვა, ვითარმედ: „საწამებელად წარმართთა“, რათა ვცნათ, ვითარმედ არა თუ მოელის, რათა ყოველთა პრწმენეს და ესრეთ მოვიდეს სიტყვა იგი. თუ „საწამებელად წარმართთა“ ამას მოახწავებს, ვითარმედ შემასმენელად, სამხილებელად და დასახჯელად, რომელთაცა არა პრწმენა. [A112] ხოლო ჩვენ ესე ყოველი გვესმის, გუძინავს და სიზმართა ვხედავთ,³⁶⁰ ვითარცა შეაღამესა შეპყრობილნი მოურალობითა, რამეთუ ჰეშმარიტად არარადთა განყოფილ არიან სიზმართაგან საქმენი ამის საწუთოსანი, გინა თუ სიხარულისა მომა[S102]ტყუებელ³⁶¹ იყენენ, გინა თუ მწუხარებისა. ამისთვის გვეედრები, ძმანო, განვიფრთხილთ ძილისა მისგან მკონარუბისა და მივხედნეთ მხესა მას სიძმართლისასა, რამეთუ არავის მძინარესა ჯელ-ეწიფების ხილუად მზისა, არცა განმხიარულებად თუაღთა თვისთა შეენიერებითა მით ბრწყინვალეებისა მზისათა, არამედ სიზმართა მხედავს და ოცნებათა. ხოლო ჩვენ განვიღვიძილთ და გულისკმა-გჰყოთ, ვითარმედ ფრიადი ღმობიერება სახმარ არს ჩვენდა, აღსარება კოდვათა, ნაკადულნი კრემლთა მხურვალეთანი, რამეთუ კოდვათა დიდთა და მრავალთა თანამდებ ვართ, რამეთუ უღმობელად და უნანელად წარგვიხდიან დღენი ჩვენნი. ვიცვი, მრავალნი თქვენგანნი მეწამენ, ვითარმედ ჰეშმარიტსა ვიტყვი და არა ვსტყუი. [A113] ვიცნნეთ, ძმანო, თავნი ჩვენნი, განვიცადნეთ წყლულეებანი ჩვენნი, რათა წამლისაცა დიდებად ვისწრაფოთ, რამეთუ რომელი წყლულეებათა მისთა³⁶² უმეცარ იყოს, ვითარ ისწრაფოს დადუ

ბად წამლისა? მრავალთა ცოდვათა მიერ შებღალულ ვართ, არამედ არა გამოხეებულ ვართ სინანულისაგან, უკეთუ გვენებოს, რამეთუ ჯერეთ [S103] საეჭრო ხდვას და ქადაგება სინანულისა იქადაგების. უკეთუ დაბერებულ ხარ და მიახლებულ ბჭეთა სიკვდილისათა, ნუ ჰგონებ, თუ განვრდომილ ხარ სინანულისაგან, ნუცა წარიკვეთ სასოებასა შენისა ცხოვრებისასა, არამედ გულისკმაიყაე ავაზაკი იგი, რომელი ჯვარსა ზედა წამსა შინა ერთსა განთავისუფლდა ცოდვათაგან.³³ რამეთუ რადთამცა იყო უმოკლეს ქამისა მის, ოდეს იგი ეკიდა ჯვარსა ზედა? არამედ კმაყყო მას მკირელი იგი ქამი სინანულად და განთავისუფლდა ცოდვათაგან. უკეთუ ჭაბუკ ხარ, ნუ მიენდობი სიჭაბუკესა შენსა და იტყვი, ვითარმედ: *„მორსა არს ქამი იგი სიკვდილისა, რამეთუ დღე იგი უფლისა „ვითარცა მპარავი მოვიდეს ღამით“ (2.პეტ. 3.10).* [A114] ამისთვის უცნაურყო ქამი აღსასრულისა ჩვენისა უფაღმან, რათა საცნაურად და ჭეშმარიტად ვყოთ მოსწრაფება ჩვენი და მოქცევა ცოდვათაგან. არა მხელავ-ა, ვითარ ჩვილნი წარიტაკებიან სიკვდილისაგან, ჭაბუკნი ურიდად მოსწყებებიან?! ამისთვის წერილ არს: „ნუ ძყოენი მოქცევად უფლისა, ნუცა მსდროებ დღითი-დღედ, ნუუკუე [S104] ვიდრე-იგი ძყოენიდე, წარიტაკო ტელთა მით წარმეყანებულისათა“. ესრეთ ბერთაცა და ჭაბუკთა, ისწავეთ კაცად-კაცადმან მოძღვრება იგი, რათა არცა ვინ უზრუნველ იყოს, არცა სასოწარკვეთილ, რამეთუ დაღაცათუ მრავალ არიან ცოდვანი ჩვენნი, არამედ უკეთუ შევიჩნათ, არა მოტევება ხოლო ვჰყოთ, არამედ ცხოვრება საუკუნო დავიმკვიდროთ და გვირგვინი სასუფევლისა მოგვეცეს. რამეთუ ნუ ამას ოდენ ვხელავთ, ვითარმედ ცოდვითა შებღალულ ვართ, არამედ ესეცა ვიხილოთ, ვითარმედ მეუფე ჩვენი კაცთმოყვარე არს. უკეთუ შევიჩნათ ყოველივე, ავოცოს ცოდვანი ჩვენი. ხოლო სინანულსა ვიტყვი მოქცევასა [A115] ბოროტისაგან და ქმნასა კეთილისასა, ვითარცა იტყვის, ვითარმედ: *„ჰყავ ნაყოფი ღირსი სინანულისა“ (ლუკ. 3.8).* რად-ესე, ვითარმედ „ჰყავ ნაყოფი

ღირსი სინანულისა? რათა წინააღმდეგობი ცოდვისა ჩვენისა სათხოება აღვახრულოთ. ესე იგი არს, უკეთუ მოგიტაცებდეს სხუათა, მიეცე შენიცა გლახაკთა; სიძვირთა თუ შებღაღულ ხარ, განემორე სრულიად გულისთქმათა, განეყენე მეუღლესაცა შენსა განჩინებულთა დღეთა სინანულ[SI05]ისათა, მოიგენ³⁴ მარხვა, მოისპენ გულისსიტყუანი ცოდვისანი გულისაგან შენისა, განიბანენ ბიღწუბანი იგი ცრემლითა და სულთქმითა; გიგინებდეს და შეურაცხ-გიყოფდეს მოყვასი, პატიუ-ეც და კეთილი უყავ; თავსიდე შეურაცხება და გინება, აკურთხევდ მაგინებულთა და ძვირისმეტყველთა შენთა. ესე არს ნაყოფი ღირსი სინანულისა, მოქცევა ბოროტისაგან და ქმნა კეთილისა. რამეთუ არა კმა-არს აღმოწედა ხოლო³⁵ ისრისპირისა ნაგუმისა მისგან, არამედ წამლისაცა ჯერ-არს დადებად. უკეთუ შევბითა [A116] და მოურალობითა წარგიხდიან გარდასრულნი დღენი შენნი, მოიგე მარხვა და წყალსა ივმევდე, რათა ვნება იგი მოურალობისა აღმოჰყხებრა; უკეთუ თუაღლითა ვნებულთა მიგიხელაენ განჯდად სიკეთესა პირისასა, აღვირასხენ თუაღლთა ყოულადვე არა ხელვად დედათა. ესრეთ თუ პყოფდე, იქმენ აღმასრულებელ სიტყვისა, ვითარმედ: „მოიქეც ბოროტისაგან და პქმენ კეთილი“ (ფს. 33,14) და კუაღად: „ბავენი შენნი ნუ იტყვიან ზაკეასა“ (ფს. 33,13). ისმინე შემდგომიცა ამისი: „მოიძიე მშვიდობა და მისდეუდი მას“ (ფს. 33,14). არა კაცთა ხოლო ვიტყვი არამედ ღმრთისა მიმართცა და კეთ[SI06]ილად სოქუა: „მისდეუდი მას“. რამეთუ განვიოტეთ იგი და განვსდევნეთ და ივლტოდა რა³⁶ ჩვენგან, დაუტევა ქვეყანა და ზეცას წარვიდა, არამედ³⁷ ძალ-გვიძს კუაღად მოყვანება მისი, უკეთუ მოვიძიოთ და მივსდევდეთ მას, უკეთუ განვიოტნეთ ჩვენგან ვნებანი, რომელთა განიოტეს იგი სულთაგან ჩვენთა, რომელ არს: ზუაობა, ამპარტავნება, მრისხანება, ანგაპარება, დიდების მოყვა[A117]რება და სხუანი მსგავსნი ამათნი. რამეთუ ესე ვითართა მათ განიოტეს ჩვენგან მშვიდობა და მტერ ღმრთისა გვეყეს და მბრძოლ ურთიერთას.³⁸ აწ უკუე მაოტე

ბელნი იგი მშვიდობისანი განვიოტნეთ და ვევედრნეთ უფაღსა ცრემლითა მკურეაღითა, რათა მოგვეცეს მშვიდობა იგი, რომელი აღუთქვა მოწაფეთა თვისთა და პრქვა: „მშვიდობასა მოცემთ თქვენ“ (ინ. 14.27). ვიდოცით, ძმანო, ტკბილისა მის მშვიდობისა მიძთხევეად. ვიდოცით ამისთვის ნუ ერთსა ხოლო დღესა, ანუ ორსა, არამედ, ყოველთა დღეთა ცხოვრებისა ჩვენისათა,³⁶⁹ რამეთუ თვით ღოცვა ნაყოფთაგანი არს სულისა მის მშვიდობისათა და³⁷⁰ დაწყება დაგებისა ღმრთისათა. ესე შევიყვართ და დაეცხრომელად შევიტკბოთ. დაღაცათუ არა მოგვეცეს, რომელსა იგი ვითხოვდეთ, ნუ [S107] დაეცხრებით ღოცვისაგან, რათა მოგვეცეს. დაღაცათუ მოგვეცეს, ნუ უღებ-ვიქმნებით, რათა მოცემული იგი ნიჭი საძარადისოდ ჩვენთაჲ ეგოს. რამეთუ არათუ ღმერთსა პნებაჲს გვიანად მოცემა სათხოვე[A118]ლისა მის ჩვენისა, არამედ დროებითა მით პნებაჲს მოცემად ჩვენდა მიხეზსა მარადის ვედრებად მისსა. ამისთვის დრო სვის თხოვისა ჩვენისა აღსრულებად, რათა დაჲადგრეთ ღოცვათა შინა და მრავალგზის გვიხმღნეს რა უღებებით ღოცვასა შინა და ვედრებასა, მოგვიელისის განსაცდელი რამჲ მიშეებითა მისითა, რათა მკურეაღედ მივიელტოდეთ მისსა და მივიელტოდეთ რა, ვეგნეთ განუშორებელად მისგან. ეგრეთ პქმნიან მშობელთაცა³⁷¹, შეიღისმოყვარეთა. იხილის რა დედამან შვილი თვისი უწესოდ მოძაველი, სადა იგი არა ჯერ-არს, უბრძანის მონათა შეშინებად, რათა მიიფლტოდეს³⁷² წიაღთა დედისათა. ეგრეთვე ღმერთმან გვიღხინის რა, ვითარმედ უგუნურებითა გონებისათა განეშორებით მას, მოუშვის განსაცდელსა რასმე, რათა მოვიხსენოთ უფალი და მივიელტოდეთ მისსა. უკეთუ კულა ესრეთცა ვიყვენით უამსა განსაცდელისა³⁷³ და შეებისასა, არასაღამცა მოიწეოდეს³⁷⁴ განსაცდელნი. [S108] და რად ვიტყვი ჩვენთვის? წმიდათაცა [A119] და სრულთა დიდად სარგებელყოფოდა ამით წესითა. ამისთვისცა წინასწარმეტყველი იტყვის: „*კეთილ არს ჩემდა, რამეთუ ღამამდაბლეთ მე*“ (ფს.118,72); და თავადი მოწაფეთა ეტყოდა: „*სოფელსა შინა*

*ჭირი ვაქებს*³⁶⁶ (ინ. 16.33); და პავლე იტყვის: „*მომეცა ხაწ-
 ვრტეული კორცია, ანკელისი მხალი, რათა დამქენჯნიდეს
 მე*“ (2კორ. 12.7). ამისთვისცა ევედრა განუცნობად მისგან
 ჭირი იგი განსაცდელთა და არა მიემთხვია მას, რამეთუ
 დიდად სარგებელ ეყოფოდა, ვითარცა ძრქუა უფადმან, ვი-
 თარმედ: „*ძალი ჩემი უძღურებასა შინა სრულ-იქმნების*“
 (2კორ. 12.9). „უძღურებად“ სიტყუა ჭირი იგი განსაცდელთა
 და წინააღმდეგობთა, რომელთაცა საქენჯნილად უწოდა.
 ხოლო დავითის ცხოვრება უკეთუ ვახსენით, ვჰპოოთ იგი
 განსაცდელსა შინა განბრწყინებულს და სხუანი იგი მს-
 გავსნი მისნი. ესრეთ განბრწყინდა იობ,³⁶⁷ ესრეთ მძლუვ
 გამოსწინდა იოსებ, ესრეთ აღასრულა ცხოვრება თვისი ია-
 კობ და თავადმან აბაჰამ. და სხუანი ყოველნივე, რომელნი-
 ცა განბრწყი[A120]ნდეს სიწმიდით³⁶⁷ და გვირგვინნი ძლე-
 ვისანი მიიხენეს, ჭირთა და განსაცდელთა მიერ წარემართ-
 ნეს და რჩეულ იქმნეს უფლისა აწ უკუე ჩვენცა ესე [S109]
 ყოველი გულისკმა-ვწყით და თდეს განსაცდელი რაჲმე
 მოიწიოს, ნუ სულმოკლე ვიქმნებით და ვისწრაფით გან-
 დევნად ჩვენგან სარგებელის მის, არამედ ვისწრაფით ახ-
 თენებით მოთმენად და ნუ გამოვეძიებით, ნუცა გამოვიკუ-
 დეთ, თუ რაჲსათვის მოიწია, თუ თდესმე განქარდეს, რამეთუ
 უამი განქარებისა მისისა უფადმან უწყის, რომელმან სარგე-
 ბელად ჩვენდა მოაველრნა. ხოლო ჩვენი ესე არს, რათა
 სულგრძელებით მოვითმინოთ და მადლობით თავს-ვიდვათ,
 რათა იხილოს ღმერთმან ერთგულება და სიკეთე გონები-
 სა ჩვენისა და მოგვცეს მის მიერი წყალობა, რათა აქაცა
 გამოცდილ და გამოჭურვებულ ვიპოვნეთ და მას საუკუნე-
 სა – ბრწყინვალე წინაშე ღმრთისა, რამეთუ უკეთუ ყოველ-
 სავე მოწევნულსა განსაცდელსა მადლო[A121]ბით შევიწყ-
 ნარებდეთ და გულსავსე ვიყვნეთ, ვითარმედ უფადმან
 უადრეს ჩვენსა იცის უმჯობესი ჩვენი და ვადიდებდეთ მას
 ყოველსავე ზედა, და ვჰპოოთ ამით ესევეითართა სახითა³⁶⁸
 მოტევება ცოდვათა ჩვენთა და საუკუნესა მას მერმესა
 მოვიხენეთ³⁶⁹ დაუჭნობელნი იგი გვირგვინნი მადლითა და

კაცთმოყვარებითა უფლისა ნუენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და ხიმ(კი)[S110]ცუ თანა მამით და სულთ წმიდითურთ. აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე ამინ.

სწავლა ივ ღმობიერებისათვის

აწ უკუე ესე საცნაურ იყავნ, ვითარმედ არა ესე არს ბოროტ³⁰⁰, უკეთუ სხვისაგან შეგვემთხვიოს ნუენ ჭირი რაიმე, ანუ სდუევაი, ანუ სავნებელი, არამედ ესე არს ბოროტ, უკეთუ ნუენ სხუასა ვავნით. იხილეთ, რაბამი ვნება შეემთხვია დავითს საუღლისაგან. ვინ უკუე დიდ იქმნა და სანატრელ – ვნებელი იგი, ანუ მავნებელი? ამა ესერა საუღსა ვხედავთ, ვითარ სა[A122]წკადლობელ იქმნა და წარწყმედულ ცხოვრუბასაცა თვისსა და ჟამსაცა სიკუდილისასა და შემდგომად სიკუდილისა, ხოლო დავით მაშინაც სანატრელ და საქებელ იყო და სათნო ღმრთისა და კაცთა შორის დიდებულ და აწ სახსენებელი მისი არს უკუნისამდე. იხილეთ კვალად იგივე დავით სხუასა ჟამსა, ავინო რა მოყვასსა, ფრიადი ძვირი შეემთხვია: რაჟამს ბოროტ-უყო პურიასა, შეიცვალა წესი იგი პირველი და შთავარდა ბევრეულთა განსაცდელთა და უკეთუმცა არა პოვნილ იყო კაცი ბრძენი და გო[S111]ნიერი და სინანულთა აღეკოცა ბრალი თვისი, უძვირესიმცა³⁰¹ შემთხვეულ იყო – სრულიად წარწყმედა. ამის პირისა უკუე სახენი წერილთა შინა აერაცხელნი იპოებთან. ამისთვის, საყვარელნი, ყოველივე გულისკმაგსყოთ და ვივლტოდეთ ამის ცოდვისაგან. ნუ ვავნებთ მოყვასთა ნუენთა – ნუცა საქმითა, ნუცა სიტყვით, რამეთუ ესერა აღმოიკითხეთ ბრძანება უფლისა, რომელსა იტყვის, ვითარმედ: „ყოველი სიტყვა ცუდი, რომელსა იტყვიან კაცნი, [A123] მისკენ სიტყვა მხითვის დღესა მას სასჯელისასა“ (მთ. 12.36). უკეთუ სიტყვისა ცუდისა სასჯელი მიგვეხდების³⁰², რაჲ ვსთქუათ ძვირისზრახვისათვის და შესძენათა მოყვასისათა? რაოდენთა სასჯელისა თანამდებ ვართ? რამეთუ

დადაცათუ ხიტყვა იგი ძვირის'ხრახვისა ჭკმძარიტ იყოს, შენ არავე გიტქმს ძვირის'ხრახვად, რათა არა თანამდებ ბრალისა იქმნე, არა გახმოდეს-ა, ვითარმედ ფარისევედმან მან ჭკმძარიტი სიტყვა მეხვეურისა მისთვის და რა იგი ყოველთა მიერ საცხაურ იყო, არამედ დაისაჯა სასტიკად? ხოლო უკეთუ ცხადთა და საცხაურთა საქმეთათვის [S112] ძვირის'ხრახვად უჯერო არს, რაოდენ უფროს ფარულთათვის და იტყვეულთა, რამეთუ შეცოდებულსა მას აქეს მსაჯული. ხოლო შენ ნუ ვის განიკითხავ, რომლისა ზრუნვად არა შენდა რწმუნებულ იყოს; ნუცა მოიტაკებ პატივსა მას მხოლოდშობილისასა: მისდა დამარხულ არს საყდარი განკითხვისა. ხოლო უკეთუ გწადის შენცა განკითხვა, გინუენო [A124] განსაკითხავი ფრიად სარგებელი და ბრალისაგან თავისუფალი. დასვი საყდართა ზედა შინაგანისა გონებისათა განმკითხველი იგი გულისსიტყვა და შემოიხვენ შორის ყოველნი ცოდვანი შენნი, განიკითხევდ მათთვის სულსა შენსა და თუაღუხვავად სასჯელსა მიხდიდე და იტყოდე: სიტყუ შენ, სულთ ნემო, უბადრუკო და უღმობელო, რადასათვის იკადრე ამით ესევითართა საქმეთა ქმნად? უკეთუ იგი საქმეთა თვისთა მხილებისაგან და სხუათასა ეძიებდეს, არქუ მას შერისხვით: არა მაგათ უცხოთა საქმეთათვის გკითხავ, შენთვის გამომეც სიტყვად, რადასათვის ჰქმენ იგი რომელიმე ცოდვად? [S113] რადასათვის შთავარდი ამას რომელსამე მწვირესა? ხოლო რაუამს ესრეთ შეაიწრო, უკეთუ არარად აქუნდეს სიტყვა, ჰგუემდ მას ყვედრებითა და კდემითა, ვითარცა მონასა უხმარსა და განდგომილსა. ამას ესევითარსა განსაკითხავსა დღითი-დღე განაწესებდე და შორის შემოიღებდე ხსენებასა ცეცხლისა მის უშ[A125]რეტისასა, მატლისა მის წამლიანისასა, ბნელისა მის გარესკნელისასა, ტარტაროზისა მის და ღრჭენისა კბილთასა, განურდომასა მას პირისაგან ქრისტესისა, რომელი უმწარეს არს ყოულისა. ამას ესევითარსა მარადის იწვრთიდე, რათა არღარა შეუნდოს სულსა შენსა თანამზრუნველ-ყოფად ეშმაკისა გულის-სიტყვათა მიერ ბოროტთა. ნუცა ისმენ პასუხს მის-

ხა, უკეთუ გეცოდეს: მე არა მნებავს, გარნა ემშაკი მადიუ
 ლებს, ბორიჭისა წერთად იგი მოვალს, იგი მებრძვის. არქუ
 მას: უკეთუ შენ არა გინდა, ემშაკსა ევრარაჲ ძაღუჲს, ქრისტე
 ხა შეუკმესრავს ძალი მისი, მტერისა მახვილსა მოაკლდა
 სრულიად და ქალაქნი საცოურისა მისისანი აღიხრდეს.
 [S114] უკეთუ კვალად გრქეას, ვითარმედ: ჳორცთა თანა
 შეკრულ ვარ და მათ თანა მეღმის, სოფელსა შინა მკვიდრ
 ვარ, არქუ მას: ეგე ყოველი სიტყვა ცუდ არს და ამო, მას
 ვინმე წმიდასა არა ჳორცნი ემოს[A126]ნეს-ა? იგი ვინმე
 მართალი არა ამას სოფელსა შინა იყო-ა? ვითარ იგინი
 წარემართნეს სათნოებითა და შენ კმიზეხოზ მიზეხთა
 ცოდვისათა და შენ თვითვე მას რომელსამე ეამსა არა
 ჳორცთა შენა იყავ-ა? არა სოფელსა მკვიდრ იყავ-ა? ვი-
 თარ მაშინ ეკრძაღუბოდო, რათა თავსა შენსა ყოველივე
 ძალ-გედვა, და აწ ესრეთ იტყვი? დაღაცათუ ფრიად ეღმ-
 ოდეს სიტყვათა მათ ზედა, შენ ყოვლადვე ნუ უღხენ, რამეთუ
 მო-თუ-სწყლა იგი, არა მოკედეს, არამედ სიკუდილისაგან
 იხსნე. უკეთუ სთქეას მან: ვინმე განმარისხა, არქუ მას:
 თანა-გაძს ვნებაჲ და არა განრისხებაჲ. უკეთუ სთქეას:
 პირმან მან³⁸³ სახიემან მომწყლა ვნებითა, არქუ მას: რაჲ-
 სათვის არა გეპყრნეს თუაღნი შენნი კრძალუღად და ვი-
 თარმედ არა სარგებელ არიან შენდა მი[S115]ზეხნი ეგე
 ცუდნი³⁸⁴, რამეთუ პირველსა მასცა დედასა ევას არას ერგო
 სიტყვა იგი თუ.³⁸⁵ გველმან მაკდუნა მე. ხოლო ოდეს ესევი-
 თარი ესე სამსჯავრო აღმართო, ნუმცა ვინ არს შენ თანა,
 არამედ მხოლოდ იყავ თვისგან, [A127] აღვილსა ფარულსა
 და ეამსა მყუდროსა. ვითარცა ჭაბუკნი დიდებულნი შინა-
 გან კრეტსაბმელისა³⁸⁶ სხდიან, ეგრეთვე შენ შევედ საუნჯე-
 ხა შენსა – სენაკსა ფარულსა და ესე ყოველი განიკითხე,
 ეგრეთვე კუალად მწუხრი სარეკელსა ზედა შენსა, ესევე
 განსაკითხავი გონებასა შინა შენსა შემზადე. ამისათვის
 სთქუა წინასწარმეტყველმან: „რაჲ სთქუათ გულთა თქუენ-
 თა³⁸⁷, სარეკელთა თქუენთა ზედა შეინანეო“ (ფს. 4,4); და
 კვალად იტყვის: „უკეთუმცა მოგიხსენენ შენ სარეკელსა

ჩემსა ზედა. ცისკარსამცა აღვიმხოვე და გვეკვდრებოდე შენ
(ფს. 62.6). ხოლო იგი წინასწარმეტყველი, ვითარცა იტყოდა,
ეგრეთცა იქმოდა. ამისთვისცა დაღადებს: „დაემშვერი მე
სულოქმითა ჩემითა და დაებანე მარადეუ“³⁰ (ხედაარი ჩემი.
კრემლთა ჩემთა“³¹ სარეკელი ჩემი დავალტე“ (ფს. 6.6).
რამეთუ ესე ვითარსა [S116] განსაკითხავსა შეუქმნადებდა
სულსა თვისსა დღითი-დღე. უკეთუ შენცა ეგრეთ იქმოდე
და მკირვდოცა“³² ცთომათათვის სულსა შენსა ბრადსა
მიხდიდე, დიდთა ყოვლადეუ არა მიეხო, არამედ რომელნი
გექმნენ ცოდვანი, იგინიცა შეინა[A128]ნე და კადნიერებით
წარსდგე წინაშე საყდარსა“³³ ქრისტესსა. ამისთვის იტყო-
და პავლე: „უკეთუძცა თაუთა თვისთა განუკითხვიდეუთ, არამ-
ცა განუკითხვინთ“ (Iკორ. 11.31). ეგრეთვე წმინდა-პოფდა
იობ შვიდთა თვისთა, რამეთუ რომელი უცნაურთა ბრად-
თათვის შესაწირავთა შესწირვიდა, საცნაურთათვის არამ-
ცა ძლიერად განუკრძალვებოდა-ა? ხოლო ჩვენ არა ესრეთ
ვიქმთ, არამედ და-რა-ვსწვეთ სარეკელთა ზედა, მეესეუ-
ლად არაწმიდათა გულისსიტყვათა ვიწყით წურთად, ანუ
კუდთა და მსოფლიოთა საქმეთა ზრუნვად. და საუნჯე თუ
მკირვდი გუაქუნ, წარმავალი და ამას, დიდთა კრძალულებო-
თა ესკვედით მას მპარავთაგან და ავაზაკთა, ხოლო სულ-
სა ამას ჩვენსა საწყალობელსა, რომელი-იგი მხოლოს
მოცემულ არს ჩვენდა და სხუა ნაკვალი მისი არა არს,
განესკემთ ყოველთა [S117] მპარავთა და ავაზაკთა წარ-
სატაკებელად. ყოველთა ბოროტთა გულისსიტყვათა ფერ-
ჯისსაკემელად. გინა თუ სიძვისა მოგვიხდეს, გინა თუ ან-
გაპრებისა, გინა თუ გემოთ-მოყვარეებისა, ანუ თუ
გულისწყრომი[A29]სა, ანუ შურისა, ანუ სხუა რომელიმე
ბოროტთა ვნებათაგანი,³² მეესეულად კარსა განუდებთ და
შევიწყნარებთ და მათ თანა იქცევინ³³ და მათ თანა ზრუნავნ³⁴
სული ჩვენი, ვიდრემდის მოვიდის ძალი და ძლით განაშო-
როის ჩვენგან. უფროსად არცა მაშინ განეშორიან, არამედ
რასა-იგი ვიგონებდით მღვიძარენი, მათვე საქმეთა ოცნებანი
ძილსა შინა მერყოდიან. ამისთვისცა განთენის რა, ოცნება-

თა მათგან 'შე'მფოთებუელი იგი სუელი მრავალგზის საქმუ
 ხაცა მათ ოცნებათასა 'მთავარდის. თდეს უქვე უძლით
 უბადრუკთა ამათ ნაგვეისა სუელთაგან ჩუენთა განყრად?
 თდეს უძლით ეკალთა ამათ აღმოფხურად? თდეს დაუთუ-
 ხით თესლი კეთილი? არა უწყი-ა, საეყარედო, რამეთუ
 ეამი მკისა მოწყენუელ არს, ხოლო ჩვენ ეახობირნი ჩუენნი
 არდა გვითურძაენ³⁶. აწ 'უკ'უე³⁶ მო-თუ-ვიდეს მუშაკთმთა-
 ვარი იგი და სიტყვასა მიგუხდიდეს, რაჲ-მე ვსთქვათ, ანუ
 რაჲ მიუგოთ? ვსთქვათ, თუ: თესლი არაეინ მოგუცა, ვსტყუით,
 [S118] რამეთუ დლითი-დღედ მოგვეცემის; ვსთქვათ, თუ:
 ეკალნი არაეინ აღმოფხურნა, სირცხვილუელ [A130] ვიქმ-
 ნეთ და გვემხილოს, ვითარ დლითი-დღე კლესვიდეს წმი-
 დანი მისნი მანგაღთა და გვაიძულუებდეს მოჭრად ეკალთა
 ჩუენთა; უკეთუ ვსთქვათ, თუ: სოფლისა ზრუნვანი 'შეგვა'შ-
 თობდეს, მრქუას: რად არა ჯვარს-ა(კუ თაუი შენი სოფ-
 ლისა? რად არა მიიძულუ იგი³⁷ და მე 'შემიყვარე? ესელა
 მებრძანა შენდა. რაჲ-მე ვყოთ, ძმანო? 'შეურვებუელ ვარ. უკეთუ
 რომელმან ქანქარი იგი მოიღო და არა განამრავლა, არამედ
 იგივე მისცა, რომელი მოეღო და ამისთვის განვარდა შეკ-
 რული, სადა-იგი არს ტირილი თუაღთა და ღრჭენა კბილთა,
 ჩვენ რაჲ-მე ვყოთ, რომელთა მოცემულიცა იგი წარგვიგის
 და ყოულადვე ვაღიერნი ვართ? მიკვირს 'უკ'უე³⁸ ვითარ
 არა შევიკდემთ? ვითარ არა მოვიქცევით? არა-მე ვხედავთ-
 ა სოფლისა ამის ამოებასა, სიკუდილისა უცნაურებასა,
 სასჯელისა მის საუკუნოდსა თანამდებობასა? არა გულისჭ-
 მა-ვყოთ-ა, ვითარმედ არა სათხოება ხოლო არს საშრომელ,
 არამედ ვნებანიცა? უმეტესად იგი აქა საშრომელ არს და
 უკუე განსა[A131]სუენებულ, ხოლო ცოდუა აქა(ცა მაჭირებულ
 არს მოქმედთა მისთა³⁹ და მუნ უკ'უე – მტანჯუელ. [S119]
 რაჲ არს უკ'უე ამოება ესე, რომელ დაუტეობთ კეთილსა და
 აღვირნივთ ბოროტსა? უფროსდა არიან სათხოებანი, რომელთა
 ყოულადვე არა აქეს შრომაჲ, რამეთუ რაჲ შრომა აქეს არა
 ძვირისზრახვასა? არა ტყუილსა? არა ფიცსა? უფროსდა
 ტყუილსა და ფიცსა და ძვირსაზრახვასა აქეს ჭირი და

შრომა, არამედ ჩვენისა⁴⁰¹ კერაგობისაგან დაუტკობთ კეთილსა და აღვიდსა და ვიქმთ ბოროტსა და ძნელსა. ეგრეთვე სხეანიცა იგი ვნებანი დახსნილობისა ჩვენისაგან მიძიმე გვექმნებიან და სხვისა არარაღსაგან. აწ უკუე, საყვარელნი, ჩვენ ესე ყოველი გულისკმა-ველით და შევიკრძალნეთ თავნი ჩვენნი. პირველ⁴⁰² სიკუდილისა მოვიძულეთ ცოდვად და შევიყვართ სიმართლეს, მოვიძაგნეთ ვნებანი და შევიტკბნეთ სათნოებანი, რათა მოვიდეთ ქრისტესგან მოტკეება ცოდვათა და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს-ვიქმნეთ მიმთხვევად [A132] მადლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულთნით წმიდითურთ აშუკენის დიდება, პატივი და თაყუანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

[S120] სწავლა იზ აღსარებისათვის

ვისწრაფოთ უკუე, ძმანო, აღსარებად ცოდვათა ჩვენთა, რათა ჩვენცა⁴⁰² მართალთა მათ ნაწილთა თანა ზიარ-ვიქმნეთ. ნუმცა დაუაკლდებით, რომელთა აქვე იღვაწეს და განიბნეს ბრალთაგან ცოდვათა მათთასა; ნუმცა მივალოთ მუნ ტვირთმიძინი, რამეთუ საშინელ არს სამსჯაურო იგი და თანაწარუვალ არს ცოდვილთა ტანჯვად და მოუთმუნელ არს ჭირი იგი. ხოლო უკეთუ გნებავს, რათა არცა აქა იტანჯო, არცა მუნ, მე გასწაო შენ, ძმანო, ჭეშმარიტად – მოხადე შენვე ბრალი თავსა შენსა. ისმინე პავლესი, რასა იტყვის: „უკეთუმცა თავსა თვისსა განვიკითხევდით, არამცა განვიკითხენით“ (I კორ. 11,31). უკეთუ ესრეთ იქმოდე, წარუ მართო გვირ[A132]გვინსაცა ღირს-ყოფად. ხოლო უკეთუ მკითხავ, თუ ვითარ მოხადო ბრალი თავსა შენსა? მე გითხრა: იგლოვდე, სტიროდე, სულთ-ითქმიდე მწარედ, დაამდაბლე თავი შენი, აჭირვე ჳორცთა შენთა,⁴⁰³ მოიხსენენ ყოველნი ცოდვანი შენნი. რამეთუ დიდი ტანჯვა არს ესე სულისა, რომელი მოსრულ არს ლმობიერითა და ტკივილითა [S121] გულისათა, აღსრულებად ცოდვათა თვისთა. იცის მან, თუ

ვითარი ტკივილი აქვს და ჭირი⁴⁴ ამას საქმესა ამისთვის
 ესე ვითარის მის ხსენებისა სასყიდლად ღმერთმან განაწუ-
 ხა სიმართლე და იტყვის: „იტყოდე შენ პირველ ცოდვათა
 შენთა, რათა განმართლდე“ (ეს. 43:26). რამეთუ ჭკმდარი-
 ტად დიდი ტკივილი არს ღმობიერად და ტკივილითა
 გულისათა აღსარება და ხსენება ცოდვათა. ესე ვითარსა
 მას არა შეურაცხის თავი თვისი ყოვლადვე ღირსად ცხ-
 თერებისა, არამედ მარადის იგლოუნ, სტირნ და კგოდებნ.
 ესრეთ უკუე იქმოდე, ძმაო: ნუ ხოლო სიძვასა და მრუშე-
 ბასა და სხუათა ეგვე ვითართა იხსენებ, არამედ – შეურსა(ვა
 და ზეობასა და ძვირის სრახეასა და კადნიერებასა; და
 [A134] ყოველსავე, რაოდენიცა გიქმნიეს, წინაშე შენსა დას-
 დევ და სტიროდე მას ზედა, რამეთუ ესე ყოველი სატან-
 ჯველისა მომატყევებელი არს. არა გესმის-ა, რამეთუ რომელ-
 მან აგინოს ძმასა, გინებისა თანამდებ არს? მომთვრალე
 სასუფუღელისაგან განვარდების; რომელსა არა უყვარდეს
 მოყვასი, შესცოდებს ღმერთსა; რომელი ძვირსა იხსენებს,
 განარისხებს უფალსა; ვიდრეღა წამებად თუ [S122] მი-
 ვიდეს, ვერას ერგოს მას; რომელი გლახაკსა⁴⁵ შეურაცხ-
 კყოფდეს, ცეცხლად წარივლინების. ცუდისა სიტყვისათვის
 სიტყვა გვიხმს მიცემად. ესე ყოველი ნუ მცირე გგონიეს,
 არამედ შეკრიბენ ყოველნი ბრალნი შენნი და ვითარცა
 წიგნსა შინა, ესრეთ აღწერე სახსენებელსა გულისა
 შენისასა. უკეთუ შენ დასწერო და აღიარო, ღმერთმან აღწო-
 ცოს; უკეთუ შენ აღწოცო ხსენებისაგან შენისა და დაივი-
 წყო და არა აღიარო, მუნ აღწერილ იყვნენ წინაშე ღმრთი-
 სა. რავედენ უკუე უმჯობეს არს ჩვენ მიერ წერა და ზეცით
 აღწოცად, ვიდრე აქა დავიწყება და მას დღესა წინაშე
 თუაღთა ჩვენთა წარმოდგომად თვითოუელისა ცოდვისა
 ჩვენისა. [A135] ამისთვის უკეთუ ყოველთავე საქმეთა ჩვენ-
 თა ვიხსენებდეთ, ვპოვნეთ თავნი ჩვენნი მრავალთა ბრალ-
 თა თანამდებ.⁴⁶ ვინმცა იპოვა ჩვენგანი წმიდა ანგაპარები-
 საგან? რამეთუ ნუ იტყვი საზომსა, არამედ უწყოდე⁴⁷, დალა-
 ცათუ მცირესა ზედა იყოს, სასჯელისა თანამდებ არს. ესე

გულისკმაძიებელი და ინანი. ვინ არს, რომელსა არამცა ეთქვა
 ძისა ძიძართ არცა [S123] დიდი, არცა მკირე სიტყვა ვინებისა,
 რომელ-ესე გვენიისა თანამდებ არს? ვის არა განუკითხ-
 ავს სადა მოყვასი, ვინა ძვირი-უზრახავს, რომელ-ესე გან-
 კითხვისა საუკუნისა მი'ხე'ს არს? ვინ არა აღ'ხუავებულ
 არს, რომელ-ესე არაწმიდა კყოფს კაცსა? ვის არასადა
 მოუხედავენ თუაღლითა ვნებუღლითა, რომელ-ესე მრუშება არს
 სიტყვისაებრ უფლისა? ვინ არა განრისხებულ არს, რომელ-
 ესე თანამდებ არს კრებულისაგან განსლვად?⁴⁰⁸ ვის არა
 უფიცავს ოდეს, რომელ-ესე უკეთურისაგან არს? უკეთუ
 ვეძიებდეთ, ვრ'ეცა ფიცვი ვპოვოთ ჩვენ თანა, რომელ-ესე
 უმეტე[A136]ეს არს უკეთურებისა. ვინ არასადა⁴⁰⁹ კმონა მა-
 მონასა, რომელ-ესე მონებისაგან ღმრთისა განმაგდებს?⁴¹⁰
 მაქუს სხუაცა მრავალი საქმე ჩვენთა სახსენებელი, არამედ
 კმა-არს ესე ღმობიერად აღსარებად მოყვანებად, უკეთუ
 ვინ არა სრულიად გულქვა იყოს, რამეთუ უკეთუ თითოეუ-
 ლი ამათ საქმეთაგანი შემძლებულ არს გვენიად შთაგდუ-
 ბად, ოდეს ყოველნი შეკრბენ ერთბაშად, რამე ყოფად
 არს? აწ უკუე ვითარმე ვსცხონდეთო? იტყვიან მრავალნი
 ამათ [S124] სიტყვათა ზედა, ხოლო ამასცა მითხრობად
 მზა ვარ, – დაესდვათ თითოეულისა ამათ ცოდვათაგან
 მოწვენულისა წყლულებასა ზედა წინააღმდეგობისა მისისა
 სათნოებისა წამალი და განიკუროს. ესე იგი არს: მოწყ-
 ალება, ლოცვა, ღმობიერება, აღსარება, სინანული, ცრემლნი,
 სიმდაბლე, გული შემუხსრვილი, შეურაცხება სოფლისა, მიტყუ-
 ბა ბრალთა მოყვსისათა,⁴¹¹ მადლობა ღმრთისა წყალო-
 ბასა ზედა, მარხვა ძალისაებრ, ვედრება ღმრთისა, მარადის
 მოგება [A137] მეგობართა მამონასაგან⁴¹² სიცრუვისათა,
 ხსენება სიკვდილისა და ხსენება სასჯელისა, განშორება
 ყოველთავე ამათა და ბოროტთა გულისსიტყვათა, გან-
 წმედა გულისა ყოველისაგან ბიწისა და ზიარება წმიდათა
 საიდუმლოთა, რამეთუ მრავალნი გზანი უჩვენებიათ ღმ-
 ერთსა ცხოვრებისანი, უკეთუ ვინებოთ სლვად. ვილოცოთ
 უკუე, ძმანო, სლვად მათ შინა, რათა მივიწივნეთ საუკუნეთა

მათ კეთილთა, რომელთა ღირსმცა-ვართ ყოველი მიმთხვე-
ვად მადლითა და კაცობიოყვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო
ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა
მამით [S125] და სულით წმიდითურთ, აჲ და მარადის და
უკუენითი-უკუენისამდე. ამინ.

სწავლა იმ

ზიარებისათვის წმიდათა⁴⁵ ქრისტეს საიდუმლოთა

საეკარელნი, უფალი ჩვენი იესო ქრისტე ბრძანებს: „*მი-
იღეთ და სჭამეთ, ესე არს ჯორჯი ჩემი და ძხუთ ამისგან*
[A138] *ყოველთა, რამეთუ ესე არს ხისხლი ჩემი*“⁴⁶ (მთ.
26.26). ხოლო წმიდა მოციქული იტყვის: „*რაუღებუხის სჭამ-
დეთ პურსა ამას და ხმიდეთ სასმელსა ამას, სიკუდილსა
უფლისასა*“⁴⁷ *მიუთხრობდით*“ (Iკორ. 9.26). რამეთუ ესრეთ
სოქუა უფალმან: „*ამას პყოფდით მოსახსენებულად ჩემდა*“
(ლუკ. 22.19). და ჩამდვიდვე ესე არს თავი ქველისმოქმედე-
ბისა მისისა, ხსენება სიკუდილისა მისისა, რამეთუ უკეთუ
ესთქუა, თუ⁴⁸ კანი გარდაართხნა და ქუეყანა დაამტკიცნა,
ზღუანი განჴინა, მნათობნი დაბადნა და ამისსა პირველ
მკედრობანი ანგელოსთანი შექმნნა, სხვანი იგი ყოველნი
თუ საკვირველებანი მისნი წარმოვსოქუნე, ვერარას ვიტყვი
სწორსა ამისასა, რომელ თავი თვისი ჩვენთვის მისცა სიკუდი-
ლსა,⁴⁷ რათა უცხოქმნილნი და წარწყმედულნი მომიდიუ-
ნა და შვილ ღმრთისა მყვნა. ესე არს თავი ყოველთა
კეთილთა, ესე არს [S126] საიდუმლო დიდებული, რომელი
საუკუნითგან დაფარულ იყო და აჲ გამოსჩნდა. სურვილით
უკუე და სარ[A139]წმუნოებით მიუხდეთ წმიდასა მას და
შესადრწუნებულსა საიდუმლოსა, გარნა ჩუმცა ვინ მოუხდე-
ბის სამოსლითა ხენეშითა, რათა არა გარუგანვარდეს. ჩუმცა
ვინ არს იუდა, ჩუმცა ვინ არს სვიმონ მოგვი, რამეთუ ესე
ორნივე ვერცხლისმოყვარებითა წარწყმდეს. ვივლტოდეთ
უკუე ჩვენცა ბოროტისა ამის ვნებისაგან, განვეშორნეთ
მოხვეჭისაგან გლახაკთასა და ტყუევნისგან⁴⁸ დავრდომ-
ილთასა. არიან ვიეთნიმე⁴⁹, რომელნი იტაცებენ გლახაკთა-

გან და შეიკრებენ საფასეთა და მით იქმან ბარძიმ-ფეშხ-
 უმხა თქროსახა, შემკობილსა თუაღლითა და მარგარიტითა
 და შესწირვენ ეკლესიათა, ეგრეთვე სტაურებსა⁴⁰ თქროქს-
 თუილსა და სხუასა მრავალსა საფასითა დიდადლითა მოგუ-
 ბულსა. აწ უკვე იტყვის უფალი: „*არა ესევეთარი შესაწირავი*
გამოვირჩიო“. გონება, კაცო, თუძკა ესევეთარი ძღვენი სთნავს
 უფალსა? ნუ იყოფინ! უკეთუ გნებავს პატივისცემად
 შესაწირავისა მის, [A140] სული შენი პქმენ თქროდსა [S127]
 უბრწეინვადავს, რომლისათვის დაიკლა ქრისტე და შესწირე
 იგი ძღუნად მისა. ხოლო უკეთუ სული შენი იყოს ბრკენისა
 და თიჯისა უხენეშეს, რაჲ არს სარგებელი ჭურჭელთაგან
 თქროდსათა და ეეცხლისათა? აწ უკვე, რომელსა გნებავს
 შეწირვა ძღვენთა ეკლესიად, პირველ სული შენი წმიდა-
 კეჲ ცოდვათაგან და შესწირე. ესე არს ძღვენი ყოველთა
 ძღვენთა უპატიოსნესი, ხოლო გნებავს თუ ხილულისა(ცა
 ძღვენისა შეწირვად, ეგვეთარი პქმენ ძღვენი იგი, რათა
 ყოულადვე არა ერთოს ანგაპარებასა, ანუ მონახევეჭისა
 ნაწილი, რამეთუ არა თუ ეკლესია სათქრომჭედლო არს,
 რათამცა თქროსა ხოლო და ეერცხლსა ეძიებდავ, არამედ
 სიწმიდე სულისა სახმარ არს და რა-იგი სიწმიდით მოგუ-
 ბული იყოს, მას შეიწირავს ღმერთი. არა იყო მაშინ ტაბლა
 იგი ეეცხლისა, არცა ბარძიმი იგი თქროდსა, რომლითა
 აზიარნა ქრისტემან მოწაფენი, გარნა პატიოსნება და ბრწყ-
 ინვალება მისი [A141] შესადრწუნებელ იყო და თუაღშეუდგამ,
 რამეთუ სავსე იყო სულითა წმიდითა. გნებავს-ა, ქრისტეს
 საიდუმლითა პატივისცემად? ნუ [S128] უგულუბელს-ყოფ
 მას, რაჲამს იხილო მშიერი, გინა წყურიელი, გინა თუ შიშეუ-
 ლი. რაჲ სარგებელ არს ეკლესიასა სტაურათა მრავალ-
 სასყიდლისათა შეწირვა და გარე ხილვა ქრისტესი, სი-
 ცივესა შინა და სიშიშველესა და უგულუბელს-ყოფად?! არა
 უწყი-ა, რამეთუ რომელმან სთქუა: „ესე არს ჳორცი ჩემი“
 და საქმით სიტყვა დაამტკიცა, მანვე სთქუა: „*მიხილეთ მე*
მშიერი და არა მეცით მე ჳამადი, შიშველი ვიყავ და არა
*შემმოსეთ მე, რამეთუ რაუდენი*⁴¹ არა უყავთ ერთსა მკირ-

ეთაგანსა. მე არა მიყავთ" (მთ. 25.42.45). ვისწრაფოდ უკვე
 პატივისცემა ქრისტესი ესრეთ, ვითარცა მას ძნებაეს და ნუ
 ვითარცა სვენ, რამეთუ პატივი წმიდათა საიდუმლოთა ესე
 არს, რათა სულისთა განწმენდითა ცოდვისაგან ვუ
 'ხიარებოდეთ, რამეთუ არა ჭურჭელნი ეხმარებიან ღმერთ-
 ხა თქროისანი, არამედ სულის თქროისა უბრწვინვალესნი.
 ხოლო თქრო და ვერცხლი გლახაკთა სუდა წარაგეთ. და
 ამას არა თუ ვაყენებ სამკაულთა ეკლესიათა შეწირვად,
 არამედ ამას ვიტყვი, ვითარმედ პირველ ყოვლისა, გლახაკ-
 თა მოღვაწეობამცა არს საძიებელ სვენდა, რამეთუ ეკლესი-
 აცა შესაწირავთა, რომელნი წმიდა იყვნენ [S129] ყოვლისავე
 მონახეუჭისაგან, შეიწირავს ღმერთი. გარნა გლახაკთმოყ-
 ვარებასა ყრთად უმეტესად შეიწირავს და სათხო-ინიებს.
 რამეთუ რად სარგებელ არს, უკეთუ საკურთხეველი საესე
 იყოს თქროდთ და ეეცხლითა და სამოსლითა თქროქსო-
 ვითთა და თავადი ქრისტე სდგეს გარე, მშიერი და წყუ-
 რიელი და შიშველი? პირველად იგი იღვაწე – სასრდელ-
 თთა და სამოსლითა და მერმე ეკლესია შეამკევ. რამეთუ
 მითხარდა, უკეთუ ვინ იხილო მშიერი და წყურიელი და
 შიშველი, ჭირვეული და არა სცე პური, არცა ასუა სასმელი,
 არცა შემოსო სამოსელი, არამედ შეიყვანო ტაძარსა
 თქროდესულსა და უხვეხო ტაბლა ქანდაკებელი, მადლი-
 ერმცა გექმნა-ა? ნუ იყოფინ! ეგრეთვე ქრისტესთვის გულისც-
 მაჰყავ, ოდეს იგი უცხო [A143] და ჭირვეული მიმოვიდოდეს
 და შენ დაუტევო შეწყენარება მისი და ტაძართა ამკობდე
 მარმარილოდთა და სვეტებითა თქროდთ და ეეცხლითა
 და სტავრითა⁴², არარად არს სარგებელ შენდა. არამედ იგი
 შეიწყენარე, პირველად იგი იღვაწე და მერმე ესეცა რა პქმნე,
 კეთილ არს. არა ქმნისათვის თქროდსა და ეეცხლისა
 სამკაულთათვის [S130] არავინ სადა ბრალეულ არს, ხოლო
 უდებებისათვის გლახაკთა წყალობისა ჯოჯოხეთი გან-
 მზადებულ არს, (ვეცხლი უშრეტი და უშმაკთა თანა დას-
 ჯად. აწ უკუე, ნუ იქმ ამას, რათა ტაძარსა ამკობდე და
 ქრისტეს ძმად ჭირვეული უგულებელს-პყო, რამეთუ ესე

ცადარსა მისსა უპატიოსნეს არს²⁵. ესე სამკაულნი ნუქქვე
 წარტაცენ მკეცთა ურწმუნთა, ან მპარავთა და ავაზაქ
 თა, ხოლო რავდენიცა კქმე მისა თანა მძიერსა და მძი-
 ელსა და უცხოსა, წარუპარუელად ეკოს უკვე: ვერც თუ
 ყოველნი კრებულნი ეშმაკთანი შეითქენ, ჰელ-ეწიყების
 წარტაცებად იგი. [A144] ხოლო მეტყვიან ვითინძე: ვითარ
 სთქუა უფაღმან: „კლახიკნი მარადის თქვენ თანა არიხ,
 ხოლო მე არა მარადის თქვენ თანა ვარ“? (მთ. 26,11). მეცა,
 ძმანო, ამისთვის ვიტყვი, თუ: ჯერ-არს მოწყაღებით და წადი-
 ურად ქმნად მოწყაღებისა, რამეთუ არა ვპოვებთ მას მა-
 რადის მძიერსა, არამედ ამას ხოლო საწუთროსა და ესე
 არს უამი წყაღობისა, ხოლო უკეთუ გნებავს ცნობად, ყოუ-
 ლითურთ ძაღით სიტყვისა ამის ისმინეთ, ვითარმედ: სიტყ-
 ვა ესე არა მოწყაღთა მიმართ²² თქმულ არს, დაღათუ ეს-
 რეთ სნანს, არამედ [S131] უძღურებისა მიმართ დედაკა-
 ცისა მის, რამეთუ ვინათგან იგი უმეცარი იყო და უძღური,
 ხოლო იგინი აბრადებდეს, ინება უფაღმან ნუგეშინის(კემა
 მისდა, ამისთვის სთქუა სიტყვა ესე, ვითარმედ: „რახსა
 შრომასა შეამთხვევთ დედაკაცსა მაგას, რამეთუ საქმე
 კეთილი კქმნა ხემდამო?“ (მთ. 26,10). ხედავ-ა, რამეთუ ნუგ-
 ეშინის(კემისა მისისათვის სთქუა, თუ: „მე არა მარადის
 თქვენ თანა ვარ“ (მთ. 26,11), რამეთუ საცნაურ არს, ვი-
 თარმედ მარადის ჩვენ თანა არს, ვითაცა იტყვის თავადი,
 ვითარმედ: „აჰა ესერა მე თქვენ თანა ვარ ყოველთა დღუ-
 თა და ვიდრე აღსასრულად[A145]მდე სოფლისა“ (მთ.
 28,20). ამის ყოველისაგან ცხად არს, ვითარმედ ესე იყო
 პირი სიტყვათა მისთა, რათა სარწმუნოება დედაკაცისა მის
 მაშინ აღმოცენებული არა განახმოს შერისხვამან მოწყა-
 თამან. ხოლო ჩვენ ნუ შემოვიდებთ შორის სიტყვათა ამათ,²⁵
 რომელნი განგებულებითა რომლითამე თქმულ არიან,
 არამედ რომელნი-იგი²⁶ სჯულად და წესად მოცემულ არიან
 მორწმუნეთადა, ახალსაცა შინა სჯულსა და ძველსაცა
 მოწყაღებისათვის, იგინი აღმოვიკითხნეთ და ფრიადი
 მოსწრაფება ვაჩვენოთ ამას საქმესა ზედა, რამეთუ განმ-

წმედელ არს ცოდვათა ჩვენთა საქმე ესე, ვითარცა იტყვის, ვითარმედ: „*მოეცით [S132] მოწყალება და ყოველივე წმინდა-იყოს თქვენდა*“⁴²⁷. ესე უადრეს მსხვერპლისა არს, ვითარცა იტყვის: „*წყალობა მნებაეს და არა მსხვერპლი*“ (მთ. 9.13). ესე კაცთა განასუამს, ვითარცა იტყვის: „*ღოღკვანი ეგე შენნი და ქველისსაქმენი ადვიდეს სახსენებლად შენდა წინაშე ღმთისა*“ (საქ. 10.4). ესე უადრეს არს ქაღწეულებისა, რამეთუ ქაღწეულთა, რომელთა არა აქენდა ესე, განითხივნეს სასიძლოსა მისგან [A146] და რომელთა აქენდა, ბრწყინვალედ შევიდეს. ვინათგან უკვე ესე ყოველი ესრეთ არს, ვიდვაწით, ძმანო, თესვად წყალობისა, რათა წყალობაცა მოვიძკოთ და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირსვიქმნეთ მიმთხვევად მადლითა და კაცთმოყვარებითა უყლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა თანა მამასა სულით წმიდითურთ კმევენს დიდება, პატივი და თაყვანისცემა, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სწავლა ით

სიწმიდისათვის სულისა

აწ უკუე, საყვარელნი, ვისწავოთ, თუ რომელნი საქმენი წმიდადსიოფენ სულსა, ანუ რომელნი საქმენი შეაგინებენ კაცსა. ვისწავოთ და ვეკრძა[S133]ლნეთ, რამეთუ ვხედავ მრავალთა თანა ჩვეულებასა ესევეითარსა და ფრიადსა მოსწრაფებასა, რათა მოვიდოდინან რა ეკლესიად⁴²⁸, სამოსლითა მოვიდინან წმიდითა და ჳელითა დაბანილითა, ხოლო რათამცა სული განწმედილი ცოდვათაგან წარმოუდ[A147]გინეს ღმერთსა, არცა ერთი აქუს მოსწრაფებაჲ. აწ უკუე, ძმანო, არა თუ ვაყენებ ვის დაბანად ჳელთა და პირსა და ყოველთავე გვამთა, არამედ რათა წყლისა⁴²⁹ წილ სათნოებითა განიბანოს, რამეთუ მწიკვლოვანება პირისა არს: ძვირისზრახვა, გმობა, გინება, ტყუილი, სიტყვათა ხენეშთა და უსარგებლოთა მეტყველება, სიცილი და კაღნიერება. უკეთუ არა შეგიცხიობიეს თავისა შენისა ესევეითარი, შეუორგულებლად მოუვდ ეკლესიად და მიიღე წმი-

და საიდუმლო, ხოლო უკეთეს მრავალგზის შებღაღულ ხარ ამათგან, რად გერგოს წყლითა ბანად პირისა და სიმერალისა მის ბოროტისა პირსა შინა ტვიროთა? კვალად ჰელთა მწიკვლეუვანება არს ყოველივე საქმე ცოდვისა: სიძვანი³⁰, მრუშებანი, ანგაპარებანი, მტაცებლობანი და მსგავსნი ამათნი. არს ფერტთაცა მწიკვლეუვანება – სლვად გზისა ცოდვისასა. [S134] იხილე გულისაცა მწიკვლეუვანება: გულისთქმანი ბოროტნი, გემთმთოყვარებანი, შე[A148]რნი, ძვირისზრახვანი, ზეაობანი, მზაკვრებანი და სხუანი მრავალნი ამათნი. ხოლო შენ უკეთესცა მწვირე გაქენდა ჰელთა, ვერმცა იკადრე შესლვად ეკლესიად. დადაცათუ არა, უერა არს მისგან საუნებელი. ვითარ უკუე გარეწართა ამათ ზედა ესრეთ მოსწრაფე ხარ, ხოლო შინაგანთა მათ და საძიებელთა ზედა ესრეთ უდებ? რად ვუთო, – მეტყვიან ვიეთნიმე, – არა ვილოცვიდეთ-ა? ჰე, ფრიალცა თანა-გადო ლოცვად, გარნა არა შებღაღულითა ესუეითართა მწიკვლეუვანებითა. კვალად იტყვის მეტყველი იგი: რად ვუყო, უკეთეს შთაურდომილ ვიყო მრავალთა ცოდვათა განსაცდელთა ეშმაკისათა? უკეთეს შემთხვეულ არიან შენდა ცოდვანი, კაცო, განიბანე თავი შენი და განიწმიდე. ვითარ განვიბანო? ვითარ განვიწმიდო? განიბანე ცრემლითა, სუელთქმითა, აღსარებითა; მიეც ქველისსაქმე შენი გლახაკთა, დაეგე, უკეთეს ვინ შეგიწუხებებს, მოისპენ ბოროტნი გულისსიტყვანი გულისაგან, დასცხერ [S135] ყოვლისავე ცოდვისაგან, ევედრებოდე ღმერთსა ღმობიერებითა, ესრეთ განიბანე და განიწმიდე ყოვლისავე მწიკვლისაგან ცოდვათასა. ხოლო უკეთეს შებღაღულ იყო საქმეთაგან ბოროტთა და ენა შენი სავსე იყოს ზაკვითა ბოროტითა და არა განიწმიდო თავი შენი, არამედ ესრეთ შებღაღული მიხვიდე წინაშე ღმრთისა ლოცვად და ზიარებად, წყლითა განბანად არარას გერგოს ყოვლადვე, არამედ გესმას შენცა: „უკეთეს განამრავლო ევედრება, არა შევისმონო თქვენი“ (ეს. 1,15). უკეთეს ვინ აქენდეს ჰელნი შებღაღულნი მწვირითა და მივიდეს ვედრებად მეფისა და უპერნეს ფერტნი, ისმინოს-ა მისი? მე

ეტონებ, სცეს მას. ფერჯითა პირსა, ეგრეთვე შენ, კაცო, ეგრძელე საქმესა ამას და ნუ იკადრებ შებღალული მისდევად წინაშე მის ბარძიძისა, არამედ განიბანე პირველად, რამეთუ აღვიდ არს განბანაჲ ესე და არა ძნელ. უკეთემცა არა განეწესა განბანაჲ ესე უფაღსა, არამედ ეძიებდამცა ნუენგან ყოულად შეუგინებლობასა, ძნელმცა³¹ იყო ნუენ ზედა ესე, ხოლო ვინათგან [A150] მოეთხრობელთა მით წყალობითა მისითა განაწესა სინანული და შებღალულთა ამათ მრავალთაგან ცოდვათა [S136] განგუწმელს ცრემლითა და სულთქმითა, არარაჲ გუაქეს მიზეხი, არამედ ვისწრაფით განწმელად სულთა, რათა არა ნუენდა მოძაროთ სიქეას, ვითარმედ: „*ესთქუ, შემდგომად ყოველთა მათ ბოროტთა ნემდაჲე მოიქეც და არა მოიქეცა*“ (იერემ. 3,7). განიბანე მ, კაცო, პირი შენი და ენა სიტყვათაგან ბოროტთა, რათა კადნიერებით ევედრებოდეთ³² ღმერთსა, რამეთუ წერიდ არს: „*ცხოვრება და სიკუდილი ჳელთა შინა შენთა არს*“ (იგავ. 18,21), და „*სიტყვათა შენთაგან განძაროლდექ*“ და „*სიტყვათა შენთაგან დაისაჯო*“ (მთ. 12,37). აწ უკუე მსგავსად გუგათა თვალისათა დაიცუე ენა შენი, რამეთუ ასწავო თუ მას წესიერება, იქმნას ეტლ მეუფისა, ხოლო დაუტევო თუ წარმდებებით სლვად ყოველსაჲე ბოროტსა შინა, იყოს იგი სახედარ ეშმაკისა, რაჲამს ადიესებოდეს ყოულთაჲე გინებთა და ბოროტისმეტყუელებითა, გულისწყრომითა, ზაკვითა [A151] მოყვისათა და სხვითა მრავლითა ბოროტითა. ამისთვის გვედრები, ძმანო, უკეთუ გნებავსო, რათა კადნიერებით ევედრებოდეთ ღმერთსა, ყოულსაჲე რისხვისა და გულისწყრომისაგან წმიდა-ჰყავთ სულნი თქვენნი. ვითარცა იტყვის მოციქული, ვითარმედ: „*მნებავს ლოცვა მამათა, ყოველსა აღვიდისა აპყრობად წმიდაჲ ჳელთა, [S137] თეინიერ რისხვისა და გულისწყრომისა, ეგრეთვე დედათა წესიერებასა სანკაულთა მორცხვედ და ღირსებით შემკობად თაეთა თვისთა*“ (1ტიმ. 2,8-9). აწ უკუე, კაცო, ნუ სირცხვილუელ-ჰყოფ ენასა შენსა. უკეთუ არა, ვითარ შეიწიროს შენთვის ვედრება, ოდეს კადნიერებადა თვისი

წარეწევიდოს? არამედ შეამკვე იგი სიტკბაებითა, სიმღ-
 აბლითა, სახიერებითა, ღირსებითა, ადავსე იგი კერთხევითა,
 მოწყაღებითა, რამეთუ იქმნების სიტყვითაცა მოწყაღებად,
 რაჟამს ეტყოდეს კაცო გლახაკსა სიმშვიდითა და მშვი-
 დობითა. ადავსე პირი შენი კვალად ქებითა უფლისათა და
 წერთითა⁴⁴ სამდითთა წერიდითათა, ვითარცა წერილ არს:
 [A152] „ყოველი თხრობა შენი იყავ ხჯუღსა შინა
 უფლისასა“ (ზორ. 9:20). ესრეთ რა შევიმკვნეთ⁴⁵ თავნი ჩვენნი,
 მერმე მოუხდეთ უკვალსა და მეუფესა ჩვენსა და შეუვრდუ-
 ბოდეთ მიხლთმოდრეკით, არა ხოლო გუამითა, არამედ
 გონებითაცა ღმობიერითა და მხურვალითა. გულისკმა-
 ცხეთ, თუ ვის შეუვრდებით, ანუ რაფსათვის შეუვრდებით
 და რასა ვითხოვთ. ღმერთსა შეუვრდებით, რომელი იხ-
 ილთნ რა სერაფიმთა, პირთა [S138] დაიფარვენ და ბრწყინ-
 ვალებასა მას ვერ იტვირთვენ, რომლისაგან ქუეყანა სძრ-
 წის⁴⁶ მოხედვითა ხოლო წამის-ყოფითა მისისათა. ღმერთ-
 სა შეუვრდებით, რომელსა აქეს უკუდავება და ნათელსა
 მყოფ არს მიუწდომელსა. მხოლოდ მეუფე მეუფეთა და
 უფალი უკვალთა, რომლისა არს პატივი და ძალი საუკუ-
 ნოდ. და რაფსათვის შეუვრდებით, ანუ რაფსა ვითხოვთ ხს-
 ნასა საუკუნეთაგან სატანჯველთა, შენდობასა ცოდვათასა,
 მიმთხვევასა სასუფეველისასა და მკვიდრობასა კეთილთა
 მათ მოუგონებელთასა? [A153] შეუვრდეთ უკუე ჳორციითა-
 ცა და გონებითა, რათა მან აღგვაღვინნეს ქვემდებარენი
 ესე. შეუვრდეთ და ვითხოვნეთ ზემოწერილნი იგი საქმენი,
 შენდობა ცოდვათა და გამთხსნა გუენისაგან და წყალობა
 მისი უხვებით. ნუმცა⁴⁷ რას ჳორციელსა ვითხოვთ, ნუმცა⁴⁸
 მტერთა ჩვენთამცა ვწყევთ⁴⁹, გარნა ხოლო ეშმაკთა. ნუცა
 ვის კაცთაგანსა შეასმენ, ძმაო, ლოცვასა შინა, ხოლო გნებაეს
 თუ⁵⁰ შესმენად, თავი თვისი შეასმინე⁵¹; უკეთუ გნებაეს აღ-
 ლესვა ენისა შენისა, ცოდვათა შენთა [S139] განქიქებად
 აღლესე. ნუ მას იტყვი, უკეთუ რაიმე ძმამან გაუნო, არამედ
 რაფ-იგი შენ ავნე თავსა შენსა. რამეთუ ესე არს ჳეშმარო-
 ტი ვნებად და ნანდვილვე⁵² ვერვის ჳელ-ეწიფების ვნებად

შენდა, უკეთუ არა შენ თვით აენო თავსა შენსა. აწ უკეთუ
გნებავს თუ მაგნებელთა და ბოროტისმყოფელთა შენთა
შესმენად, ყოველისა პირველად თავი შენი შეასმინე და
კეთილი იყოს შენდა შესმენა ესე. ხოლო უკეთუ მოეცისა
შესმენა სთქუა ღოცვასა შინა, დიდად აენო თავსა შენსა
და სიტყვაჲა მებრ ესე [A154] (კრუ არს, რამეთუ რას საგნე-
ბელი სთქუა სხვისა მიერ შენ ზედა მოწვენიად – გინებანი
ანუ ზღვევანი, ანუ ჯორციელნი ჭირნი სთქუნჲა? არამედ
უკეთუ განვიფრთხიოთ ესე ყოველი, უფროსად სარგებელ
არს სვენდა, რამეთუ რომელმან ესეუითარი უყოს მოეცასსა,
არა თუ მას ავნებს, არამედ თავსა თვისსა. და ესე არს
ყოველთა ბოროტთა დასაბამი, რომელ არცა თუ ვიცით, ვინ
არს ვნებუელი, ანუ ვინ არს მაგნებელი, რამეთუ ესე თუმცა
ვიცოდეთ, აროდესცა ვაენოთ თავთა სვენთა ძვირისზრახ-
ვითა და ძვირისხსენებითა ძმათათა. და მიკვირს, ვითარ
უმეცარ ვართ საქმესა ამას, [S140] ვითარმედ შეუძლებელ
არს, თუმც მეთრისაგან ვის ბოროტი შექმთხვია, არამედ
კაცად-კაცადი თავსა თვისსა ავნებს. რომელ-იგი წარიტა-
ცა მონაგები შენი, რომელმან გაზღვია, რომელმან ჭირი
გაფარა – თავსა თვისსა აენო, ხოლო შენ დიდად გარგო,
უკეთუ ახოენად თავს-იდევ შენ, რამეთუ უკეთუ ვინ მოიტა-
ცოს მეთრისაგან მახვილი და განიწონოს გულისა თვისსა,
რომელსა ეენო – რომელმანც მოიტაცა-ა, ანუ რომლისა-
გან მოტაცა? საცნაურ არს, ვითარმედ იგი წარწყმდა, რომელ-
მან მისტაცა. ეგრეთვე არიან ჯორციელნი ესე საქმენი:
ყოველივე, რომელნიცა ვინ მეთრისაგან მიიტაცნეს⁴³ და
ძმა თვისი შეაწუხოს, თავსა თვისსა ავნებს და მას არგებს.
ამისთვის, საყვარელნი, ნუმცა ვინ ავნებს ძმასა ჯორციელად,
რათა არა სულსა თვისსა განაწონოს მახვილი. ნუმცა⁴⁴
ვინ შეწუხებულთაგანი მწუხარე არს, რამეთუ არა ეენო,
არამედ უფროსდა ერგო. ნუ ძვირსა იხსენებს, რათა არა
სარგებელი თვისი წარწყმიდოს, არამედ აკურთხედინ და
ულოცევდინ მაჭირებელთა თვისთა, რათა მიიღოს ღმრთი-
საგან უხვეებით კურთხევა. ესრეთ თუ აღვასრულეთ მცნე-

ბა ქრისტესი, აქაცა მეუდროებით ვცხონდებოდეთ, ძმანო, და საუკუნესა მასაცა ნაუთხაყედელსა მივიწვივნეთ და წარუვაღთა მათ კეთილთა მივეძიხვივნეთ მადლითა და კაცთ-მოყვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აჲ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სწავლა კ

სამღთოთა წერილთა წურთისათვის

გუგუდრები, საყვარელნი, ვიწურთიდეთ მარადის სამღთოთა სიტყვათა, რამეთუ დიდი სარგებელი არს სულისა საქმე ესე და დიდთა კეთილთა⁴⁵ მომატყვებელი, რამეთუ ვიწურთიდეთ თუ სიტყვათა ღმრთისათა, მარადის სათნო-ვეყვნეთ უფალსა და სულისა წმიდისა მადლი მივიდეს ჩვენ ზედა და განაჩათლნეს თუალნი გუღთა ჩვენთანი⁴⁶ და ესრეთ საშინელ ვიყვნეთ⁴⁷ ეშმაკთა. ანუ არა უწყითა, რამეთუ ამისთვის მომცნა ჩვენ ღმერთმან თუალნი და ყურნი და პირი და სასმენელი, რათა ყოველნი ასონი ჩვენნი მას კმსახურებდენ? რათა პირი ჩვენი სიტყვათა მისთა იწურთიდეს⁴⁸ და მას უგალობდეს დაუცხრომელად, მისა შესწირვიდეს მადლობასა, [S142] რათა სასმენელი ჩვენი მცნებათა მისთა ისმენდეს და თუალნი ჩვენნი სამღთო წერილთა აღმოიკითხვიდენ, ჴელნი ჩვენნი იქმოდენ საქმეთა სათნოებისათა და გონება ჩვენი განწმედელ იყოს ყოველისაგან⁴⁹ ნიუთიერისა [A157] ვნებათასა. რამეთუ ვითარცა ჴორცნი იყენიან რა ჰაერსა შინა კეთილსა, მრთელ⁴⁵⁰ არიან, ეგრეთვე სული, ესევითარსა რა წურთსა შინა იყოს, განწმედელ არს ყოველისაგანვე ბოროტისა და განთავისუფლებულ არს სენთა მათგან ცოდვისათა. არა ჰხედაუ-ა თუალთა მათ ჴორციელთა, ოდეს კუამლთა შინა იყენენ, ვითარ სცრემლოან და მრღვიე არიან⁴⁵¹, ხოლო იყენიან რა ჰაერსა კეთილსა სამოთხესა შინა ყვავიდლოვანსა⁴⁵² და წყაროთა⁴⁵³ ზედა გრილთა, ვითარ მხიარულ და კეთილად მხედველ არიან? ეგრეთვე არიან თუალნიცა

სუელიერნი – თდეს სამდთხესა შინა სამდთთთა სიტყვათაბა ვიქცუოდეთ, ფრთხილ არიან და კეთილად მხედუელ, ხოლო შევიდეთ რა კუამდსა მას შინა საქმეთა სოფლისათა, კრემლი და ტირილი მხედების მათ აქაცა და მერმესა მას, რამეთუ ჩამდვილადვე კუამდსა მსგავს არიან კაცობრიუნი საქმენი. ამისთვისცა წინასწარმეტყველი იტყვის: „*შთა[S143]კლდა ვითარცა კუამდსა დღეთა ჩემთასა*“ (ფს. 101.4). არამედ იგი მსწრაფლწარმავლობასა მათსა მოასწავებდა, ხოლო მე არა [A158] ამას თდენ, არამედ შუთთისა მისცა და დაუდგრომელობისა მათისათვის ვიტყვი მსგავსებად კუამდისა. ჰემმარიტად არარას არს ესრეთ აღმდურეველ თუაღთა სულისათა და დამაბნელებელ⁴⁵⁴, ვითარ საწუთოსა ზრუნეანი და გულისთქმითა არმური. ესე არიან ჩივთ საჭმიდისა მის და აღმატყინებელ კუამდისა მის და ვითარცა ცეცხლსა დაერთვის რა შეშა⁴⁵⁵ ჩედლი და სუელი, ფრიადი აღუტელის კუამლი, ეგრეთვე გულისსათქმელმან ბოროტმან, რაქამს კპოვის სული აღვსებული მწვირითა მით დახსნილობისათა, კუამლი ვშირი განამრავლის ვნებათა. ამისთვის სახმარ-არს ჩვენდა ცუარი იგი და ჩიავი სულისა წმიდისა, რათა სახმილი იგი დაშრიტოს და კუამლი იგი განაქარვოს და გონება ჩენი განაჩათლოს, რამეთუ ვიდრემდის ესე ვითარითა მით კუამლითა დაბნელებელ ვიყვნეთ და ვნებათა სიმძიმითა დამძიმებულ, ვერ ველ-გუეწიუების ზეცად აღსლვა, რამეთუ ფრიადი სიფრთხილუ თუაღთა მიერ სულისათა და განწმედა ცო[A159]დვათაგან გვიღირს, რათა მოვიდეს ჩვენ ზედა მადლი სულისა წმიდისა და წარმოდევს გზასა მას ზე[S144]ცისასა, რამეთუ არა თუ იგი მოვიდეს ჩვენ ზედა, შეუძლებელ არს გზისა მის პოვნად, ხოლო უკეთუ არაწმიდა⁴⁵⁶ ვსყვნეთ თავნი ჩვენნი ყოველისაგან ბოროტისა, იგი არა დაიმკვიდრებს ჩვენ შორის. ამისთვის, ძმანო, ვისწრაფოთ განდევნად ყოველთა ვნებათა ჩვენგან და ვინებოთ განწმედად თავთა ჩვენთა წურთითა სამდთოთა სიტყვათათა. განუეშორნეთ ზრუნეთა

სოფლისათა ცუდთა, რომელთა შინა არარას არს კეთილი, არამედ ყოველივე მავნებელი. რომელი-იგი სულისა ხარგებელ იყოს, ღმრთისაცა საყვარელ არს, ხოლო რომელი-იგი მავნებელ იყოს⁴⁵⁷ სულისა, შემაწუხებელ არს ღმრთისა და სათნო ეშმაკისა. ანუ არა ესრეთ არს-ა, ოდეს ვიწყოთ 'ხრახვითა'⁴⁵⁸ ამათა, ოდესმე ვიცინოდეთ, ოდეს ვიკიცხოდეთ, ძვირსა ვ'ხრახვიდეთ, ვტყუოდეთ, ვფუცკვიდეთ, 'ხდაპართა ვიტყოდეთ, რა'⁴⁵⁹ იგი სეენდა არა საურავ არს, [A160] მას ვ'ხრახვიდეთ, ხოლო ფსალმუნებასა 'შინა და ღოცვასა და წიგნის კითხვასა დამძიმებულ და დახსნილ ვიყენეთ?'⁴⁶⁰ ვერ ძალ-გვედვის სამღთოთა სიტყვათა მცირედთაცა დასწავლად, ხოლო საეშმაკოთა შინა 'ემხურვალეს' (ვეცხლისა ვიყენით. მრავალნი არიან, რომელნი 'უკეთუ ვინმე განიკითხნეს [S145] და პკითხნეს სიმღერანი და საეშმაკონი ჳმანი და სატრფიალონი სიტყვანი, მრავალნი და მრავალსახენი წარმოსთქუენ და სამღთოთა სიტყვათაგან არცა თუ ერთი იცოდინ. არამედ რასა მომიგებენ ესეუთარისა მოქმედნი იგი: არა თუ სვენ მონაზონნი ვართო, არამედ სოფელსა 'შინა ვიქცევით და სოფლისა საქმეთა ვზრუნავთ, ხოლო ესეუთარი'⁴⁶¹ ეგე მონაზონთა საქმე არს, რათა ფსალმუნთა და ღოცვათა იწურთიდენ და წიგნთა იკითხვიდენ, ხოლო სვენ სვეულ ვართ სიმღერასა და განცხრომასაო. მ სიტყვანი ბოროტნი, მ გულისსიტყვანი წარმწყმედელნი! ამათ პევეს ყოველივე უკეთურება, [A161] რომელ-ეგე გგონიეს, თუ მონაზონთათვის დაწესებულ არს წიგნის კითხვა და არა უწყით, ვითარმედ თქვენდა უმეტესად სახმარ-არს ესე წამალი, რომელი-ეგე მარადის იწყლვით ეშმაკისა მიერ. აწ უკუე არაკითხვისა ფრიად' ესე უძვირეს არს, რომელ ეგრეთცა გაქუს, თუ არა სახმარ-არს თქვენდა, არცა თანადადებ კითხვა და წერთა სამღთოთა სიტყვათა. არა გესმის-ა, რასა იტყვის მოციქული პაულე? ვითარმედ: „ესე ყოველი საწერთელად⁴⁶² თქვენდა დაიწერა“. ნუუკუე მონაზონთათვის სთქუა-ა⁴⁶³ ესე? არა ყოველთა მორწმუნეთათვის იტყვის-ა? ანუ უფალმან მცნებანი თვისნი

არა ყოველთა მორწმუნეთა [S146] მოცა-ა?⁴⁶ ისმინე, რასა
 ეტყვის მოციქულთა⁴⁶: „წარვედით და მოიძიწავენით
 ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით მათ სახელთა
 მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ახწავებ-
 დით მათ დაძარხვად ყოველი, რაოდენი კამცენ თქვენ“
 (მო. 28.19). ვითარ უკუე იტყვიან, თუ მონაზონთა ხოლო
 უხმს კითხვა და სმენა წერილთა და⁴⁶ თქვენ არა გიხმს-
 ა? [A162] იხილენ კაცად-კაცადმან თაჲი თვისი, თუ ვითარ
 არს გონება მისი, ოდეს ესმოდეს ღოცვა, ანუ ვითარ არს,
 ოდეს ხიძლერა ესმოდეს; ვითარ არს, ეკლესიასა შინა რა
 იყოს და ვითარ არს, თიატრონსა შინა, და სკან⁴⁶ ცვაღუ-
 ბა იგი სულისა, თუ ვითარ ერთი იგი სული აქა სხუად
 შეიცვალების და მუნ – სხუად. ამისთვის იტყვის მოციქუ-
 ლი: „განრეყნიან წესნი კეთილნი ზრახვათა ბოროტთა“.
 ამისთვის გვიდირს ზედასზედა სმენად სიტყვათა სამდ-
 თოთა, რათა ჩვენი იგი ბოროტნი წესნი კეთილად მოიქც-
 ეს⁴⁶. არა უწყიათ-ა, რამეთუ ამით ოდენ უადრეს ვართ
 პირუტყვთა, რომელ პირმეტყველ ვართ, ხოლო სხუათა
 სახითა მრავლითა უადრეს ვართ⁴⁹ მათსა – ძალითა და
 სიმაღლითა⁴⁷ და სხვითა ესევეითარითა? აწ უკუე პირ-
 მეტყველება ჩვენი უძვირეს მათსა პირუტყვებისა იყოს,
 არა დიდად დასასჯელ ჩვენდა იქმნას-ა? საზრდელ სულ-
 თა ჩვენთა სიტყვანი [S147] ღმრთისანი არიან და ნაკლუ-
 ლევანება მათი სიყმილად წოდებულ არს, რამეთუ იტყვის
 უფალი წინასწარმეტყველისა [A163] მიერ: „მიესცე მათ არა
 სიყმილი პურის, ანუ წყურვილი წელისა, არამედ სიყმილი
 სასმენად სიტყვათა უფლისათა“. რას უკუე უძვირეს არს
 ამისსა, ოდეს რომელი-იგი უფალმან სატანჯველად რისხ-
 ვისა სთქუა, შენ ჩეხსით თვისით მოაწით სულსა შენსა –
 სიყმილი იგი ბოროტი? არა ხედავ-ა, ვითარმედ სული სი-
 ტყვათაგან თვითოსახედ იცვალების? სიტყვამან აღძრის
 იგი რისხვად, სიტყვამან დაამშვიდის; და კვალად, სიტყვა-
 მან ბილწმან აღაზრზინის გულისთქმად, სიტყვამან სიწ-
 მიდისამან შეაყვარის სიწმიდე. ვინათგან უკუე სიტყვათა

დიციონია ესოდენი ძალი აქეს, ვითარ წმიდათა წერილთა
 შეკრაცხაყოფ, რომელთა შინა ძალი სულისა წმიდასა არს
 და ამისათვის ძალ-უც სულთა მათ განვიცხებულთა მოღ-
 ბობად უმეცეს ცეცხლისა, უკეთუ ხარწმენობით მოუხდენ?
 ესრეთ კორინთელნი იგი განვიცხებულნი მოაღბნა პავლე
 სწავლითა თვისითა, ვითარცა ცვილი ცეცხლმან, ვითარცა-
 იგი თავადი [A164] სწამებს, რამეთუ ისმინეთ რასა მოუწ-
 ერს: *...აჲ ესერა მანვე ღმრთისა მიერ მწუხარებამან [S148]
 მაგან თქვენმან, რავედენი შექმნა თქვენ შორის სწრაფეა,
 რავედენი მომადლეა, ანუ რავედენი ღხინი, რავედენი შიში,
 რავედენი სურვილი, რავედენი შური, ანუ რავედენი შურისგუ-
 ბა“* (II კორ. 7.11). ესე ყოველნი სწავლამან მოციქულისამან
 აქმნა მათ შორის; ესრეთ ძალ-უც სიტყვათა სამღთოთა;
 ესრეთ მცირე თანამდებთა სარგებელ არიან. იხილეთდა
 დავით, ვითარ ოდეს-იგი დიდსა მას ცოდვასა შთაუარდა,
 ესმნეს რა სიტყჳანი კეთილნი, მოვიდა სინანულსა მას დიდ-
 ბულსა; იხილეთ⁷¹ მოციქულნიცა: არა სიტყვითა მით უფლი-
 სათა სმენითა მოვიდეს-ა საზომსა მას და ყოველი სოფე-
 ლი მოიმოწაფეს? და რაჲ სარგებელ არსო – იტყვიან ვიეთ-
 ნიმე – უკეთუ ვისმენდეთ სიტყვათა და ვიქმოდეთ არა?
 არს ესეცა დიდი სარგებელი: აბრალოს თავსა თვისსა,
 სულთ ითქუნეს, რომელსა ესმოდენ სიტყვანი სამღთონი,
 სკრემლეოდეს და უკეთუ შეეხშიროს სმენასა მას, გინა
 [A165] დღესა, გინა ხვალე, მოხლავად არს საქმედცა, ხოლო
 რომელი ყოვლადვე არა ისმენდეს, ვინაჲ სცნას თითოეულისა
 ცოდვისა ბრალი? ვითარ აბრალოს თავსა თვისსა, ოდეს
 მოიწყვიდოს ცოდვა, ოდეს იწყოს სინანულად? ამისთვის
 გვედრები, ძმანო, ნუ გარეწრად გვაქუს სმენა და წურთა
 წერილთა მათ სამღთოთა, რამეთუ ეშმაკსა მძიმედ უნნს
 ესე და არა მნებაეს; ამისთვის იგი გვაყენებს, რათამცა არა
 ვიხილეთ სიმდიდრე იგი სულიერ, არამცა მოვიგეთ იგი;
 ამისთვის გეტყვის არა სმენად, რათა არა საქმესაცა კეთილსა
 ჯელ-გჳყოთ. ხოლო ჩვენ, საყვარელნო, გულისგმა-გჳყოთ
 ბოროტი იგი ღონე მისი და ყოველით-კერძო შევზღუდნეთ

თაჲნი ნვენნი, რათა ნვენცა მოუწველელ ვივენეთ და მისი იგი ბოროტი თაჲი შვემქესროთ და ესრეთ ბრწყინვალე იგი ძლევისა გვირგვინი მოვიდოთ და საუკუნეთა მათ კეთილთა მივემთხვიენეთ მადლითა და კაცობოვეარებითა უფლისა ნვენისა, იესო ქრისტესა, რომლისა არს დიდება და სიმკჳკიჳე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აჲ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

[A166] სწავლა კა

წერილთა გულისგმის-ყოფისათვის

ვისმინოთ, რომელნი-ესე უღებ ვართ წიგნთა კითხვასა და წერილთა გულისგმის-ყოფასა, თუ რავდენი ვნება შემემთხვევის, რავდენი სიგლა[S150]ხაკე, რამეთუ ოდეს-მე ჳელ-გყოთ საქმით მოქმედებად, რომელნი ესე სჯულისა მასცა მოქალაქობისასა უმეცარ ვართ? საქმეთა ზედა ჳორციელთა ყოველნი მოხარკე არიან და სამოსული თუ ვის აქენ შვენიერი, ზედას-ზედა აბერტყნ და ზრუნაენ, რათა არა მდილთა შესაგმელ იქმნას. ხოლო შენ, კაცო, ახედაე, ვითარმედ ყოველისავე მდილისა და მკამელისა უმეტესად ავნებს დაუიწყება სულსა შენსა და არა მოსწრაფე იქმნენ-ა⁴² კითხვად წიგნთა და სწავლად გულიგმის-ყოფისა, რათა განაბრწყინვო⁴³ სული შენი? არა განიცდი-ა დღითი-დღე ხატსა მას სათნოებისასა და წესიერებასა ასოთა მისთასა, რამეთუ აქონან ასონი ფრიად შეენიერნი თაჲნი და ჳელნი და სხუა ყოველივე? მისგან იწყო უფალმან [A167] ნეტარებათ მათ, ვითარმედ: „ნეტარ იყვნენ გლახაკნი სულითა“ (მთ. 53); და კვალად სოქუა⁴⁴ წინასწარმეტყველისა მიერ: „ვის მიეხედნე, გარნა მშვიდსა და მდაბალსა და რომელნი ძრწიან სიტყუათაგან ჩემთა“ (ეს. 66.2); და კვალად იტყვის: „მახლობელ არს უფალი მათდა, რომელნი განკაფულ არიან [S151] გულითა და მდაბალნი სულითა აკხოვნნეს“ (ფს. 33.19). ესე არს თაჲი გუამისა მის სათნოებათასა, რომლისა პირი შეენიერ არს და სასურველ, რამეთუ შემკობილ არს იგი წესიერებითა და სიმშვიდითა. თუაღნი

მისი განწყობა არიან ხიშტიანთა გულისათა, ამისთვის-
 ცა ღირს იქმნებთან ხილვად უფლისა, ვითარცა იტყვის:
*„ნეტარ იყვნენ წმიდანი გულისთა, რამეთუ მათ ღმერთი იხ-
 ილან“* (მთ. 5.8). პირი მისი არს სიბრძნე და მეცნიერება და
 მარადის გალობა უფლისა ღოცებითა და ვედრებითა
 ღმობიერითა; გული მისი არს გულისკმის-ყოფა წერილთა
 და დამარხვა მართლმადიდებლობისა და კაცობიერებისა
 და სახიერებისა; გონება მისი არს სიყვარული, სრულე-
 ბა იგი და შემაერთებელი და მკერობელი სათნოებათა –
 სიყვარული ღმრთისა მიმართ და მოყვასისა მიმართ, [A168]
 რომელი ყოველთა უმეტეს არს; ჳელ მისსა და ფერჳი
 არიან მოღვაწებანი სულიერნი და საქმენი კეთილნი; სული
 გუამისა მის სათნოებათასა არს ღმრთისმსხურება და
 გულისკმის-ყოფით მართლადსარება წმიდისა სამებისა და
 მეცნიერება საიდუმლოსა მის [S152] მართლმადიდებლო-
 ბისა და სხუანი ყოველნივე მცნებანი ასოებ არიან გუა-
 მისა მის სათნოებათასა. ესე გუამი ასოებითურთ თვისით
 მოიგეს ყოველთა წმიდათა, ამისთვის ღირს-იქმნეს ასოებ
 ქრისტესა წოდებად, ვითარცა იტყვის მოციქული: *„თქვენ
 ხართ ჳორცნი ქრისტესნი და ასონი ასოთა მისთაგანი“*
(1კორ. 12.27). გულისკმა-გჳყოთ თითოეულისა წმიდათაგან-
 ისა მოქალაქობა და გჳპოთ სახე ესე მის თანა და უკეთუ
 გნებაეს, ვიხილოთ ნეტარი მახარებელი მატთე, რომლისა
 მიერ აღწერილთა სიტყვათა დღითი-დღე აღმოვიკითხავთ⁴⁷⁵.
 დაღაცათუ ყოველნი საქმენი, მოღვაწებანი მისნი აღწერ-
 ილად გამოწვლილვით არა გეჳონან, არამედ მკვირელისა
 მისგანცა შესაძლებელ არს ხილვად ბრწეი[A169]ნვალება
 ხატისა მისისა. იხილეთ უკუე სიმდაბლე მისი, რომელი-იგი
 ვსთქუ, თავად სათნოებათა, ვითარ შემდგომად მოციქულებისა
 და მახარებლობისა არა თავი იდიდა, მეზვერედ წოდებად
 თავისა თვისისა. ამისგან სკანთ, ვითარი იყო გონება მისი,
 მშვიდ და მდაბალ და შემეხრული. იხილეთ მოწყალებისა-
 ცა მისისა საზომი, ვითარ ყოველივე სოფელი უარ-ჳყო და
 მისდევდა ქრისტესა; იხილეთ მართლადსარება⁴⁷⁶ მისი და

გულისკმის-ყოფა აღწერილისაგან მისისა, სიყვარული მისი,
 ვითარ უქადაგა სოფელსა და აღწერა ღმრთისმსახურება,
 რათა არა ცხოვრებასა ხოლო თვისსა აქადაგებდეს, არამედ
 შემდგომად სიკვდილისა(კა კმა მისი ესმოდეს ყოელთავე-
 იხილეთ სიმხნე მისი გვემათა მათგან და ტანჯვათა,
 რომელნი სხუათა მათ მოციქულთა თანა თავს-ისხნა. იხი-
 ლეთ ყოველნი კეთილნი საქმენი მისნი საყდრისა მისგან,
 რომელსა ზედა დაჯდომად არს. [A170] ესეუითარსა უკვე
 სათნოებასა ჩვენ(კა ვჰბადვიდეთ, ძმანო, და უფროს ყოვ-
 ლისა – სიმდაბლესა და სიყვარულსა და მოწყალებასა⁴⁷,
 რამეთუ თვინიერ ამათსა 'მეუძღვებელ არს შესღვად სა-
 სუფეველსა (კათასა. ამათგან⁴⁸ სხუანი(კა კეთილნი საქმენი
 მოიგებიან და გუამი იგი სათნოებათა სრულ-იქმნების.
 ამისთვის თავი გუამისა მის ვსთქე⁴⁹ სიმდაბლე და გონე-
 ბად – სიყვარული და გულად – მოწყალება. ესეუითარი
 ესე უუამოვნება და შენაწევრება [S154] სათნოებათა მოუ-
 იგოთ, საყვარელნი, ვითარ(კა საუნჯე დიდძალი, ვითარ(კა
 მარგარიტი⁴⁰ მრავალსასყიდლისა. ესე შევიკრძალოთ, ვი-
 დრელა სიმდიდრე სოფლისა, (კუდი და წარმავალი და მო-
 მგებელთა მისთა დიდად მავნებელი, რომლისა ზრუნვა,
 ვითარ(კა გესლი, შეშკამს⁴¹ სულთა მისთა⁴² და მწიკელეუ-
 ანებითა მით (კოდვისათა შებღალულ და დაყოლებულ
 ჰყოფს მათ. ხოლო რომელსა საუნჯე ესე სათნოებათა
 აქუნდეს, დადა(კათუ კორციელად ფრიად გლახაკ და შეუ-
 რაცხ იყოს, არამედ სული მისი ბრწყინავს, ვითარ(კა მარგა-
 რიტა, ჰყუავის, ვითარ(კა ვარდი, დიდებულ არს, ვითარ(კა
 ანგელოსი. არა ჰყუანან მონანი და მსახურნი, [A171] რათა
 უბრძანებდეს მათ, არამედ უბრძანებს ეშმაკთა და ძრწოლით
 ევლტიან მას. არა მდგომარე არს წინაშე მეფისა მოკუ-
 დავისა, არამედ მდგომარე არს მარადის⁴³ წინაშე ღმრთისა,
 არა ჰქონან საუნჯენი წარმავალნი, არამედ საუნჯე მისა
 არიან კეთილნი სასუფევლისანი. მონად მოუგვიან ვნებანი
 და გულისსიტყვანი, რომელნი მრავალთა მეფეთა დაიმონებენ,
 რომელნი მპყრობელთა სოფლისა ამის ამათსათა კელმ-

წიფვებით უბრძანებენ. იგინი ამისგან ძრწიან და მიხედვად-
ვა ვერ [S155] იკადრებენ. ამის საუნჯისა მოძგებულსა მე-
ფობა ესე ქვეყანისა და ყოველი საცდური დიდებისა მის-
ისა ესრეთ საკიცხელად აქეს, ვითარცა სამღერადი ყრმა-
თა ჩხვილთა⁴⁶, რამეთუ ამისიეს მას სამკაული, რომლისა
ხილვად მეფეთა ქვეყანისათა ვერ ჯელ-ეწიფვების და აქეს
სიმდიდრე წარუპარველი. ესე საუნჯე და ესე სიმდიდრე
მოვიგოთ ჩვენ, ძმანო, რათა ღირს-ვიქმნეთ სასუფუველსა
კათასა მკვიდრ-ყოფად მადლითა და კაცთმოყვარებითა
უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება
თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და
უკუენითი-უკუენისამდე. ამინ

[A172] სწავლა კბ

სათნოებით მოქალაქობისათვის⁴⁸

ამისთვის გლოცავ, საყვარელნო, ვახვენოთ მოქალაქობა
სადმრთო და კეთილი და უბრწყინვალესი მზისა, რათა
უფროსად იდიდებოდეს ღმერთი ჩვენ მიერ⁴⁶. ესრეთ თუ
ვიქმოდეთ, დაღაცათუ მრავალნი იყენენ შემასმენელნი ჩვენნი,
არასადა გვევნოს ჩვენ. დაღაცათუ ყოველი სოფელი
ბრძოდად აღგვიდგეს [S156] ჩვენ, ყოველთა ვერეოდეთ, უკეთუ
ღმერთი იყოს ჩვენ კერძო. უკეთუ კვალად ბოროტად ვიქ-
ცვოდეთ, დაღაცათუ ყოველნი მაქებელად ჩვენდა იყენენ,
უბადრუკ და საწყალობელ ვართ ჩვენ, რამეთუ სათნოება
მარადის უბრწყინვალეს მზისა არს, დაღაცათუ მრავალნი
იყენენ მტერ და შემასმენელ ჩვენდა. მოვედით უკუე, ესე
ყოველი გულისგმა-გპყოთ, ძმანო⁴⁷, მოვიგოთ უკუე სათნოე-
ბა, ვიქმნეთ მშვიდ და მდაბალ სულითა, ვიქმნეთ მოწყალე
და წმიდა გულითა და მშვიდობისმყოფელ. უკეთუ ესრეთ
ვიყენეთ, უმეტესადღა სასწაულთა საქმისა მოვიდენ ჩვენ
მიერ ყოველნივე დიდებად ღმრთისა. დაღაცათუ ვინმე
წინაადმდგომ და მაგინებელ ჩვენდა [A123] იქმნენ, ვერარაჲ
გვავნონ, არამედ უფროსად გულსა შინა მათსა იგინიცა
მაქებელ ჩვენდა იქმნენ. იხილეთ, ვითარ ნაბუქოდონოსორ

მკერი იგი და მბრძოლი ხამთა ყრმათა მაქებელ და მა-
 დიდებელ მათდა იქმნა, იხილნა რა იგინი ახოვნად
 წინააღმდეგომნი ბრძანებასა⁴⁸⁸ მისსა სიყვარულისათვის
 ღმრთისა. ესრეთ ყოველთა ღმრთისმოყვარეთა მბრძოლნი-
 ცა მაქებელ იქმნიან, რამეთუ იხილის რა ეშმაკმან, ვითარმედ
 უფროსად გვირგვი[S157]ნსა მიიტაცებენ მეშაკნი იგი სათ-
 ხოებისანი, მიპრიდის ბრძოლად მათდა და მერმე აღუხ-
 ილნიან თუალნი წინააღმდეგომთა მათთანი და იხილიან
 ჭეშმარიტება და უფროსად მაქებელ იქმნიან მოყვარეთა
 მათ და მონათა ღმრთისათა, უკეთუ არა დაეგნიან ბრძო-
 ლასა შინა და შესძენასა მათსა, უფროსად თავთა თვისათა
 დასასჯელად აქმნიან საქმე იგი. ხოლო მონათა მათ ღმრ-
 თისათა სასყიდელი ფრიადი აღორძინდის და განმრავლ-
 დის ვათა შინა, ვითარცა-იგი წმიდათა მოციქულთა ზედა⁴⁸⁹
 იქმნა აღთქმისა მისებრ და ბრძანებისა ღმრთისა. [A174]
 აწ უკვე ესე ყოველი გულისგმა-გკყოთ, ძმანო, და ესრეთ
 განვლოთ ცხოვრება ჩვენი, რათა სულნიცა ჩვენნი ვაცხ-
 თვნეთ და მსხდომარეთა ბნელსა შინა ცოდვისასა ნა-
 თელ-ვექმნეთ და წინამძღვარ ცხოვრებისა მიმართ საუკუ-
 ნოსა⁴⁹⁰, რამეთუ გვიხილნენ რა ურწმუნოთა შეურაცხისმყო-
 ფელ სოფლისა, განმზადებულ საუკუნოსა მის ცხოვრები-
 სა⁴⁹¹ მიმართ, განყენებულ ყოვლისაგანვე საქმისა ბოროტი-
 სა, უშიშ სიკუდილისაგან მახვილისა და კეცხლისა და
 სხვისა ყოვლისაგანვე ბოროტისა სატანჯველისა სახელი-
 სათვის ქრისტესისა, გულისგმა-პყონ და სთქუან: ჭეშმარი-
 ტად ღმერთი თქვენ შორის არს და გულსავსე იქმნენ, ვი-
 თარმედ გვაქუს საუნჯე დიდებული ვათა შინა. [S158] კუალ-
 დ უკუე ვიხილენ შემსჭვალულნი ამის საწუთროდსად და
 მოქმედნი ყოვლისა სიბოროტისანი, ვითარ კრწმენეს მათ
 ქადაგება ჩვენი? ანუ ვითარ არა საკიცხელ მათდა ვიქმნეთ,
 რაჟამს სხუასა ვქადაგებდეთ და სხუასა ვიქმოდეთ? არა
 ვხედავთ-ა, ვითარ წარმართთა მათ ფილასოფოსთა შორის
 იპოვნეს მრავალნი, რომელთა [A175] ქებისათვის კაცთასა
 საფასენი და მონაგებნი შეურაცხ-პყვეს, რათა საქებულ

კაცთა იქმნენ? ამისთვისცა ცუდ და ამათ იქმნა სასოება
 მათი. და აწ ჩვენ, სწავლულნი⁴⁹² ესევეითართა ამათ საიდუმ-
 ლთთა და განმტკიცებულნი სასოებითა უტყუელისა მის
 აღთქმისა დმრთისათა, უკეთუ მათოდენიცა არა ვაჩვენით
 სიმხნე და ახოვნება სათხოებათა შინა, რად-მე სიტყვა მი-
 უკით უყვალსა, რაჟამს არა თავთა ჩვენთა ხოლო, არამედ
 სხუათაცა დასაბრკოლებელ ვიქმნეთ? რამეთუ არაყის ეს-
 რეთ ევნების და დაბრკოლდების, იხილოს თუ ურწმუნო
 ბოროტისა საქმესა შინა, ვიდრედა იხილოს თუ ქრისტეანე
 უჯეროებისა მოქმედად. და სამართლად არს ესე, რამეთუ
 იგინი ყოველთავე იცვიან შეიღაად წარწყმედისა, ხოლო
 ჩვენისა ამის სარწმუნოებისა ქება და დიდება ძალითა
 დმრთისათა ყოველსა სოფელსა განყენილ არს. [S159]
 ამისთვისცა იხილთ რა ურწმუნოთა ჩვენგანი ვინმე ურწ-
 მუნოებასა რასმე შინა, მეყსეულად იტყვიან: აჰა ეგერა
 ქრისტეიანე რაჲსა იქმს⁴⁹³! უკეთუმცა [A176] არა ქებულ და
 დიდებულ იყო სარწმუნოება ჩვენი, არამცა ესრეთ იტყო-
 დეს, ხოლო ურწმუნოთათვის არაყინ იტყვის ესევეითარსა,
 რამეთუ იცვიან, ვითარმედ უსჯულოება და ცოდვა განჩინებ-
 ული საქმე არს მათი. ვეკრძალნეთ უკუე, ძმანო მორწმუ-
 ნენო, რათა არა ჩვენ მიერ სარწმუნოება ჩვენი შეურაცხ-
 იქმნებოდეს. ყურად-ვიხენეთ მცნებანი ქრისტესნი, გულისკმა-
 ვსყით, ვითარმედ მათ ყოველთა აღსრულება თანა-აც⁴⁹⁴ და
 ჩვენ ყოველნივე უღებ-გვიქმნიან და მოსწრაფე ვართ სოფ-
 ლისა საქმეთათვის: შეკრებასა ოქროსასა, განმრავლებასა
 მონათასა, მოგებასა ჭურჭელთა ოქროჲსა და ვეცხლისათა,
 შემკობასა თავთა ჩვენთასა სამოსლითა შეენიერითა, გან-
 მრავლებასა საცხოვართასა, მორეწასა სოფელთა და აგა-
 რაკთასა, სიმრავლესა⁴⁹⁵ ვახშთა და აღნადგინებთასა, მოხ-
 ვეჭასა მოყვასთაგან და ძმათასა, ძვირის-ყოფასა გლახაქ-
 თა და დავრდომილთასა. ამას შინა რა ვიყვნეთ, ვითარ
 უძლოთ კარსა მცნებათა ქრისტესთასა შესლუად? და ამას
 ყოველსა ზედა, უკეთუ [A177] ვინ ჩვენ[S160]განმან უღებთა
 ამათ და დახსნილთა ქმნას მცირედი რაჲმე კეთილი, ანუ

მანვე ენებლობით იქმს, ანუ – სუბიექტით, რათა მკვირვდიცა
 იგი არარაფერ იყოს, არამედ ნაგონსაყუდელსა (აქა ღელ-
 ვაგვემუდ იქმნას, რადა იქმ მ, კაცო, უკეთუ ქველისსაქმე
 რადმე იქმნა, რად უნვენებ კაცთა და არა ღმერთსა? რომელ-
 მან სთქუა: „*ავასხებდით, ვინაჲ-იგი არარას მოელთ მიღუ-
 ბასა*“ (ღოუკ. 6.35). რამეთუ ღმერთსა ავასხებ, რომლისაგან-
 ცა მიიღო სასყიდელი. რად დაუტეობ მას და კაცთა ენვენები
 გლახაკთა და უბადრუკთა? არა თუ მოვალე იგი შენი
 გლახაკი არს და ვერ ძალ-უძს გადახდად, არა თუ უარსე-
 თეს სესხსა მას, არცა მხედრე მოუთხრობელთა მათ საუნ-
 ჯეთა მისთა. არა მხედრე-ა გამოუთქმელსა მას უხვად მიმ-
 ნიჭებელობასა მისსა? მას მოხადე სესხი იგი, რომელი ავასხე
 გლახაკსა. უკეთუ მას მოხდიდე თანადადებსა მას, უხარის
 და უხვად მოგცემს აღნადგინებითურთ, [A178] ხოლო ვინ-
 ლოს თუ, ვითარმედ არა მისგან, არამედ სხვისაგან⁴⁹⁶ ეძიებ,
 განრისხნების და შეურაცხებად უნს. ამისთვის გრქუას
 შენ რისხვით: „*რომელი უმადლოება იხილე ჩემთანა, მ
 უგუნურო, რომელი სიგლახაკე გესმა ჩემი, რომელ მე თანა-
 [S161] წარმხდი და სხუათაგან ეძიებ ნაცვალსა? მე მავასხე
 და სხუათა მოხდი ვალსა შენსა? ამისთვის⁴⁹⁷ არღარა ღირს-
 ხარ ჩემთანა მათ უშურველთა ნიჭთა მიმთხვევად!*“ ესრეთ
 სირცხვილუელ იქმნე შენ და დასჯილ, რამეთუ წადიერ
 არს ღმერთი ნაცვლისა ასწილად მოცემად ყოვლისა მის-
 თვის, რომელი მყო გლახაკთა თანა⁴⁹⁸ და ბევრეულისა
 მიზნისა მოგცემს შენ, რათამცა მისგან ითხოვდე მოსაგებელ-
 სა. ნუ დაუტეობ უკუე უხვად მიმნიჭებელსა მას მეუფესა
 და ჩემგან ეძიებ ნაცვალსა ქველისსაქმისა შენისასა, ვინა
 თუ მსგავსისა ჩემდა კაცთაგან⁴⁹⁹. რადათვის მიხვენებ მე
 ქველისსაქმესა? არა თუ მე გამცენ საქმე იგი, არა თუ
 ჩემგან გესმა [A179] და მე გინვენებ, არამედ ღმერთმან
 სთქუა: „*რომელმან შეიწეალოს გლახაკი, მე მავასხოსო*“. ღმერთსა
 ავასხე, ღმერთსა (აქა უნვენე და ნუ – კაცთა. არამედ
 – მყოვნისო მოცემად; ესეცა შენისა უმჯობესისათვის არს,
 რათა დაგიმარხოს იგი ეამსა მას ფრიად საჭიროსა, ოდეს-

იგი⁵⁰ უმჯობეს იყოს შენდა ორი დანგი, ვიდრე აწ ბევრეუ-
 ლი თქრთ. ამისთვის გლოცავ, მ ღვთისმთავარენო, უმკრ-
 ელად ვიქმნადო ქველისსაქმესა, ვახვენით მოაწყად[S162]ება
 და სხვათა მათ მცნებათა ყოველთა ზემოაწყრილთა აღ-
 სრულებად და ყოველსავე სახილველად ღმრთისა ვიქმო-
 დეთ და ნუ სასუქნებელად კაცთა, რათა მოგვეცეს მის
 მიერ მრავალწილად სასყიდელი. ვახვენით მოაწყადება და
 კაცთმთავარება სიტყვით და საქმით და გონებით. უკეთუ
 ვიხილოთ ჩვენ ჭირვეული, ღელვაგვემქელი, ანუ პერობილი,
 შეწყუდებული დიდებუა, გინა გვემქელი უჯეროთა კაცთაგან,
 ჰელი აღუპერთ, რაოდენცა ძალ-გვედვას – [A180] გინა თუ
 საფასისა მიცემითა, უკეთუ გვაქუნდეს, გინა თუ სიტყვითა
 ყოველთა, რამეთუ არს სიტყვისა კეთილისა(ცა სასყიდელი
 და უფროსად სულთქმისა(ცა, სახიერისა მის მეუფისა მიერ
 და ამას მოასწავებდა ნეტარი იობ და იტყოდა: „რამეთუ
 მე ყოველთა ზედა უძღურთა ესტიროდე და სულთ-ღითქმიდე.
 ვიხილე რა კაცი ურვასა შინა“ (იობ. 30.25). ხოლო უკეთუ
 სულთქმისათვის სასყიდელი განმზადებულ არს, რაჟამს
 სიტყვათა მიერ(ცა და საქმეთა⁵¹ ვისწრაფოთ ქველისსაქმედ,
 გულისკმაპყავ, რავდენი კეთილი გვიყოს ჩვენ ღმერთმან?
 ვისწრაფოთ უკეთუ გამოხსნად ყოველთავე ჭირვეულთა,
 რაოდენცა ძალ-გვედვას, რამეთუ ჩვენცა მხოლოდშობილ-
 მან ძემან ღმრთისამან გვიხსნა ტყვეობისა [S163] მისგან
 და მონებისა მწარისა და მტერობა დახსნა, რამეთუ მტერ
 ვიყვენით ღმრთისა, ხოლო იგი შორის შემოვიდა და დამა-
 გნა⁵² ჩვენ, რაჟამს-იგი თავს-იდვა ჩვენთვის წყლულება და
 სიკუდილი. ამისთვის(ცა მშვიდობის[A181]მყოფელთა მობა-
 ძაჲ⁵³ თვისად უწოდა. ჯერ-არს უკუე ჩვენდაცა შეკრძალვა
 ამის სათნოებისა, რამეთუ ესეცა დიდისა სასყიდლისა მო-
 მატყვებულ გვექმნების ღმრთისა მიერ. ვიქმნეთ მშვიდობის-
 მყოფელ, რათა ძედ ღმრთისა გვეწოდოს. მშვიდობა ყოთ
 პირველად შინაგანსა ჩვენსა შორის სულისა და ჳორ(ცთა
 და დაუმორჩილოთ ზრახვა იგი ჳორ(ციელი ზრახვასა მას
 სულიერსა⁵⁴; განვაქარვოთ ამბოხება იგი და შფოთი

ბრძოლისა მის ვნებათასა მოღვაწებითა და სამღთოთა
 საქმეთ წ'ერთითა⁵⁰⁵. მერმე კუალად ვიხილნეთ რა ძმანი
 ჩვენნი ურთიერთას მოღალდედ და ურთიერთას მბრძოლად⁵⁰⁶.
 ვისწრაფოთ ყოვლითა ძალითა მშვიდობის-ყოფად. ჩუ ვიხ-
 არებთ და გვეამებთ მათი ურთიერთას ბრძოლად, რამეთუ
 ესე საქმე არს კაცთა უწესოთა და უშიშთა ღმრთისათა.
 არა თუ პირუტყვიანი არიან, ანუ მკვები, რათამკა არარას
 გველმოდა, არამედ ძმანი და ასონი ჩვენნი არიან, და ვითარ
 არა [S164] გველმოდეს და მწუხარე ვიყვნეთ, ებრძოდინ რა
 [A182] ურთიერთას? ვითარ არა ვისწრაფოთ ყოვლითა
 ღონისძიებითა დახსნად ბრძოლისა მის და შფოთისა თავს-
 დებად? ამის ჯერისათვის ყოვლისავე შრომისა და ჭირისა,
 ანუ სხუა რამე უძვირესიკა შეგვემთხვიოს, გულისკმა-გსუ-
 თო, რამეთუ მშვიდობისა ჩვენისათვის ქრისტემან ჯვარკმა
 და სიკუდილი თავს-იდვა და რად საკვირველ არს, უკეთუ
 ჩვენ მშვიდობისათვის ძმათასა ძვირი შეგვემთხვიოს, რათა
 შეგვერაცხოს წამებად. ყოვლითა ღონისძიებითა ვისწრაფოთ
 ბრძოლისა და შფოთისა ურთიერთას მოღალეთასა გან-
 ქარებად: სიტყვითა კეთილითა, სიტყვითა მშვიდობისათა,
 ედრებითა კაცად-კაცადისათა და სხვითა ყოვლითავე
 სახითა და სიტყვითა და საქმითა. ეგრეთვე კუალად, ვიხ-
 ილოთ რა ძმა ვინმე და მოყვასი ჩვენი ბრძოლისა რადსამე
 და ვნებისა საეშმაკოდასა მიძღლავრებული, ვიღვაწოთ მშვი-
 დობისა მოკვმად მისა და განვაქაროთ ბრძოლა იგი და
 მძღლავრება ეშმაკისა სწავლითა და ჩუგეშინის(კემი[A183])თა
 საღმრთოდთა და ყოვლითა ღონისძიებითა. მიუხედნეთ
 მენავეთა, ვითარ იხილიან რა ჩავი გარდაქ[S165](კეული,
 შევიდიან ხომალდთა და მიისწრაფიან დანთქმულთა მათ
 გამოხსნად. დაღაკათუ აღძრულ არს ზღვაჲ და განძვინებ-
 ულ იყვნიან ღელვანი მისნი, არავე პრიდიან თავთა თვისთა
 მისლვად და გამოყვანებად ძმათა და მოყვასთა მათთა
 დანთქმისაგან და მრავალგზის უმეცარკა⁵⁰⁷ იყვნიან სრული-
 ად. ეგრეთვე ჩვენკა⁵⁰⁸, ვიხილოთ რა ძმა ვინმე ღელვაგვემუ-
 ლი ცოდვისა რადსამე და ვნებისაგან, გინა თუ⁵⁰⁹ გულისწუ

რომისაგან, გინა თუ გულისთქმისა, გინა თუ სხვისა რასსამე ბოროტისაგან დანთქმად მიახლებული, არა ვისწრაფოთ-ა გამოხსნად სიკუდილისა მისგან სუდიერისა? რაედენცა ძალ-გვედვას და მიცემად მისა მშვიდობა იგი⁵⁰ სამდთოთ, რათა მშვიდობისმყოფელ ვიქმნეთ და სასყიდელი იგი საკვირველი მოვიდოთ ღმრთისა მიერ. არა გესმის-ა⁵¹, რად უბრძანა ღმერთმან მოსეს მიერ [A184] უგულისჯმითა პურითა: „უკეთუ კარაული მტერისა შენისა იხილო და(კემუ-ღო, ნუ თანა-წარხდები, არამედ აღადგინე“ (გამ. 23,5). უკეთუ კარაულისა და(კემუელისა აღდგინება ბრძანებულ არს და არა უგულებელს-ყოფად, არა უფროსათ თანა-გუადს-ა სულისა [S166] და(კემუელისა – ძმისა და მოყვისა ჩვენისა, ხატად ღმრთისა დაბადებლისა, ჳელისა მიცემად და აღდგინებად, რაქამს დამძიმებულ არნ⁵² ტვირთისა მისგან ვნებათასა და ბრძოლისა მისგან საეშმაკოდსა? და და(კემულ არნ მწვირებასა შინა ცოდვისასა, შთამყვანებელსა ჯოჯოხეთად და მტერი იგი სულთა ჩვენთა მდგომარე არნ მის ზედა და უღრმესად მთხრებლად შთაუძალებნ შთაგდებად. არა ვისწრაფოთ-ა შეწვენად მისა ღო(კვითა და სწავლითა და ყოვლითავე ღონისძიებითა, რათა მტერი იგი ბოროტი ვიო-ტოთ და ძმა იგი ჩვენი და(კემისა მისგან აღვადგინოთ? გულისჯმა-უქსოთ იგავი იგი უფლისა, რომელი სთქუა მი(კემუელისა მისთვის ჳელთა ავაზაკთასა, რომელი ბორო[A185]ტად წყლულ იყო და მწყდრად და(კემულ იყო, ვითარ მღუდელი იგი და ლევიტელი თანა-წარჯდეს და არა აქო უფალმან, ხოლო სამარიტელი იგი საქებულ ქყო; ვითარ შეიწყალა უცხოე და უცნაური, რომელსა არა აქუნ-და მისა მომართ თვისებად, აღსუა იგი კარაულსა თვისსა და მიიყვანა იგი ყოველთა სადგურსა [S167] და კეთილად იღვაწა და სასყიდელი კურნებისა მისცა ყოველთა სად-გურისა მოღვაწესა მას და უმეტესისა მი(კემაცა⁵³ აღუთქუა. ეგრეთვე ჩვენცა თანა-გუადს ყოფად ძმათა მიმართ, რამეთუ ჩვენცა ვიყვენით წყლულ და მომწყდარ და უფალმან გვიღ-ვაწნა წყალობით. ვითარ უკუე არა ვიღვაწნეთ ჩვენცა ძმანი

და მოყვასნი ჩვენნი, გინა თუ ჰორციელად ვიხილნეთ წყ-
 ლულნი და ჰორვეულნი, გინე თუ სუღიერად, არამედ თანა-
 წარვხდეთ უწყადოდ და ვითარ მოვიდოთ ჩვენ ღმრთისა-
 გან წყადობა? ესევეთარი ესე წესი შევიკრძალოთ, ძმანო,
 პირველად ჩვენ შორის მეოფთა ბრძოლათა შფოთი განვა-
 ქარეთ, შე[A186]წენითა უფლისათა და ჰორცნი სუღსა
 დაემორხილნეთ და ვცეთ მათ შორის მშვიდობა კეთილი,
 მერმე გარეშეცა მშვიდობა მოვიდოთ ძმათა მიმართ და
 ბრძოლისა მის და შფოთისა მოყვასთა ჩვენთასა, გინა თუ
 სუღიერისა, გინა თუ ჰორციელისა, განქარვებად ვისწრაფოთ,
 რათა ვიყვნეთ ყოვლით-კერძო მშვიდობისმყოფელ და ძედ
 ღმრთისა ვიწოდნეთ ბრძანებისაებრ⁵⁴ უფლისა ჩვენისა, იესო
 ქრისტესა. ისმინეთ და გულისჴმა-იყავთ, ვითარმედ მშვი-
 დობა ბრძანებულ არს და არა შფოთი, სიტყვისგება და
 არა ამბოხება. ვითარ უკუე არა გრცხვენის, კაცო, შფოთისა
 ყოფად და გინებად მოყვსისა, მრავალჯის ჴელის მიყო-
 ფადცა ცემად მისა და მოწყლვად? და მიემსგავსები მჴეც-
 თა ველურთა და მძვინვარეთა და უფროსდა მათსაცა უძ-
 ვირეს ხარ, რამეთუ უმრავლესნი მხეცნი ერთიერთას ზოგად
 იქცევიან ერთი ერთისა მის ბუნებისანი და არა ებრძვიან,
 ხოლო [A187] შენ, კაცო, პირმეტყველო, აგინებ ძმასა შენსა
 და სცემ და შეაშთობ მას. არა უწყი-ა, რად შეემთხვია
 თანამდებსა მას ბევრეულისა შანთისასა, რომელმან შემდგო-
 მად განტევებისა უფლისა მიერ ფრიადისა მის თანანადუ-
 ბისა კპოვა მოყვასი თვისი, რომელსა თანა-ედვა მისი ასი
 დრაჰკანი, შეიპყრა იგი და შეაშთობდა, ვითარ განურისხნა
 მას უფალი და მისცა იგი საუკუნესა სატანჯველსა? არა
 სძრწი-ა ამისგან? არა გეშინის-ა, ნუუკუე შენცა ეგრეთვე⁵⁵
 შეგემთხვიოს?⁵⁶ არა უწყი-ა, რამეთუ თანამდებ ვართ ჩვენ
 მეუფისა მიმართ ჩვენისა და ყოვლისავე ზედა სულგრძელ
 გვექმნების [S169] და არა გვაჭირუებს, არცა გვაშთობს,
 ვითარ ესე ჩვენ მოყვასთა ჩვენთა? უკეთუმცა მესამედიცა,
 ანუ მეოთხედი თანანადებთა ჩვენთა იძია ჩვენგან, ვად ჩვენ-
 დამცა იყო, რამეთუ აწმცა აღრევე გეენიად ცეცხლისა

მიცემულ ვართ. ესე ყოველნი, საყვარელნი, გულისკმა-ვსე-
 თთ და ხეენცა მიუტევნეთ თანანადებნი თანამდებთა მათ
 ხეენთა, რათა ხეენცა მიტევება ვსოვით მიცირედისა წილ
 ფრიადი. [A188] ვიქმნეთ მშვიდობისმოყველ ურთიერთას.
 საკვირველითა მით მშვიდობისა და საყვარულისათა
 შევერთნეთ. მიუტევნეთ ურთიერთას თანანადებნი და
 ბრადნი და შეცოდებანი და მშვიდობა ქრისტესი იყავნ
 ხეენ შორის, რათა განწმედინი ყოველისაგანვე თანანადე-
 ბისა ცოდვათასა მივემთხვიენეთ საუკუნეთა მათ კეთილთა
 მადლითა და კაცობიოყვარებითა უფლისა ხეენისა, იესო
 ქრისტესითა, რომლისა არს პატივი და დიდება თანა მამით
 და სულით წმიდითურთ, აჲ და მარადის და უკუნითი-უკუ-
 ნისამდე. ამინ.

სწავლა კვ

სათნოებათა სურვილისათვის

ვინაითგან უკუე მუუფე ხეენი და დამბადე[S170]ბელი
 სათნოებასა¹⁷ გვიბრძანებს და იგი თავადი სწამებს და
 ვითარმედ უძღურ და საჭირველ არს ცხოვრება ესე, ვო-
 დრელა ერთისა(ვა დღისა ზრუნვაჲ კმა-არს შემაურებელად
 და საჭირველად ხეენდა, [A189] რადღა სახმარ არს ამის
 პირისათვის უმრავლესთა სიტყვათა თქმად, რამეთუ კმა-
 არს ერთი სიტყვა უფლისა ბევრეულთა წილ სიტყვათა
 სხუათასა, რამეთუ იგი არს ღმერთი ხეენი, უფალი და მუუფე,
 რომელმან არაარსისაგან არსად მოგვიყვანა და მას
 ეგულების კუალად განკითხვა ხეენი და მიგებად კაცად-
 კაცადისა საქმეთა მათთაებრ. გარნა უბადრუკება ესე ხეე-
 ნი და უგულისკმოება ესე¹⁸ სიტყვანი გვესმი-
 ან და არა შეგვირა(ცხიეს, არამედ ცუდთა ამათთვის და
 წარმავალთა წადიერებითა და სურვილითა დიდითა და
 მოსწრაფებითა ფრიადითა ვზრუნაეთ, ხოლო საუკუნეთა
 მათთვის და ზეცისათა¹⁹ არა ვიურვით ყოველადვე, არამედ²⁰
 გარე-მიგვიქცევიეს ყოველი წესი და სამართალი და ორკ-
 ერძოვე თქმულთა მათ და განწესებულთა წინა-აღუდგებით,

რამეთუ იტყვის უფალი, ვითარმედ: „*ნუ ეძიებთ საწუთოსა ამას*“ (ლუკ. 12.29). ჩვენ ყოვლითა გველითა და ყოვლითა ძალითა მას ვეძიებთ და მისსა შეკრულ ვართ. იტყვის კეაღად: „*ეძიებდეთ სასუფეველსა (კა[S171]თასა და სა'გკუ ნეთა მათ კეთილთა*“ (მთ. 6.33). [A190] და ჩვენ არცა თუ მცირედცა ვეძიებთ, არამედ რაოდენი გვაქვს საწუთოსა ამისთვის ზრუნვა და ხარკება⁵¹, ეგოდენი სულიერთა საქმეთა შინა გვაქვს სულმოკლეობა და სიგრილუ და ფრიად უმეტესიცა, არამედ არა ყოფად არს ესე ყოვლადვე, არცა სამარადისოდ ესრეთ საქმე მღვდანი, რამეთუ აჰა ესერა ათ წელ დაუადგრეთ ამას უღმობლობასა შინა, გინა ოც წელ, ანუ თუ ას წელ, მერმე რად ყოფად არს, არა მისლვად ვართ-ა ჭველთა მისთა, რომლისა სიტყვათა აწ შეუკრავს-გყოფთ⁵², რად უკვე ნუგეშინის(კემი აქეს ამას დროებასა? არარად, ნუ იყოფინ, არამედ აქვე მოლოდებითა მით სატანჯველთათა დასჯილ და ტანჯულ ვართ და მუნ რა მივიდეთ, ვაი⁵³ იყოს ჩვენდა. არამედ უკეთუ გენებაეს დროებისა ამისგან ნუგეშინის(კემისა პოვნად, მოვიგოთ ნაყოფი იგი სათნოებისა და მერმე დროება ესე უმჯობეს ჩვენდა იქმნას და არა შთავცვიენეთ ყოვლადვე მწარეთა მათ სატანჯველთა, რამეთუ არარად არს მძიმე; არცა შეუძლებული ბრძანე[A191]ბულ არს ჩვენდა, არამედ ესრეთ ადვილად სუბუქ არიან მცნებანი მისნი, რომელ ნება ოდენ საკმარარს და გონება კეთილი და ყოველივე კეთილად წარგვემართოს და უხვად [S172] მოვიდოთ წყალობა მისგან, დაღაცათუ ბევრეულთა ცოდვათა თანამდებ ვართ⁵⁴, რამეთუ მანასესაცა ცოდვანი და ბილწებანი ექმნეს მრავალნი: წმიდათა ზედა ჭველი მიეყო და კერპნი ტაძრად შეიყვანნა, კაცისკვლითა ქალაქი ადავსო და სხუა მრავალი ჰქმნა. ესეოდენსა მას უსჯულოებასა ზედა ყოველივე იგი განიბანა⁵⁵. ვითარ, ანუ რომლითა სახითა? სინანულითა და ბოროტთაგან მოქცევითა და ღმობიერად ვედრებითა, რამეთუ არა არს ყოვლადვე ცოდვა, რომელი არა იძლევის და უჩინო-იქმნების მაღლითა და კაცთმოყუარებითა ქრის-

ტესითა, რამეთუ უკეთუ მოვიქცეთ სინანულად, გვაქვს იგი თანაშემწედ, უკეთუ ვინებით ქმნათ სათნოებისა, არავინ არს დამაყენებელი; და უფროსდა არს დამაყენებელი და დამაბრკოლებელი ეშმაკი⁵²⁶, გარნა ვერარად ძაღ-უქს, [A192] უკეთუ ჩვენ წადიერ ვიყენეთ კეთილთა მათ მიმართ⁵²⁷ და მოვიგოთ ღმერთი შემწედ ჩვენდა. უკეთუ კვალად ჩვენ არა ვხადოდეთ მას შემწედ, არამედ განვეშორნეთ და გარემოვიქცეთ მისგან, ვითარ შემწე-მეყოს იგი? რამეთუ [S173] არავისი პნებაჲს იძულებით ცხოვნება, არამედ ნებისთ ეძიებს ცხოვნებასა⁵²⁸ ჩვენსა და ესე ღირს-არს⁵²⁹ და სამართალ. რამეთუ მითხარდა, კაცო: უკეთუ გჰყვეს მონა, რომლისა თანა გექმნას ბევრეული კეთილი და კჳით მტერად შენდა და მოძულედ, ყოვლადვე გველტოდეს, არამცა გარემოიქცეო-ა მისგან და განსდევნე პირისაგან შენისა? და ეგრეცა გიჭმს რადმე მსახურება მისი. აწ უკუე რად აბრადებ ღმერთსა. თუ იძულებით რად არა გაქმნევს კეთილსა, რომელსა-იგი ყოვლადვე არარად ეხმარების შენგან, არამედ ყოველსავე შენისა ცხოვრებისათვის იქმს? არარადსაგან დაგბადა, პირმეტყველებითა პატივ-გცა, უმჯობესი გასწავა, კეთილი და ბოროტი გინვენა, გონება მოგცა, მცნობელი უხილავთა(ცა საქმეთა, სწავლა სასუფეველისა წინა-გიყო, ჯოჯოხეთი გაუწყა, ბევრე[A193]ულთა განსაცდელთაგან გიხსნა; უკეთუ გენებოს, შემწე არს შენდა და ჳელისამყრობელ კეთილისა მის მიმართ. უკუეთუ ამას ყოველთა ზედა ველტოდე მას და ბოროტი შეიყვარო, არა იქმს ამას, რათამცა იძულებით ჳელსა გიპყრა და სასუფეველსა შეგიყვანა, არცა ჯერ-არს ესე, ანუ სამართალ. უკეთუ კულა კჳითოს შენ თანა ჩე[S174]ბა კეთილი, რომელსა პროერესინ⁵³⁰ უწოდეს მამათა, ესე იგი არს ნება, მეძიებელი და გამოძრჩეველი კეთილისა, გინა ბოროტისა. აწ უკუეთუ შენ თანა მეძიებელი იგი კეთილისა ნებისა კჳითოს, არასადა დაგიტეოს, არცა დაგაგდოს, დაღაცათუ ბევრეულნი მახენი დაგირწყნეს ეშმაკმან და ათასეულად გებრძოლოს, არა მიგცეს შენ ჳელთა მისთა, არცა შეუნდოს უფლებად შენ-

და. საცნაურ-არს უკვე და ცხად, ვითარმედ ჩვენ ვართ მიხეხ წარწყმედისა ჩვენისა, რამეთუ არა გვექონან³¹ ნებანი კეთილნი, არცა ვევედრებით ღმერთსა შეწვენად ჩვენდა, არა შეუვრდებით ვითარ ჯერ-არს, არცა ცხადით მას, [A194] მხურვალებით და სიმდაბლით, არამედ დაღაცათუ მოუხდეთ მას ღოცვად, არა ღმობიერებით, არცა გულთა მხურვალითა, არამედ – დახსნილობით და უღებებით, თქნარებით და მიმოტაცებით და გარეწრად. ამისთვის სირცხვილეულნი და კალიერნი ვიქცევით, რამეთუ არა ესრეთ მნებაეს ღმერთსა, არამედ რათა გულთა მხურვალთა წარესდგეთ წინაშე მისსა. ესე სათხო-უნის, რათა დაუკხრომელად ვაწყინებდეთ, მაშინ მადლიერ³² არს, რამეთუ იგი მხოლოდ, რაზომცა [S175] ვაწყინებდეთ, უმეტესად მადლიერ იქმნების და უმეტეს თხოვისა ჩვენისა მოგუცემს და უკეთუ კულა არა ვაწყინებდეთ, უღებ-გეყოფს. არა თუ მშურს მოცემად, ანუ არა მნებაეს, არამედ წყინება ჩვენი მიერ³³ სათხო-უნის. ამისთვისცა იგავი წინა-გვიყო მეგობრისა მის, რომელი შეაღამესა მოვიდა და პურსა ითხოვდა; და ვითარმედ მსაჯულისა მის, რომელსა ღმრთისაგან არა ეშინოდა, არცა კაცთაგან პრცხვენოდა და არა კმაჰყო სიტყუა ხოლო იგავითა, არამედ საქმითაცა აჩვენა, რაჟამს დედაკაცი იგი ქანანელი [A195] ღირსჰყო ნიჭსა მას წყალობისა მისისასა და გამოაჩინა, ვითარმედ დაღაცათუ ვინ უმეტეს ღირსებისა და საზომისა თვისისა ითხოვდეს, მხურვალებით და სიმდაბლით და მოუწყინებლად, მიეცემის თხოვა მისი, რამეთუ მაშინ იტყოდა: „არა კეთილარს მოღებად პური შეილთაგან და დაგებად ძაღლთა“ (მთ. 15,26), გარნა ეგრეთცა ფრიადისა თხოვისა და მხურვალედ ვედრებისა მისისათვის მისცა თხოვა მისი და აღავსო სიხარულითა გული მისი. და კუალად პურიათა მიერ გამოაჩინა, ვითარმედ უღებთა და დახსნილთა არცა თუ რა-იგი აქუნდეს დაადგრების მათ თანა. ამისთვის არა თუ რაჟ მიიღეს ოდენ, არამედ რომელი აქუნდა, იგიცა წარწყმიდეს [A176] და მათ ვინათგან არა მხურვალებით ითხოვეს, უღირსად გამოსწინდეს და

თვისიცა წარწყმოდეს, ხოლო ამან⁵⁴, ვინათგან დიდითა მხურვალეებითა ითხოვა და ღმობიერად ევედრა, უმეტეს ღირსებისაცა მიიღო, და რომელი-იგი ძაღლად იწოდა, მიეცა მას პატივი შეიღად წოდებულთა მათ. ესოდენ დიდ არს და კეთილ უწყინოდ და ღმობიერად ეედრება. რომელი-იგი მეგობრობამან ვერ კქმნა, უწყინოდ ეედრებამან კქმნა, ვითარცა წერილ არს იგავსა მას შინა შეადამედ მოსრულისა მეგობრისა. აწ უკვე შენცა, ძმაო, ნუ იტყვი, თუ შეცოდებულნი ვარ და რისხეული, ვითარ ევედრო? არამედ უწყინოდ ევედრე და სთქუას შენთვის, ვითარმედ: წყინებისა მისისათვის აღვსდგე და მივსცე, რაოდენი უკმს. ოდეს უწყინოდ ევედრებოდე და არარაჲ გექმნას დამაბრკოლებელ, ნუ იტყვი, თუ: ფრიად მიცოდავს და არღარა ისმენს ღმერთი ჩემსა ეედრებასა, რამეთუ უკეთუ მთავარი იგი, რომელსა ღმრთისაგან არა ეშინოდა და კაცთაგან არა პრცხვენოდა, ფრიადითა ეედრებითა მოდრიკა ქერიემან მან წყალობად, არა უფროსად სახიერი იგი მოწყალე პყო-ა, უკეთუ ევედრებოდე მხურვალედ? ამისთვის, დაღაცათუ არა მეგობარი იყო, ფრიადისა წყინებისათვის მოგცეს წყალობათვისი; დაღაცათუ შეიღი ხარ განდგომლი და ყოველი იგი მამული სიმდიდრე ბოროტად წარგიგიეს, [S177] მო-ოდენიქეც მხურვალედ [A197] და კვალად დაგიტკბეს სახიერი იგი მამა და კვალად პირველივე პატივი მოგცეს. შეუერდი ცრემლით, ითხოვე ღმობიერად და წყალობით შეგიწყნაროს შენ. ხოლო მესმა ვიეთგანმე, რომელ იტყოდეს: აჰა ესერა მყოვარუამ მილოცავსო და ეედრებულ ვარ და არა მომეცა მე სასწაული სმენისა ღოცვათა ჩემთასა. ესე ამისთვის, რამეთუ არა ილოცავ, ვითარ იგინი ევედრებოდეს, ქანაანელსა ვიტყვი და მეგობარსა მას უუამოდ მოსრულსა და ქერიესა მას, რომელი აწყინებდა მსაჯულსა მას და უძღებსა მას შეიღსა, რამეთუ უკეთუმცა მსგავსად მათსა ევედრე, მუნთქვესემცა მოგეცა თხოვა შენი, რამეთუ მამა არს სახიერი და ამას ხოლო ეძიებს, რათა გიხილოს შენ სინანულად მოსრული და შევრდომით მეედრებელი. ჰე

თქმცა ჩვენცა ესრეთ მხურვალენი ვიყვნით სიყვარულსა
 ზედა მისსა⁵⁵, ვითარ-იგი მკურვალე არს წყალობასა ჩვენ-
 სა და მარადის ეძიებს მიზეზსა აღტყინებად ჩვენ შორის
 კეცხლსა მას სახიერებისა მისისასა, უკეთუ უნე[A198]ენო
 მას მკვირე ნაბერწყალი ღმობიერებისა, დიდძალი მოგცეს
 სახმილი ქველისმოქმედებისა. მრავალგზის შეურაცხ-გიჟ-
 თვიეს იგი და უკეთუ შეუვრდე, არარაჲ მისგანი გიხსენოს.
 [S178] არა მის გარდასრულისა შეურაცხებისათვის მწუხ-
 არე არს, არამედ აწინდელისა ამის უმაღლოებისა და გულ-
 ფიცხელობისა შენისათვის, რამეთუ ჩვენცა, უკეთუ რომელნი-
 ესე⁵⁶ შეურაცხ-ვიქმნეთ შეილთა ჩვენთა მიერ და კეაღად
 მოიქცვენ და შეგვივრდენ, სიხარულთ შეუენდობთ, არა
 უფროსად სახიერებისა და მოწყალებისა წყარომან კქმ-
 ნას-ა ესრეთ? რომელმან სთქუა წინასწარმეტყველისა მიერ:
*„დაღაცათუ დაიუიწენეს დედაკაცმან ნაშობნი მუცლისა
 თვისისანი, არამედ მე არა დაგიუიწეო შენ“* (ეს. 49,15). თიდება
 აურაცხელსა კაცთმოყვარებასა მისსა! აწ უკუე მოუედით,
 ცოდვილნი, შეუვრდეთ მას გულითა მხურვალითა და
 ვსთქუათ: „ჰე, უფალო, რამეთუ ძაღლნიცა ჭამენ ნაბიჭევის-
 აგან, რომელი გარდამოსკვივიან ტაბლისაგან უფალოთა
 მათთასა“ (მათ. 15,27), შეგვიწყალენ ჩვენ, უფლო, შეგვიწყ-
 აღენ ჩვენ! და გურქუას: გეყავნ, ვითარცა გნებაეს! [A199]
 ვსთქუათ უძღებისაებრ: *„ესცოდეთ ვად მიმართ და წინაშე
 შენსა“* (ლუკ. 15,18); ვსთქუათ მეზვერისაებრ: *„ღმერთო, მიღხ-
 ინე ცოდვილსა ამას“* (ლუკ. 18,13); დავალტვნეთ ფერწნი
 მისნი კრემლითა, ვითარცა მეძაემან და გურქუას: შენდობილ
 არიან ცოდვიანი შენნი; ვპრეკოთ კარსა მისსა და ვევედრე-
 ბოდეთ უამსა და უუამოსა და უფროსდა არა[S179]ოდეს
 არს უუამო ვედრება, არამედ უუამოება არს არა მარადის
 შევრდომა და ვედრება, რამეთუ ვინათგან იგი მარადის
 მზა არს მოცემად, ჩვენდაცა მარადის ჯერ-არს თხოვა.
 ვითარცა ფშვინვაჲ არაოდეს უუამო არს, არამედ მარადის
 ჩვენ თანა არს, ეგრეთვე ვედრება ღმრთისა მარადის თანა-
 გვაძს, რამეთუ ვითარცა ფშვინვაჲ მარადის სახმარ-არს

ჩვენდა, ეგრეთვე შეწევნა ღმრთისა მარადის სახმარ-არს
 ჩვენდა, და უკეთუ გვენებოს, აღვიღად მოწყალებუ ვქვით
 იგი ჩვენ ზედა და მოვიდეს შეწევნად ჩვენდა, ვითარცა
 იტყვის წინასწარმეტყველი და გამოაჩინებს, ვითარ განძნა-
 დებულ არს იგი წყალობად ჩვენდა, „*ვითარცა ვისკარი
 განძნადებული ვქვით იგი*“ (თს. 6,3), რამეთუ რაუდენგზ-
 ისაცა მოუხდეთ, ყოვლადვე მზა იმყოფების [A200] წყალო-
 ბად ჩვენდა. ხოლო უკეთუ უშურველად აღმოძვენარისა
 მისგან წყაროესა წყალობათა⁵³⁷ მისისათა არა ვინებოთ
 სმად, ესე ბრალი ჩვენისა უდებებისა არს. ვითარცა ჰური-
 თა ეტყვის წინასწარმეტყველისა მიერ, ვითარმედ: „*წყალო-
 ბა ჩემი, ვითარცა ღრუბელი განთიადისა და ვითარცა ვეარი
 ვისკრისა, წარმაყალი თქვენ ზედა*“ (თს. 6,4), ხოლო სიტყვა
 ესე ესრეთ არს, ვითარმედ: მე ჩემ მიერი ყოველი ვქმენ
 თქვენ ზედა და ვაჩვენე ყოველივე სახიერება, ხოლო თქვენ,
 ვითარცა მოიწიის რა სიცხე მზისა და განხმის ღვარი
 ვისკრისა, ეგრეთ[S180]ვე გარდამატებულთა მით უკეთურე-
 ბითა თქვენითა სიმრავლუ იგი ჩემ მიერ მოვლინებულთა
 თქვენ ზედა კეთილთა უკუნ აქციეთ. რამეთუ ესეცა სამარ-
 თალ არს და ჭეშმარიტისა მის განგებულებისა მისისასა
 საქმე არს, რომელ ოდეს გვიხილნეს უღირსად და გულ-
 ფიცხელად, დააყენებს ქველისმოქმედებათა მისთა, რათა
 არა უმეტესსა დახსნილობასა მოვიდეთ. ხოლო უკეთუ⁵³⁸
 გვიხილნეს მოქცეულნი ბოროტისაგან და მაბრალობელნი
 თავთა თვისთანი გარდასრულთა მათ კოდვათათვის [A201]
 და ღმობიერად მვედრებელნი მისნი, მაშინ უფროს წყარო-
 თასა აღმოაცენებს წყალობასა მისსა; უფროს ზღვისა გან-
 ჰყენს ჩვენ ზედა; და რაუდენცა განუძლომელად მოვიდებ-
 დეთ კეთილთა მისთა, უმეტესად მოხარულ არს და უმდი-
 დრესად აღმოგვიცენებს, რამეთუ ცხოვრება ჩვენი სიმდი-
 დრედ თვისად შეურაცხიეს და უშურველად მოცემად
 საწადელ არს უხვად მომნიჭებელისა მის, რამეთუ ჭეშმარ-
 იტად მდიდარ არს და უხვად მომცემელ მვედრებელთა
 მისთა. ხოლო ოდეს არა ვითხოვდეთ მისგან, მაშინ განგვირ-

ისხნების, მაშინ გარე-მოიქცევის ჩვენგან, გვიხილნეს რა, ვითარმედ სიგლახაკესა და უნდოებასა [S181] შინა ჩვენსა გვნებაეს წარწემელა უბადრუკებით. იგი ამისთვის დაგლახაკნა, რათა ჩვენ განგვამდიდრნეს; ამისთვის ყოველივე დაითმინა, რათა მიმიწოდნეს მისა მოღებად წყალობისა საუჩუქეთა მათგან და უცვალებელთა სახიერებისა მისისათა. ამისთვის გვედრები, მორწმუნენო, ვინათგან ესუოდენი მი[A202]სეზნი კეთილისა სასოებისანი მოცემულ არიან ჩვენდა, ნუ სასოწარკვეთილ ვიქმნებით, დადაკათუ ყოველთა დღეთა ვსცოდვიდეთ, არამედ შეუვრდებოდეთ მას ვედრებით და ვითხოვდეთ შენდობასა ღმობიერად. უკეთუ ესრეთ ვიქმოდეთ, ცოდვათაგან განკრძალულ ვართ კლემითა მით გონებისათა და ეშმაკი ბოროტი⁵⁹ ვიოტოთ⁶⁰ სირცვილეული და მოვიდეს ჩვენ ზედა წყალობა ღმრთისა და საუკუნეთა მათ კეთილთა ღირს-ვიქმნეთ მადლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკნითი-უკუნისამდე. ამინ.

სწაულა კდ

სიტკბოებისა და სახიერებისათვის

გულისჭმა-გჰყოთ, საყვარელნო ძმანო, სიტყვანი⁶¹ ესე ვიდრელა⁶² [S182] გვაქვს უამი და ვიზრუნოთ ცხოვრება სულთა ჩვენთა; მოვიგოთ ზეთი სახთელთა მათთვის ჩვენთა; [A203] განვამრავლოთ ტალანტი იგი, მოცემული ღმრთისა მიერ. უკეთუ უდებ და უქმ-ვიყენეთ აქა, მუნ არავინ შეგვიწყალოს ჩვენ, რავდენცა ვსტიროდეთ. აბრაღა თავსა თვისსა მანცა, რომელი სამოსლითა ხენეშითა შევიდა ქორწილსა მას, არამედ არას ერგო; მისცა ქანქარიცა იგი ერთი დაუკლებელად მონამან მან, არამედ და-ვე-ისაჯა; ევედრებოდეს სულელნიცა იგი ქალწულნი და პრეკდეს კარსა, არამედ ცუდად კშვრებოდეს. ვინათგან უკვე ესე ყოველი უწყით, ნუ უდებ-ვიქმნებით, არამედ ვისწრაფოთ სარგებელყოფად მოყვასთა – საფასითაცა და ჳელისაღპყრობითა

და თანამხრუნველობითა და ყოველითა სახითა, რამეთუ ესე არს ტაღანტი და ესე არს ქანქარი კაცად-კაცადისა ძალი, რომელიცა აქუნდეს: გინა თუ საყვასე, გინა თუ სწავლა, გინა თუ შეწევა, გინა თუ რომელიცა რაეცა საქმე, რომლითა აღუშენებოდეს მოყვასი – გინა თუ სუელიერად, გინა თუ ჳორციელად. ნუ'ვინ იტყვის, თუ: ერთი ტაღანტი მაქუს და [A204] ვერარას ვიქმ; ჳელ-გეწიფების, კაცო, ერთისა მისცა [S183] განმრავლება. არა უგლახაკეს ხარ ქვრივისა მის; არა უსწავლელ ხარ უფროს პეტრესა და იოვანესა, რომელნი-იგი გლახაკცა იყენეს და უსწავლელცა, არამედ ვინათგან გულსმოდგინება აქუნდა და სიყვარული და ისწრაფეს სარგებელ კაცთა ყოფად, ამისთვის ცამდე ამდლდეს, რამეთუ არარაჲ ესრეთ სათნო არს ღმრთისა, ვითარ სარგებელ ძმათა ყოფა ჩვენი. ამისთვის მოეცემიეს ჩვენდა სიტყვა და ჳელნი და ფერჳნი და ძალი გუამისა და გონება და მეცნიერება, რათა ესე ყოველი ცხოვრებადცა თაუთა თვისთა და მოყვასთა სარგებლად ვიხმაროთ. არა გალობად და მადლობად ოდენ საჳმარ-არს ჩვენდა პირმეტყველება, არამედ სასწავლადცა და ნუგეშინის-ცუმად ძმათა. უკეთუ ესრეთ ვიხმაროთ პირმეტყველება, მობაძაჲ ვიქმნებით მეუფისა, ხოლო წინააღმდეგომი თუ ამისი მოვიგოთ, მობაძაჲ ვიქმნებით ეშმაკისა. იხილუ, ვითარ ოდეს-იგი მოციქულმან პეტრე ქრისტე აღიარა, ნეტარება მიიღო, ვითარცა [A205] მამისა მიერ ზეცათასა განათლებულმან, ხოლო ოდეს ჯვარცმისათვის სთქუა: არა იყოს ესეო, შერისხა მას უფალმან ძლიერად. აწ უკუე ჩვენცა მარადის ესე[S184]ვითარმცა სიტყვათა ვიტყოდეთ, რათა ცხად იყვნენ, ვითარმედ ქრისტეს მიერ არიან, რამეთუ არა თუ ოდეს ვსთქუა, თუ: „ენებაჲ, აღსდუგ და ვიდოდუ!“ (საქ. 9,34), ანუ თუ ვსთქუა: „ტაბითა განიღვიძუ!“ (საქ. 9,40), მაშინ ოდენმცა იყვნენ ქრისტეს სიტყვანი, არამედ: უკეთუ ბოროტისმყოფელნი ჩემნი ვაკურთხენ, უკეთუ მწყევართა ჩემთათვის ვილოცო, უკეთუ ძმასა რაემე კეთილი ვასწავო, ქრისტეს სიტყვანი არიან ესევეითარნი ესე. უკეთუ რაჲ ქრისტესა პნებაჲს

მას ვხრახვიდეთ, იყოს ენა ჩვენი მისდად შერა(ცხილი. რას-
 მე უკვე ანებავს მას? ყოველივე სიტყვა სიტკბოებისა,
 სახიერებისა და სიმშვიდისა ანებავს, ვითარცა-იგი სახიერუ-
 ბით და სიმშვიდით ეტყოდა წინააღმდეგობითა მისითა: „*უკეთუ
 ბოროტსა ვიტყვი, სწამე ბოროტისათვის: უკ[A206]ეთუ
 კეთილსა ვიტყვი, რასათვის მკემ მე?*“ (ინ. 18.23). იხილე
 ესე სიტყვა სიმშვიდისა, დიდება აურაცხელისა სახიერები-
 სა მისისა. არა უბრძანა ქვეყანასა, დანთქმად ეშმაკეულისა
 მის და ბოროტისა მონისა, არა დასწვა (ეცხლითა, არამედ
 ეტყოდა სიტკბოებით: „*რადსა მკემ მე?*“ მ საქმე, სავსე
 შიშითა და ბრძოლითა, და მარადის ესრეთ ტკბილ და
 სახიერ იყო სიტყვა მისი და [S185] მარადის ასწავებდა და
 უმჯობესსა შეაგონებდა. აწ უკვე შენცა, ძმაო, თუ ესრეთ
 მბრძოლთა შენთა სიტკბოებით და სიმშვიდით და მოყვას-
 თა სარგებელად მოიგო ენად მობაძავი უფლისა, რამეთუ
 თავადმან სთქვა: „*რომელმან გამოიყვანოს პატიოსანი უბ-
 ატიოსაგან, ვითარცა პირი ჩემი იყოს*“ (იერ. 15.19). ხოლო
 ოდეს ენად შენი იქმნეს მობაძავ ქრისტეს ენისა⁴ და პირი
 შენი ღმერთშემოსილ და გული შენი ტაძარ სულისა წმიდ-
 ისა, რად-მცა იყოს სწორ ამის პატივისა? უკეთუმცა იყო
 ენად შენი ოქროდსა და ბაგენი შენნი მარაგარიტისანი, არავე
 რად არს ესე პატივისა მისთანა საღმრთოსა. [A207] ჭეშ-
 მარიტად პატიოსან არს და საწადელ ენად, რომელმან არა
 იცოდეს გინება, არამედ კურთხევა. ხოლო უკეთუ ვერ მო-
 გიგიეს ესე ჯერეთ საზომი, რათა მწყევართა აკურთხევედუ,
 მოიგე წუთერთ დუმილი და ძვირსა ნუ იტყვი და მერმე
 წარემატო მასცა საზომსა და იქმნა საშინელ ეშმაკთა,
 რამეთუ იხილოს თუ მან ბოროტმან შენ თანა ენად, ქრისტეს
 მობაძავი, იულტოდეს შენგან, ვითარცა ცეცხლისაგან, რამეთუ
 იცნობს იგი სახესა მას სამეუფოსა, უწყის საჭურველი იგი,
 რომლითა იძლია – [S186] ესე არს სიმშვიდე და სახიერუ-
 ბა. ოდეს მთასა ზედა მოუხდა უფალსა და უფალმან დააკუ-
 თა იგი და განხადა, არა თუ გამოაჩინა თავი თვისი, ვი-
 თარმედ ქრისტე არს და ესრეთ იოტა, არამედ სიტყვითა

სიმდაბლსა და სიმშვიდისათა მოინადირა⁵⁵. ეგრეთვე შენ
იქმოდე, ძმაო: ოდეს იხილო კაცი, ეშმაკისა მიმსგავსებული,
ეგრეთვე მძლე ექმენ. მოუცემიეს⁵⁶ უფალსა ჰელმწიფება
ბრძოლად მისა ძაღისაებრ ჩვენისა. ნუ გეშინინ ამის სი-
ტყვისაგან; უფროსად გეშინოდენ არაბრძოლისა, რამეთუ
ქრისტე [A208] ამისთვის მოვიდა, რათა ყოვლისა სათნოებ-
ისა სახე მოგვცეს ჩვენ. მიემსგავსე მისთა სიტყვათა და
იქმენ მობაძვე მისსა, ესე უადრეს არს წინასწარმეტყველებისა,
რამეთუ წინასწარმეტყველება მადლი არს ღმრთისა მიერ,
ხოლო ესე ყოვლითურთ შრომათა და ოფლთა შენთაგან
იქმნების. ასწავე სულსა შენსა გამოსახვად შენ შორის
ენასა ქრისტესა მიმსგავსებულსა: ჰელ-ეწიფების⁵⁷, უნდეს
თუ მისი გამოსახვა. და ვითარ-მე გამოისახვისო⁵⁸ იგი?
რომლითა ჩივითთა, ანუ რომლითა წამლითა? ჩივითთა და
წამლითა არცა ერთითა, არამედ – სათნოებითა, სიმდაბლ-
ითა, სიმშვიდითა და სიტკბოებითა, რამეთუ ვინებათა მიერ
და წყევათა, [S187] ძვირისზრახვათა და ცილ-ფუცობათა⁵⁹
მიერ გამოისახვის ენად ეშმაკისა. ოდეს ყოველსა, ვინ მის-
სა ზრახვიდეს, მისი ენა აქეს, დიდი უკუე სასჯელი მოი-
წიოს ჩვენ ზედა, უკუეთუ ენად, რომელთა ღირს-ვიქმნებით
ჯორცხა და სისხლსა ქრისტესსა, ვკყოთ იგი მობაძვე ეშმაკ-
ისა. ხოლო უკეთუ ყოველივე ბოროტი მოვისპოთ ჩვენგან
და მარადის კეთილსა ვიტყოდეთ, მაშინ გამოისახვის პირ-
სა [A209] ჩვენსა ენად, ქრისტეს მობაძვე. უკეთუ ესეუითარი
მოვიგოთ ენად, კადნიერებით ვეტყოდეთ უფალსა – დასჯდეს
რა საყდართა ზედა და ისმინოს ჩვენი, ხოლო ესეუითარი
თუ ენად არა გუაქუნდეს, არა ისმინოს ჩვენი, ვითარცა მსა-
ჯულმან სხვითა ენითა მზრახველმან არა ისმინის უცხ-
ოთესლისა ვისიმე ენად. ვასწავოთ უკუე სიტყვად წესისაე-
ბრ მეუფისა ჩვენისა. უკეთუ გლთვასა შთავარდეს, ეკრძა-
ლუ, რათა არა მიდრკეს ენად შენი უწესოებად, არამედ იტყ-
ოდე, ვითარცა⁶⁰ ქრისტესაგან ისწავე, რამეთუ იგიცა სცრემ-
ლეოდა ლაზარესთვის. უკეთუ შიშსა შთავარდე, იგივე წესი
მოიგე, ვითარცა ქრისტესგან ისწავე, რამეთუ იგიცა ოდესმე

'შიშსა მიეცა ჩვენთვის ბუნებითა მით კაცობრივითა. სიტყუ
 შენცა: *...არა ვითარ-იგი მე [S188] მხედაეს, არამედ ვითარცა
 შენ ვხედაეს*" (მათ. 26,39); უკეთუ სცრემლყოდე, ესრეთ
 მღუქმარედ სცრემლყოდე, ვითარცა იგი; უკეთუ მწუხარე-
 ბასა შთავარდე, იგივე წესი იპყარ. ისმინე, ვითარ იტყოდა:
*„შეძრწუნებულ არს ხელი ჩემი ვიდრე [A210] სიკუდილოაშ-
 დე“* (მარკ. 14,34), რამეთუ ყოველსავე ზედა სახე მოგუცა,
 რათა ვჰბაძვიდეთ მას. ესრეთ თუ სცხონდებოდე, ნეტარ
 იყოს შენდა. უკეთუ მის მიერ დადებელი წესი დაიმარხო
 ჟამსა მწუხარებისასა, ჟამსა სიხარულისასა, ჟამსა ერვისასა,
 გლოვისა და ყოველსავე საქმესა შინა,⁵¹ იტყვის უფალი:
*„ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა
 და კპოით განსვენება სულთა თქვენთა“* (მთ. 11,29). უკეთუ
 იქმნა მშვიდ და მდაბალ, მეგობარ იყო ქრისტესა, ვითარცა
 წერილ არს მოსესთვის: *„იყო იგი უმშვიდეს ყოველთა
 კაცთა“* (რიკხ. 12,3). ამისთვის ეწოდა მსახურ და მონა
 ღმრთისა და *„ეტყოდა მას ღმერთი პირისპირ, ვითარცა ვინ
 ეტყვის მეგობარსა თვისსა“* (გამ. 33,11). უკეთუ ესე წესი
 მოიგო, საყვარულო, ამასცა სოყველსა სანატრულ იყი და
 საუკუნეთა მათ სატანჯუელთა პირი არა იხილო, არამედ
 კადნიერებით წარსდგე საშინელსა მას სამსჯავროსა და
 ზეკისა [S189] სასუფეველსა მკვიდრ-იქმნე, რომელსა ღირსმ-
 ცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთმოყ-
 ვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო [A211] ქრისტესითა, რომ-
 ლისა არს დიდება თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ
 და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სწავლა კე

სახიერებისათვის და ძვირუხსენებლობისათვის

საყვარულნი ძმანი, გულისკმა-უკყოთ გამოუთქმელი იგი
 სახიერება და ძვირუხსენებლობა უფლისა ჩვენისა, იესო
 ქრისტესი, და ძალისაებრ ჩვენისა ვჰბაძვიდეთ სახესა მას,
 მის მიერ მოცემულსა. დაღაცათუ ვერ უძლით მტერთათვის
 სიკუდილისა თავს-დება, ვითარ-იგი მან პყო, არამედ ნუ

ვემტერებით. ნუ ვემტერებით⁵⁵ ურთიერთას, ნუ მივაგებთ ბიროტსა ბიროტისა წილ. არა ცუდად წერილ არიან საქმენი უფლისა ჩუენისანი, არამედ რათა გვესმოდეს და გვბადვიდეთ, რაოდენცა ძალ-გვედვას. იხილეთ, რაოდენი სახიერება აჩვენა არა იუდას ოდენ, არამედ პურიათაცა – განვიდეს რა შეპყრობად მისა, სიტკბოებით ეტყოდა: „*მე კარო*“ (ინ.18,5); და [A212] ყური [S190] მონისა მის განსკურნა; და ქუედაცემლნი იგი აღადგინნა; და მღუდელმთავარსა მას და პილატეს და სხუათა ყოველთა სიმშვიდით ეტყოდა. ხოლო ჯვარსა რა დამოჰკიდეს, საკვირველებანი დიდნი ქმნა, რათამცა პრწმენა მათ: მზე დააბნელა, კლდენი განაპნა, კრეტსაბმელი იგი განსკვეთა, მკუდარნი აღადგინნა და ოდესი იგი წინაშე მღუდელმთავართა მათ წარსდგა და წინაშე⁵⁵ პილატესა, გამოუთქმელი აჩვენა სიმშვიდე⁵⁴ და სახიერება, რომელი-იგი კმა-იყო უმეტეს სასწაულთასა მოდრეკად გულთა მათთა; და კვალად ჯვარსა ზედა იტყოდა: „*მიუტევე ამით, მამათ, ცოდვიანი ესე, რამეთუ არა იცვიან, რასა იქმან*“ (ლუკ. 23,34). და აღსდგა რა მკუდრეთით, კვალადცა მოუწოდა პურიათა მოქცევად და მოციქულთა უბრძანა ქადაგებად მათდა და რომელნიცა მოიქცეს, სასუფეველი ვათა აღუთქუა და რომელთა-იგი ჯვარს-აცვეს, მრავალნი მათგანნი პყენა შვილ ღმრთისა. რამცა იყო ამისსა უსაკვირველეს? რამცა იყო ამის სახიერებისა უმეტეს? [A213] აწ უკუე, რომელთა ესე გვესმის, შევიკდიმით და გულისკმავყოთ, თუ რაზომ შორს ვართ გზისა მისგან, რომელსა იგი ვიდოდა. მან თავადმან გვიბრძანა: „*ისწავეთ ჩემგან, რამეთუ მშვიდ ვარ და მდაბალ გულითა*“ (მთ.11,29). ხოლო ჩვენ ესეზომ უცხო ვართ საქმეთაგან მისთა, ვითარმცა ყოფილადვე არა გვასმიოდა, არამედ ვემტერებით და ძვირსა ვზრახავთ ძმათა ჩუენთა მიმართ, რომელთათვის ქრისტემან სიკუდილი თავს-იდვა. ნუუკუე ძვირუხსენებლობასაცა⁵⁵ წარგება საფასეთა უხმს-ა, ვითარცა-იგი მოწყალებისათვის ვიტყვიტ?⁵⁶ ნუ იყოფინ! ესე სათნოება სრულიად უშურველ არს და ადვილ. გულისკმაჰყავ, ზ კაცო, რაოდენისა

ბრძოლისა თანამდებ ხარ შენ და არა ხოლო თუ სიმძიმედ გიხნდეს მიტევება ბრალთა მათ მოყვისათა, არამედ უფროსად მიისწრაფო შეკრდომად მათდა, რათა გექმნას ესე მიზეზ ცოდვათა შენდობისა. არა გასმიეს-ა, ვითარმედ წარმართთა(ვა, რომელთა არა აქეს სასოება მერძისა, მრავალგზის იღვაწეს წარმართებ[A214]ად ძვირუხსენებლობისა და შენ, რომელი მიელი სასოებასა საუკუნესა, უღებ-ხარ ამას ზედა და ჰკელობ და რომელსა იქმს სიგრძე უამთა, არა მოსწარფე ხარ ქმნად⁵⁷ მცნებისათვის ღმრთისა, არამედ უმადლოდ მოელი და(ცხრომად გულისწყრომასა შენსა და არა ღმრთისათვის. [S192] უკეთუ გაგინა, ანუ ძვირი გიზრახა, მოიხსენე, უკეთუ სადმე კეთილი ექმნას შენ თანა და მოიხსენე შენი(ვა, რავდენთადა ძვირი გიქმნიეს, რავდენთადა ძვირი გიზრახავს და გულისკმა-ჰყავ, ვითარმედ უკეთუ შენ არა შეუხდო ძმასა შენსა, არ(ვა შენ შეგინდენენ (ვთომანი იგი და ბრალნი შენნი⁵⁸. გნებავს-ა ცნობად, თუ რაზომ ბოროტ არს ძვირისხსენება და რაზომ კეთილ არს ძვირუხსენებლობა⁵⁹ და სახიერებით მიტევება? ისმინე, რასა იტყვის უფალი: „უკეთუ მიუტეუნეთ თქვენ კაცთა შეკოდებანი მათნი, მოგიტეუნეს თქვენ(ვა მამამან თქვენმან ზეკათამან. უკეთუ არა მიუტეუნეთ თქვენ კაცთა შეკოდებანი მათნი. არ(ვა მამამან თქვენმან მოგიტეუნეს თქვენ შეკოდებანი თქვენნი“ (მთ. 5,14-15). [A215] ისმინე კვალად იგავი(ვა იგი, რომელსა თანა-ედვა ბევრეული შანთი და მიუტევა მეუფემან, ხოლო მან თვისითა მით უგუნურებითა არა ინება მოყვისადა სულგრძელებად; ამისთვის განაახლა თავსა ზედა თვისსა რისხვა იგი მეუფისა. რამეთუ ესე(ვა საცნაურ-არს, ვითარმედ უკეთუ ვისმე ჰრისხვიდეს ღმერთი და მოიწიოს მის ზედა სატანჯველი რადმე ამასვე სოფელსა, უკეთუ ვინმე მოხარულ იყოს საქმესა ამას ზედა, [S193] განურისხდების ღმერთი, დალა(ვათუ სამართლად იტანჯებოდის იგი ვინმე. არამედ შენ, კაცო, არა გიხმს სიხარული ამას ზედა, ვითარ(ვა იტყვის წინასწარმეტყველი: „ვამ მათდა, რამეთუ არა ელმოდა შემუსრვილება იგი იოსებისა⁶⁰“. ესე იგი არს

ცოცხალი მათ მისთა, რამეთუ ივინი ღმრთისა განგებითა იტან-
 ჯებოდეს, არამედ ესევეთარცა ანებავს, რათა გვეწყალოდენ
 ჩვენ და მათ თანა გველმოდეს. აწ უკუე მათი არა ჯერ-არს
 ზედა დართვა, რომელთა ღმერთი სტანჯვიდეს, არამედ
 უფროსად წყალობა, რაედენ უფროსად მათი ჯერ-არს წყ-
 ალობით შენდო[A216]ბა, რომელთა ჩვენ შეგვცოდონ, რამეთუ
 ესე არას სასწაული სიყვარულისა და სახიერებისა, მიტევება
 ბრალთა მოყვისისათა, რამეთუ ვითაცა დებილი იგი არს
 ყოველთა უპატიოსნეს, რომლითა პორფირი მეფისა შეიმზა-
 დების და იქსოვების, ეგრეთვე სათხოვბანი ივინი არიან
 პატიოსანი, რომელნი სიყვარულსა განამტკიცებენ. ხოლო
 არარად სხუა შემძლებელ არს ესრეთ განმტკიცებად და
 დაცვად სიყვარულისა, ვითარ არახსენება შეცოდებისა მოყ-
 ვისათა. არა თუ ორისავე კერძისა არა იზრუნა ღმერთმან?
 ჰე, იზრუნა, რამეთუ შემაწუხებელთა(ცა უბრძანა, ვითარმედ:
*„უკეთუ შესწირვიდე შესაწირავსა [S194] საკურთხეველსა
 ზედა და მუნ მოგეხსენოს, ვითარმედ ძმა შენი გულძვირ
 რამდე არს შენდა, დაუტევე შესაწირავი იგი წინაშე საკურთხ-
 ეველსა მას, მივედ და დაეგე პირველად ძმასა შენსა და
 მაშინ მოვედ და შესწირე შესაწირავი შენი“* (მთ. 5:23-24).
 ესე უბრძანა შემაწუხებელსა. გარნა შენ, რომელი-ეგე შეწუხ-
 ებულ ხარ, ნუ მოელი შემაწუხებელისა მის მოსლვად შენდა,
 უკეთუ [A217] არა წარგიწყმედის სასყიდელი შენი, არამედ
 შენ უსწრვე დაგებად და მიუტევე შეცოდება იგი; ხოლო
 უკეთუ იგი მოვიდეს და გვეედროს შენდობად, მან მიიტაცა
 გვირგვინი და შენ ცარიელი დაშთები უდებებითა შენითა.
 რადსა იტყვი, კაცო, მტერი გივის-ა? და არა გრცხვენის კა-
 ცისა მტერ წოდებად? არა კმა-არს-ა მტერად ეშმაკი, რომელ
 ძმათა ჩვენთა მტერობასა დავირთავთ? ჰე თუმცა არცა მას
 მოეპოვა ჩვენდა მომართ ბოროტება, ჰე თუმცა არცა იგი
 ეშმაკ ქმნილ იყო. აწ უკუე მისი მტერობა კმა-არს; მას
 ვემტერებოდეთ და ნუ ურთიერთას დავიჭამებით, ვითარცა
 ნაღველ(კემული. არარად არს უძვირეს და უმწარეს მტერო-
 ბისა, არცა რად არს უტკბილეს და⁶¹ უსაწაღლეს სიყვარულისა.

[S195] ისმინე წერილისა(კა, რახა იტყვის: „გზანი ძვირისძობს-
სენეთანი სიკუდილად კაცად-კაცადისათვის იმარხვენ ძვირ-
სა და ღმრთისა მიერ ეძიებენ წყალობასა, ვითარმცა ეგებო-
და ესე“. ესე სიტყვა ჭეშმარიტ არს. [A218] რად იხსენებ,
კაცი⁵⁶², ძვირსა ძმისათვის? უკეთუ შიში და სიყვარული
ღმრთისა გაქენდეს, ძვირსა ვერვინ განხვენებს, რამეთუ
კაცი ღმრთისმოყვარე არად შერაცხავს ყოვლადვე ძვირსა
მოყვისასა. უკეთუ ვინმე უკეთურმან დაიმჭირვოს საფა-
სე, ვითარმცა შესწუხნა იგი, რომელსა არასად შეერაცხ-
ია საფასენი? უკეთუ მეუღლეცა და შეიღნი⁵⁶³ მიუკლინეს,
ვითარმცა იხსენე ძვირი, რომელსა უსწავლიეს არა შეწუხ-
ებად შესვენებულთათვის სასოებითა მით აღდგომისა-
თა? უკეთუ აგინოს და შეერაცხ-ჰყოს, თდესმცა ეღმოდა,
რომელსა უსწავლიეს, ვითარმედ საწუთოდ ესე, ვითარცა
ყვაილი ველისა, შეერაცხილ არს? უკეთუ სატანჯველთა-
ცა და დიდუგად მიეცეს, უსწავიეს მას, ვითარმედ დაოა-
ცათუ გარეშე კაცი განიხრწნების, არამედ შინაგანი გა-
ნახლდების და ვითარმედ ჭირმან გამოცდილება ქმნის.
ჰხედაე-ა, ვითარსა საზომსა მიაწევს ღმრთისმოყვარესა
მას მოთმინება? [S196] განაახლებს და განანათლებს⁵⁶⁴.
ამისთვის გევედრები, საყვარელნი, ნუ ვავნებთ და
მო[A219]ვაუძღურებთ სულთა ჩვენთა ძვირისხსენებითა,
რამეთუ ესე არა მედგრობისაგან მოყვისსა იქმნების,
არამედ უკეთურებისაგან ჩვენისა და უძღურებისა. აწ
უკუე, ძმანო, გინა თუ გვაგინოს ვინ, გინა თუ გვცეს, გინა
თუ წარიტაცოს ჩვენი, გინა თუ სხუა რაიმე ძვირი შეგ-
ვამთხვიოს⁵⁶⁵, ნუ განვრისხნებით, არამედ უფროსად მის-
თვის ვსცრემლეოდეთ⁵⁶⁶, რომელ სულსა თვისსა ავნებს
იგი. მიუტეოთ შეცოდებანი მოყვისსანი, რათა ჩვენცა ვპ-
პოოთ შენდობა ცოდვათა ღმრთისაგან და საუკუნეთა
მათ კეთილთა მივემთხვივნეთ მადლითა და კაცთმოყ-
ვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა
არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდ-
ითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სწავლა კვ

მოთმინებისათვისა და სულგრძელებისა

საყვარელნი ძმანი ჩემნი, ეიჭსენებდეთ ვნებათა მათ⁶⁷ და მოთ[S197]მინებათა, რომელნი ქრისტემან თავს-ისხნა ცხოვრებისა ჩვენისათვის, და ვისწრაფით ბაძვად სიმშვიდესა და სულგრძელებასა მისსა. რად შეგემთხვია, მ კაცო, ესე ვითარი, ვითარ-იგი უფალსა ჩემსა შეემთხვია: გინა თუ ივინე მოყვისისაგან, გინა თუ იგვემე, გინა თუ იყუდრე, მისთა მათ ვნებათაგან დიდად ნაკლულევან ხარ, რამეთუ გულისკმაჰყავ, თუ ვინ იყო იგი, ანუ ვისგან შეემთხვია – დამბადებელი ცისა და ქვეყანისა, რომლისა წინაშე ძრწოლით სდგანან ზეცისა მხედრობანი. ესე ჩვენთვის კაც-იქმნა და ქვეყანასა ზედა იქცეოდა; შეემშია, მოეწყურვა, დაშურა და მერმე მოწაფემან განჰყიდა იგი; სხუათა დაუტევეს და ივლტოდეს; უსჯულოთა მათ შეკრეს და წარიყვანეს კაიაფასა; მონამან ყურიმალსა სცა; სხუანი მხერწყვიდეს პირსა მისსა და სცემდეს თავსა მისსა; მერემე კუალად შეკრეს⁶⁸, მიიყვანეს პილატესა, ხოლო მან სტანჯა და მისცა ჯვარცმად; მკვდარნი იგი ეკიცხევდეს; პურიანი აყუდრებდ[A221]ეს; ავაზაკი მკმობდა. რად-მე ვსთქუა, რამეთუ⁶⁹ მოუძღურდების ენად [S198] ვნებათა მისთა წარმოთქმად? და ყოველი იგი უყვეს უმიზეზოდ და თვინიერ ყოველისა ბრალისა, ხოლო სახიერმან მან ყოველივე დუმილით და სიმშვიდით მოითმინა და თავს-იდვა. არა სიტყვა უგო, არცა აცილობდა რას, არამედ დუმილით მძლე ექმნა, რათა გვასწავოს ჩვენ, ვითარმედ რავდენიცა სიმშვიდით თავს-ვიდვათ, უმეტეს მძლე-ვექმნებით ბოროტისამყოფელთა ჩვენთა. გარნა ჩვენ, რომელნი დღითი-დღედ აღმოვიკითხავთ და გვესმის ესე ყოველი, ფიცხელ ვართ და ცხარ და მრისხანე მოყვასთა⁷⁰ მიმართ და უმრწემესთა და არა თავთა ჩვენთა ვაბრალებთ, არამედ სხუათა. მან⁷¹ ვინმე შემაწუხაო და განმარისხაო. რად არს, კაცო, სიტყვა ესე შენი? მაში ჯერ-არს უფროსად სულგრძელებისა და მოთმინებისა ჩვენე[A222]ბად, ოდეს ვინმე შეგაწუხოს. ხოლო

უკეთუ არავინ მიზეზი გვქვს, მაშინ მკვეცნიცა მშვიდ არიან, რამეთუ იგინიცა უკეთუ არავინ აღაშფოთნეს, არა აღშფოთნებიან. აწ უკუე ჩვენცა მაშინ თდენ მშვიდ ვიყვნეთ და [S199] სულგრძელ, თდეს არავინ განგვარისხოს; და თდეს მიზეზი ვინ გვქვს, მკვეცთა უფიცხეს ვიყვნეთ, რათა უმჯობეს ვართ მათსა? მათ ვერ ვაბრალებ, რამეთუ ბუნებით აქეს მკვეცობა, ხოლო შენ, კაცო, რამ გაქეს სიტყვა? უკეთუ ვინ წარგიტაცა შენი, უკეთუ პატივი მიგიღო, უკეთუ გაგინა, უკეთუ გცა, არავე გაქეს მიზეზი განრისხებისა. ერთად: რამეთუ ვხედავთ სახესა მას მოთმინებისა და სულგრძელებისა უფლისა ჩვენისასა, რომელმან ივინო ჩვენთვის, ვითარცა იტყვის მოციქული: „და ჩვენ დაგვიტევა კელით-წერილი, რათა შეუდგეთ კუალსა მისსა, რომელმან-იგი ცოდვა არა აქმნა, არცა იპოვა ზაკვა პირსა მისსა; რომელი-იგი“⁷² ივინებოდა და იგი არავის ავინებდა; ევნებოდა და იგი არა ვის უთქმოდა, მიუღა მსაჯულსა სიკრუვით“⁷³; [A223] რომელმან ცოდვიანი ჩვენნი თავს-ისხნა კორკითა თვისითა ჯვარსა ზედა, რათა ცოდვასა განეშორნეთ და სიმართლით ესცხოდებოდეთ, რომლისა-იგი წელულებითა განვიკურნენით“ (1.კორ. 2,21-24). მეორედ: რამეთუ უწყით ვითარმედ მაგინებელნი და შეურაცხის-მყოფელნი ჩვენნი უფროსად სარგებელ გვექმნებიან, ვიდრედა მაქებელნი და პატივისმკემელნი“⁷⁴, რამეთუ იგინი გვირგვინსა [S200] მოთმინებისასა მოგვატყევენ, ხოლო ესენი ზუაობასა და ამპარტავენებასა შთაგვაგდებენ, უკეთუ არა ფრიად ვეკრძალნეთ. და ვითარ იყოსო ესე, რათამცა მაგინებდა ვინ და შეურაცხ-მყოფდა და არამცა განერისხენ? – მეტყვიან მიეთნიმე ამას. კე ძმაო, შესაძლებელ არს ესე და არა შეუძლებელ: თდეს ვინმე შეგაწუხოს და ბოროტი გიყოს – საქმით, გინა სიტყვით და აღიძვროდე გულისწყრომად, გამოსახე სასწაული პატიოსნისა ჯვარისა შენისა; მოიხსენე ვნებანი და შეურაცხებანი ქრისტესნი, რომელ ჩვენ[A224]თვის დაითმინა; მოიხსენე შიში ღმრთისა“⁷⁵ და განქარდეს ვნება იგი შენგან და იქმნე მშვიდ და მოთმინე. უკეთუ კუალადცა

იტყვი⁵⁷⁶. თუ: შეუძლებელ არს ესე, მიხედენ მონათა მეგრ
 შენთა და მათგან ისწავე: ოდეს აგინებდე და იგინი დუ-
 მილით თავს იღებდნენ. სცან, ვითარმედ არა შეუძლებელ-
 სა საქმესა გეტყვი. რომელსა იგინი იქმან 'შიშისათვის შენისა,
 შენ'⁵⁷⁷ შიშისათვის ღმრთისა რად არა კქმნა? ოდეს იქმნას
 უამი შეკოთისა და ძვირსა იტყოდეს, გაგინებდეს მოყვასი,
 გულისკმაძიე, რამეთუ წარუწყმედის გონება თვისი და
 უფროსად სწყალობდე, რამეთუ ეშმაკეულნიცა მრავალგ-
 ზის გვკემდიანცა [S201] და არა განვრისხნით, არამედ
 უფროსად ვსწყალობდით. ეგრეთვე შენ კქმენ: შეიწყალე
 მაგინებელი იგი, რამეთუ ბოროტითა ეშმაკითა შეპყრობილ
 არს, მრისხანებითა და გულისწყრომითა⁵⁷⁸, რომელმან-იგი
 მრავალგზის მეესა შინა დიდნი ბოროტნი კქმნის. გინეუ-
 ნამცა ვინ შიშველად სული მრისხანისა და მოთ[A225]მინისა
 და იხილეთმცა – მრისხანისა მის მიმსგავსებული ზღუასა
 აღძრულსა⁵⁷⁹ ღელვითა წარმწყმედელითა, ხოლო მოთმინისა
 მის – ნაეთსაყუდელსა მეუდროსა, რომელსა ვერ აღძრვენ
 ნიავექარნი ვნებათანი. და თვით მეგრ მრისხანე მარადის
 მაბრძოლებელ არს თავისა თვისისა მხილებული გონები-
 საგან, ხოლო სულგრძელი და მოთმინე, განისვენებს სულ-
 ითა. რად ეძიებ, კაცო, სხვისაგან პატივსა? შენ თვით პატიუ-
 ეც თავსა შენსა და ვერვინ შეურაცხ-გყოს, უკეთუ კულა
 შენ საქმით შეურაცხ-ჰყოფდე თავსა შენსა დაღაცათუ
 ყოველი სოფელი პატივ-გკემდეს, უპატიო ხარ და შეუ-
 რაცხ⁵⁸⁰, რამეთუ ვითარცა-იგი უკეთუ⁵⁸¹ ჩვენ თვით არა ვაყნოთ
 თავთა ჩვენთა, ვერვის ჳელეწიფების ვნებად. ეგრეთვე უკეთუ
 ჩვენ არა უპატიო და შეურაცხ გჰყვნეთ თავნი ჩვენნი, ვერ-
 ვინ უპატიო გჰყოფს. იყავნ კაცი ვინმე საკვირველი და
 სამღთოდ და ყოველნი ხადიდენ მას მსიძავად და მპარა-
 ვად და ავაზაკად [A226] და იგი მოითმენდინ ყოველსავე
 სულგრძელებით. რად ევნი, რომელნი ესრეთ იტყოდეს?
 მითხარდა, უკეთუ⁵⁸² მზესა ბნელი უწოდოს ვინმე, მას ავნი,
 ანუ თავსა თვისსა? ცხად არს, რამეთუ თავი თვისი განცუ-
 იფრებულად და ცოფად გამოაჩინა. ხოლო მზესა არარად

ავნო. ეგრეთვე არიან, რომელნი კაცისა ღმრთისმსახური-
სათვის და სათნოსსა ძვირსა იტყობიან. აწ უკუე ხეენ(ვა
ესე შევიკრძალოთ, რათა გონება ხეენი წმიდა გუგოთ და
არა ვსცეთ მძიხესი მხილებად ხეენდა, ხოლო უკეთე სხუ-
ანი ბოროტსა გვწამებდენ, რომელი ხეენ არა უწყოდეთ, ყოფ-
ლადვე ნუ ვხრუნავთ ამისთვის, რამეთუ არა ევენების კაცსა
სახიერსა, უსახურად თუ ვიეთგანმე შეირაცხოს, ხოლო რომელ-
მან ძვირი უხრახა^{სა} სიკრუებით, მას უფროსად შეემთხვევის
ენება და ზღვევაჲ, ვითარცა-იგი უკეთე ვინ ცოდვითა სავსე
იყოს, დადაცათუ კაცთა მიერ საქებულ იყოს, არარას ერგების,
არამედ უფროსად სასჯელ ექმნების. [A227] [S203] ამისთვის
გვედრები, ძმანო, დაუტოთ ზრუნვაჲ სხეთა კასრისათვის
და სხეთა პატივისა და შეერაცხებისა და ესე ვიდვაწით,
რათა გონება ხეენი ვერარას ბოროტსა გვაძილებდეს, არამედ
სათნოდ ღმრთისა ვიქცეოდეთ. რათა აქაცა კეთილად ვიყუ-
ნეთ და მის საუკუნოსსა დიდებასა მივემთხვიუნოთ მადლითა
და კაცთმოყვარებითა უფლისა ხეენისა, იესო ქრისტესითა,
რომლისა არს დიდება თანა მამით და სუელით წმიდითურთ,
აწ და მარადის და უკუენითი-უკუენისამდე. ამინ.

სწავლა კზ

ჭეშმარიტთა მოთმინეთა მოღვაწეთათვის

სადა-მე^{სა} უკუე ვპოთოთ, საყვარელნი, სახე ჭეშმარიტისა
მის მოთმინებისა და მოღვაწებისა? გარნა ქალაქსა მას
სათნოებისასა, საყოფელთა წმიდათა მათ მონაზონთასა,
რომელნი მკვიდრ არიან ქუაბთა კლდისათა და ჭურელ-
თა ქუეყანისათა, უდაბნოთა მათ განშორებულთა. მუნ ვიხ-
ილოთ სიმაღლე სიმდაბლისა, დასაბამი სა[A228]თნოებათა
სიტყვისაებრ უფლისა, რამეთუ კაცნი სახელოვანნი პატივისა
შინა სოფლისათა, სხუანი სიმდიდრესა შინა [S204] ფრიად-
სა აღზრდილნი. უარ-უყოფიეს ყოველივე იგი და შეკრუ-
ბულ არიან უდაბნოსა მას, განშორებულნი ყოველისავე
ფუფუნებისაგან: სამოსელთა წილ ბრწყინვალეთა ძაძაჲ და
ხალენი შეუმოსიესთ, ტადართა წილ ოქროქანდაკებულ-

თაქეაბნი და ტაღაგარნი უნღონი გამოურსევიან, მრავალ-
 თა მსახურთა და მონათა წ'იღ თაგნი თვისნი სხუათა დაუ-
 მონებთან, და ყოველით კერძო ყოველივე წესი და სახე
 ზეაობისა და სიღაღისა სიმდაბლედ და შეურაცხებად
 შეკცვალებიესთ. იგინი ადაგ'ხნებენ ცეცხლსა, იგინი აკრებენ
 შექმასა, იგინი ამსარეულობენ, იგინი ამსახურებენ მოძავალთა,
 იგინი აბანენ ფერკთა უცხითასა. არა ისმის მუნ ჳმად
 დრტვინვისა და ღაღობისა⁵⁵, არაეის ეწოდების დიდ მათ
 შორის, არამედ ყოველნი სიმდაბლესა აღირჩევენ და
 უდარესობასა სხუათასა, არაეინ უბრძანებს მოყვასსა ჳელმ-
 წიფვებით, არამედ ყოველნი [A229] ისწრაფვიან მსახურებად.
 ერთი ტაბლა არს ყოველთა, სწორი ჳამადი, სწორი სამოსე-
 ღი, სწორი საყოფელი, და დიდ მათ შორის იგი შეურაცხილ
 არს, რომელი უდარესთა საქმეთა ირჩევდეს. არა ითქმის
 მათ შორის ჩემი და შენი⁵⁶, [S205] არამედ სრულიად იტე-
 ბულ არს მათგან ესე სიტყვა, მიზეზი ბევრეულთა ზორიტ-
 თა. და რად გვიკვირს, თუ ერთი ტაბლა არს მათ ყოველ-
 თა და ერთი ჳამადი და ერთი საყოფელი? უფროსად ესე
 გვიკვირდენ, რომელ სული მათი ერთ არს. არა ბუნებით
 ვიტყვი, რამეთუ ესე ყოველთა კაცთა შორის არს, არამედ
 წესითა მით სიყვარულისათა. არა არს მუნ სიმდიდრე და
 სიგლახაკე, დიდება და შეურაცხება. ეინათგან უკუე ესე
 ყოველი ესრეთ არს, ამისთვის არა იპოვების მათ შორის
 ზეაობა და სიმადლე, არამედ – ყოველივე სიმდაბლედ და
 მოთმინება. არა არიან უდიდესნი და უმცირესნი წესითა
 მით სათნოებისათა, არამედ, ვითარცა ვსთქუ, არაეინ მათ
 შორის ახედავს ამას, არამედ [A230] რაოდენცა მაღალ
 იყოს სათნოებითა, უდარეს ყოველთასა აქუს თავი თვისი.
 და სიქადული მათდა არს შეურაცხება საქმით და სი-
 ტყვით, და სიხარულით თანა-ერევიან გლახაკთა და მწუხ-
 არეთა, და ტაბლა მათი ესევეითარითა პურისმტეთაგან საესე
 არს. ამისთვის ღირს-არიან ზეცვისა სავანეთა. რომელიმე
 აკურნებს წყლულებასა გონჯთასა, სხუა აღიქუამს წვივშე-
 მესრვილსა, სხუა [S206] წინა უძღვის ბრმასა. ამის ყოფ-

ლისაგან 'შემოუკრებების მათ სათნოება სიმდაბლისა, რამეთუ
 ყოველსავე საქმესა მათსა აღმაორძინებელად სიმდაბლისა
 იქმან⁸⁷. და ვითარცა ესე ჩვენ 'შორის მოსწრაფება არს, თუ
 რომელი მიემთხვიოს უმეტესსა პატივსა, ეგრეთვე მათ 'შორის
 მოსწრაფება არს სიმდაბლისათვის და უხდებიან ერთიერ-
 თასა, რომელმან უმეტესი მსახურება და შეერაცხებისა
 თავს-დება აღირჩიოს. ამისთვისცა ადვილად მოიგებენ სიმ-
 დაბლესა, რამეთუ ყოველნი საქმენი მათნი მდაბალ არიან:
 [A231] რომელსამე სათხროლი აქეს და ქუეყანასა სთხრის,
 რომელიმე ნერგსა ასხამს და რწყამს ბოსტანსა, სხუა უძღურ-
 თა მსახურებს, სხუა სვირიდსა კკერავს, სხუა კქსოვს ძა-
 ძასა, ანუ სხუასა რასმე ესევეითარსა იქმს, და ცხოვრება
 მათი არს გლახაკობით, შიმშილით და სი'შიშვლით. ვითარ
 უკუე კპოას ესევეითართა მათ 'შორის ზუაობამან ადგილი?
 ჩუ იყოფინ! არა არს კუალი მისი მათ 'შორის, რამეთუ
 საყოფელი მათი უღაბნი არს და საქმენი მათნი – სიმდაბ-
 ლისა მომგებელ. ხოლო ჩვენ ადგილნიცა და საქმენი და
 საყოფელნი, ყოველნივე ზუაობად მიგვიზიდავს, [S207] გარ-
 ნა არავე გვაქეს ამისგან მიზეზი განმართლებად ზუაო-
 ბისა ჩვენისა; რამეთუ აბრაჰამ 'შორის ქანანელთასა იყო
 და შეერაცხა თავი თვისი მიწად და ნაცრად (დაბ. 18,27);
 და დავით მეფობასა შინა იყო და იტყოდა: „მატლ ვარ მე
 და არა კაც“ (ყს. 21,7); და პავლე ყოველისავე სოფლისა
 მოძღვარი იყო და იტყოდა: „მე ვარ ნარჩევი მოციქულთა,
 რომელი არა ღირს [A232] ვარ წოდებად მოციქულად“ (1კორ.
 15,9). აწ უკუე რაჟმე ვკყოთ ჩვენ, ძმანო, რომელნი არცა
 ძველთა სახეთა სათნოებისათა ებაძაუთ, არცა ახალთა
 ეუშურებით? აღმოიკითხენ, მ კაცო, წერილნი და მიიღენ
 სახენი სიმდაბლისა და მოთმინებისანი ყოველთაგან წმი-
 დათა. უკეთუ არა უწყი წერილი, არცა გასმიეს წიგნთაგან
 სათნოებანი პირველთა მათ წმიდათანი, ესე მეგრ ბრალო-
 ბავე არს შენი, რომელ ეკლესია დღითი-დღედ განღებულ
 არს, მას შინა არა შეხვალ სმენად კეთილთა მათ თხრობა-
 თა. თვინიერ დაღაცათუ პირველთა მათ წმიდათა საქმენი

არა გასმიან. ცხოვრებანი ესე^ს და აწვე წუთისოფელსა შინა მყოფნი იხილენ. უკეთუ არა გაქუს წინამძღუარი, მოვედ, შემომიდუგ მე და მიგიყვანი სავანეთა მათ წმიდათასა. [S208] მოვედ მუნ და ისწავე კეთილი საქმით აღსრულებულნი. სანიულნი არიან იგბნი, განმანათლებელნი სოფელსა შინა, ზღუდენი არიან მორწმუნეთანი. ამისთვის განვიდეს უდაბნოდ, რათა ჩვენცა გვასწავონ ამბოხება[A233]თაგან განშორება. რამეთუ მათ, ვითარცა ძლიერთა, არავე ევნებოდა დელვათაგან სოფლისათა, ხოლო შენ, უძღერსა მაგას გონებითა, უფროსად გიჭმს მყუდროება და განშორება სოფლისაგან, რათა არა დაინთქა დელვათა შინა მისთა. ჩუ გკონის უკვე ზედასზედა მისლვად ჩეტართა მათ მიმართ, რათა ლოცვითა და სწავლითა მათითა ბილწებანი სოფლისანი განიბანნე და მერმე, ჰე, თუ შეუძლო თანამოსაგრე მათდა ყოფად, რათა ესეცა ცხოვრება კეთილად აღასრულო და ზეცისა სასულუველსა მკვიდრ-ყოფად ღირს-იქმნე ქრისტე იესოს მიერ, უფლისა ჩვენისა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

[S209] სწავლა კმ

საშინელისა სასჯელისათვის

მ ძმანო, უკეთუ არა შევიწყნარებდეთ უცხოთა, უკეთუ არა მივეგებოდეთ მონაზონთა ჩვენდა შემომა[A234]ვალთა, ვითარცა წმიდათა მოციქულთა, რომელთაცა უბრძანა უფალმან განყრად მტვერი ფერცთა მათთასა ესევეითარისა მოქმედთა ზედა, არა იგივე სასჯელი მოგვეხადოს-ა? მსთქუას უკუე ვინმე, ვითარმედ: ოდეს მოვიდა ჩემდა მოციქული და არა შევიწყნარე? არამედ უკეთუ გულისკმაგყოთ, ვპოვნეთ თაენი ჩვენნი ესევეითარისა ამის საქმისა მოქმედ. რამეთუ რომელ-ესე დაუჭშავთ უცხოთა და გლახაკთა კარსა, არა ქრისტესდა მიიწევის-ა, რომელი-იგი უმეტეს არს ყოველთასა, ვითარცა მეუფე და დამბადებელი ყოველთა? და არა ხოლო თუ კართა დაუხშავთ, არამედ სასმე

ნელთაცა; და არა თუ გლახაკთა და უცხოთა ჳმასა არა ვისმენთ, არამედ არცაღა თუ⁵⁹⁰ მოციქულთასა. ამისთვისცა, ვინათგან მოციქულთასა არა ვისმენთ, არცა გლახაკთა მიუპყრობთ ყურთა. რამეთუ თდეს იკითხებოდენ სიტყვიანი პავლესნი და ყურსა არა მიუპყრობდე, თდეს აქლაგებდეს იოვანე [S210] და შენ არად შეგერაცხოს, არა დაგიყოფიან-ა ყურნი სმენად ჳმასა მოციქულთასა? ვინათგან უკუე [A235] მოციქულთა ჳმასა ესრეთ შეურაცხ-ყოფ შენ, გლახაკთა ჳმაჲ თდესღა ისმინო⁵⁹⁰?

არამედ გევედრები, საყვარელნი, განვახუნეთ ყურნი ჩვენნი სმენად ჳმასა მოციქულთასა და კარნი ჩვენნი შეწყნარებად უცხოთა, რამეთუ ამისგან ვიეთმე რეცა არა უწყოდეს და ანგედოსნი ისტუმრნეს. შევიკრძალნეთ მცნებანი ქრისტესნი, რათა არა უძვირეს სოდომელთა სახჯელი შეგვემთხვიოს, ვითარცა უფალი იტყვის. რამეთუ მათ დაღაცათუ უსჯულოება დიდი აქმნეს, არამედ პირველ სჯულსა და პირველ სახარებისა იყვნეს, ხოლო ჩვენ ესოდენსა ამას მცნებასა ზედა და შემდგომად⁵⁹¹ ესოდენთა სწავლათა სმენისა, უკეთუ ცოდვასა შინაღა ვიყვნეთ⁵⁹², რაჲმე სიტყუა მიუგოთ, რომელი მიზეზი დავსდეთ? რამეთუ, უკეთუ რომელნი-იგი პირველ ქრისტეს მოსლვისა იყვნეს და სახელიცა საუკუნეთა სატანჯველთა არა ასმიოდა და აქავე იტანჯნეს, უკეთუ იგინი მუნ იტანჯვიანვე, ვითარცა მოასწავა ტანჯვად [A236] მათი უფალმან სიტყვითა მით, ვითარმედ: „*უმოღხინეს იყოსო* [S211] *ქვეყანა სოდომისა და გომორისა მას დღესა, ვიდრეღა ქალქათა მათ⁵⁹³, რომელთა არა პრჩმუნა მისი*“ (მთ. 11,24). ვინათგან უკუე პირველ ქრისტეს მოსლვისა შეცოდებულნი ესრეთ ტანჯვად არიან მას საუკუნესა, უფროსღა აქავე ტანჯულნი, რადენ უფროს ჩვენ ტანჯვად ვართ ესოდენსა მოძღვრებასა და მცნებასა შინა აღზრდილნი? ამათ სიტყუათა ზედა შევლენ ვიეთნიმე ძიებასა და იტყვიან, ვითარმედ: რაჲ არს სამართალი ესე ამის საქმისა, რომელ პირველ ქრისტეს მოსლვისა იყვნეს⁵⁹⁴ და სახელიცა არა ასმიოდა გეენისა, რათამცა გეენიასა შთავარდეს?

არა აქეს-ა⁵⁸⁵ სიტყვა თქმად, ვითარმედ: უკეთუძ(ვა გკასმიო-
და, არამცა შთავრდომილ ვიყვენით? არამედ ისმინეთ ამის
ჯერისათვის: ესე უწყით და გურწამს, ვითარმედ არა არს
ღმრთისა თანა უსამართლობა⁵⁸⁶, ანუ თუაღთღება, არამედ
ყოველსავე წესითა მიუთხრობელისა მის სიმართლისათა
იქმს. [A237] დადაცათუ გულისკმისყოფა მისისა სიმართლისა
ხვენგან დაფარულ კყოს, არა ჯერ-არს [S212] დაფარულთა
მათ ძიება, არამედ სარწმუნოებით შეწყენარება.

ხოლო წინამდებარე ესე საქმე არცა ფრიადისა ძიებისა
ღირს-არს, რამეთუ პირველ ქრისტეს მოსლვისა, ვინათგან
არღა განთავისუფლებულ იყვნეს კაცნი მძლავრებისაგან
კოდევისა, არცა ესოდენი ასმიოდა სწავლაჲ, ამისთვის⁵⁸⁷
არცა იძიებოდა მათგან ესოდენი სათნოებისა სრულება,
არამედ ესე ხოლო, რათა⁵⁸⁸ კერპთმსახურებისაგან მოიქცვენ
და იცნან მხოლოდ ღმერთი და მას მსახურებდენ და რათა
დიდთა მათ და გარდარეულთა ერიდნენ ცოლოვათა, რომელ-
თა თვით ბუნებაცა და შინაგანი გონება მარადის მამხ-
ილებულ იყო. რამეთუ არა იდეს დაუტყვა ღმერთმან კაცი
შეუწვენელად, არამედ მისცა მხილება გონებისა მამხილე-
ბელად ბოროტთა. კმა-იყო უკუე მათდა ესე, რათა კერპთა-
გან მოიქცვენ და ღმერთსა მსახურებდენ და გარდარეულ-
თა უსჯულოებათა ერიდნენ. [A238] ხოლო რომელთა საქ-
მენიცა კეთილნი მოიგნეს ღმრთისმსახურებისა თანა, იგინი
დიდად წარმატნეს. ხოლო მოქმედთა ბოროტისათა დადა-
ცათუ სიტყვაჲ ესე საუკუნეთა სატანჯველთა არა იცოდეს,
[S213] გარნა ჳელის-ჳელნი სატანჯველნი მოიწეოდეს მა-
შინ, ვითარცა წყლითრღენაჲ, ვითარცა სოდიომელთა⁵⁸⁹ და
გომორელთა ტანჯვაჲ⁵⁹⁰, ვითარცა ბაბილონელთა და
მეგვიპტელთა და სხუანი მრავალნი, რომელნი წიგნთა შინა
წერილ არიან. უგუნურთა უკუე და ზრქელთა და პირუ-
ტყვებრთა, წინამდებარენი ჳელის-ჳელნი სატანჯველნი
უფროსად ერგებიან, ვიდრე შემდგომად ჟამთა მრავალთა
მოლოდებანი; ხოლო რომელნი თუაღთა წინაშე მყოფთა-
გან არა შეშინდებოდეს, მათ დადაცათუძ(ვა ექადაგა მო-

მაგალი იგი სასჯელი, არაუმცა შეშინდეს. აწ უკუე არარად შეუთმხვია ყოვლადვე უსამართლო მათ, დადაცათუ ცუდად იტყვიან ვიეთნიმე, თუ: ჩვენ მრავალნი მოგვეცნეს სწაულანი და შიში სატანჯველთა მათ წინადადებულ არს, და ამით ჯერითა ევნო პირველთა მათ, რამეთუ არა ესევითარი ისწავეს. [A239] არამედ ამათ არს სიტყვა ესე ერთად, ზემოთქმულთა მით მიხეხითა, და მეორედ, რომელ არა ერთი მოქალაქობა თანამდებ არს ჩვენდა და მათდა, არამედ ჩვენ ფრიად უმეტესი თანაგვადს. ხოლო რომელთა ზედა უმეტესი მოღვაწება [S214] განეწესა, უმეტესისა (ვა შეწვევისა ღირს-ვიყვენიო⁴⁰¹) მოღებად. ესე არს უკუე შეწვენა ჩვენი: განმრავლება⁴⁰² ესე ღმრთისმეცნიერებისა და შიში მომავლისა სასჯელისა. და ვითარცა ჩვენდა განსაკრძალველად განწესებულ არს მეცნიერება ესე მის საუკუნოხსა, ეგრეთვე მათ აქუნდა, უკუთუმცა ენება, მაშინვე მომავალნი ბოროტისმოქმელთა ზედა სატანჯველი, ამასვე ცხოვრებასა, ვითარცა ზემო ვახსენეთ, სოდომელთა და მსგავსთა მათთა.

ხოლო ამას ყოველსა ზედა სხუასაცა სიტყუასა იტყვიან მრავალნი, ვითარმედ: სადა არს სამართალი ღმრთისა ამას ზედა, ოდეს ვინმე სცოდოს აქა, და იტანჯოს აქაცა და მას საუკუნესაცა?⁴⁰³ [A240] აწ უკუე ამას პირსა ზედა თქვენ მიერვე თქმულნი სიტყუანი მოგახსენნე, რათა არღა შრომა შემემთხვეოდეს განმარტებად ამის საძიებელისა.

უწინარეს ამათ დღეთ მესმა ვიეთგანმე, ვითარმედ ავაზაკი ვინმე ძვირისმოქმელი შეიპყრეს და სამსჯავროსა შინათავი წარუკუეთეს; და სთქუეს ვიეთმე თქუენგანთა: ესა, საკვირველიო! უმრავლეს [S215] ასისა კაცისა მოეკლა უსჯულოთსა მას და აწ ერთი ხოლო სიკუდილი შეემთხვია მას; ვითარ არს ესე სამართალი? აწ უკუე თქვენვე სწამებთ, ვითარმედ მრავალთა უსჯულოებათა მისაგებელად ერთი ხოლო სიკუდილი არა კმა-არს. ვითარ უკუე აწ ვერ გულისწამა-ვეყოფთ? არამედ სხვათათვის თუალუხუაენი ვართ მსაჯულნი და თაუთა თვისთა არად გვენებოს განკითხვისა

ყოფად, თუადღებით ებჭობთ.

ხოლო უკეთუ ჩვენთვისცა თუადღებავი ვყოთ სასჯელი, ეპოვნეთ თავნი ჩვენი არა ერთისა ხოლო და ორისა, არამედ ბევრეულთა სიკედითა ღირსნი და ბევრეულთა [A241] სატანჯველთა, აქაცა და მერმესაცა საუკუნესა. და რათა სხუათა მათ საქმეთ ჩვენთა თანა-წარვხდეთ, მოვიხსენიოთ, რომელნი-ესე უღირსებით ვეზიარებით წმიდათა ქრისტეს საიდუმლოთა. არა გვისწავიეს-ა, ვითარმედ რომელნი უღირსად ეზიარებოდენ. თანამდებ არიან ჳორცისა და სისხლისა ქრისტესისა (Iკორ. 11:27). აწ უკუე კაცო, თდეს კაცისმკლველსა განიკითხვიდე, თავიცა შენი განიკითხე. მან კაცო მოკლა, ხოლო შენ უღირსად თუ ეზიარებოდე, სისხლსა თანამდებ ხარ მეუფისასა. იგი უმეცარ იყო [S216] და უსწავლელი, ხოლო შენ სწავლელ ხარ და მეცნიერ.

ეგრეთვე, კუადად, რომელნი დღითი-დღედ ჳორცსა ძმათა თვისთასა სჭამენ და გესლსა უკეთურებისასა მიჰყენენ მათ ზედა, ვითარისა სასჯელისა ღირს არიან? რომელნი სძარცვავენ გლახაკთა და კვკედნიან დაურდომილთა, რავდენთა ავა'საკთა უძვირეს არიან?

აწ უკუე, მორწმუნენო, ესეცა გულისგმა-გყოთ, ვითარმედ პირველ ქრისტეს მოსლვისაცა ყოფილნი უსჯულონი ტანჯვად არიან საშჯელთა სიმართლისათა, თუინიერ [A242] უმოღხინეს აწინდელთა უსჯულოთასა, რამეთუ არა არს ყოვლადვე სასჯელსა მას შინა ღმრთისასა უსამართლობად. ამისთვის განვეკრძალნეთ, რათა არა ვიპოვნეთ ჩვენ გარდამავად მკნებათა ქრისტესთა, არცა ვიქმნეთ მოქმედ უსჯულოებისა, რათა არა ჩვენცა მივეცნეთ სასჯელსა სოდომელთასა, რათა არა შეგვემოხვიოს წარწყმედა გომორელთა, რათა არა მოიწივნენ ჩვენ ზედა ბოროტნი იგი ტვირელთა და სოდონელთანი. უფროს ყოვლისა ესე ესთქუა, რათა არა გავარისხოთ ქრისტე, რომელ-ესე ყოვლისა უმძიმეს არს და უსაშინლეს. რამეთუ, დაღაცათუ მრავალთა გუენია იგი ცეცხლისა საშინელად ჰგონიეს, [S217] არამედ მე არა დავსცხრე მარადის ამას დაღადებად, ვითარმედ: ესე არს გუენისა და

ყოველიხავე ხატანჯველისა უყვიცხლეს და უსაშინლეს –
განრინება ქრისტესი და განურდომა პირისა მისისაგან.

ამისგან შეძრწუნებულ ვარ მე, ამისგან ზარგანჯდილ
ვარ. და თქვენცა ეგრეთვე გვეუდრები, საყვარელნი, რათა
ამის განსაცდელისაგან გეშინოდეს, რათა შიშითა ამით
შევიკრძაღნეთ თავნი ჩვენნი და გვენისაგან განვერნეთ
და დიდებასა ქრისტესსა ღირს-უიქმნეთ ხი[A243]ლვად და
საუკუნეთა კეთილთა მკვიდრ-ყოფად, რომელსა ღირსმცა
ვართ ყოველნი მიმთხვევად მადლითა და კაცთმოყვარე-
ბითა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა არს
დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ,
აჴ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სწავლა კთ

მეორედ მოსლვისათვის უფლისა

საყვარელნი, უკეთუ გვნებაეს და გესურის ვიხილოთ
ჩვენცა ქრისტე ბრწყინვალებითა მრავლითა, [S218] არა
ვითარ-იგი მოციქულთა იხილეს მთასა თაბორსა ზედა,
არამედ ფრიად უბრწყინვალესად, დიდებულსა მას მეო-
რედმოსვლასა მისსა, რამეთუ მაშინ კრიდა მოწაფეთა და
ესოდენ უჩვენა ბრწყინვალება თვისი, რაოდენ ძალ-ედვათ
ტვირთვად, ხოლო უკანასკნელ, ოდეს-იგი მოვიდეს დიდებ-
ითა მამისათა, არა მოსეს და ილიას თანა ხოლო, არამედ
ურიც[A244]ხუთა მათ მკედრობათა თანა ანგელოსთა, მთა-
ვარანგელოზთა თანა და ხერუვიმთა, ბეურეულთა მათ თანა
სურაფიმთა და სხუათა მათ⁶⁴ დასთა, და არა ღრუბელი
აგრილობდეს, არამედ ყოველითურთ ცანი ძრწოლით გან-
ეხნვენ, და დასჯდეს საყდართა დიდებისათა, და ყოველი
ბუნება კაცთა წარსდგეს წინაშე მისსა. ვინამცა უძლო
მითხრობად, ანუ გონებითაცა მიწდომად მაშინდელსა მას
დიდებასა და ბრწყინვალებასა მისსა. რამეთუ ჭეშმარი-
ტად საშინელ არს ჟამი იგი და შესაძრწუნებელ, ოდეს
ყოველნი ანგელოსნი და ყოველნი კაცნი წარდგომილ⁶⁵
იყვნენ შიშით და განიკითხვიდეს ნათესაუთა კაცთასა და

რომელთაზე ეტყობა: „მოვედით. კერთხეულნი მამისა სემის[S219]ანი“ (მათ. 25,34) და სხუათა პრქეას: „აჲ, კეთილ მონათ, სახიერო და სარწმუნო, მცირესა ზედა სარწმუნო იქმენ. მრავალსა ზედა დაგადვიხო შენ“ (მათ. 25,23); და კუალად სხუათა პრისხვიდეს და წარავლენდეს (კეცხლად საუკუნოდ და რომელსამე უწოდდეს მონად ბოროტად, უკეთურად და მედგრად; სხუათა ნაწილსა ორგან [A245] განკვეთდეს და ორგულთა თანა დასდებდეს; სხუათა კუალად უბრძანებდეს შეკრუად ჴელით და ფერჯით და განგდებად ბნელსა მას გარესკნელსა. ვინ არა შეშინდეს და სძრწოდეს უამისა მისგან? მაშინ მართალნი გამო-ბრწყინდნენ, ვითარცა მზე⁶⁰⁶ და ფრიად უბრწყინვალეს მზისა. არამედ არარად არს ამას სოფელსა უბრწყინ-ვალეს მზისა, ამისთვის მას მოვიდებთ სახედ მაშინდელ-ისა მის მართალთა ბრწყინვალეებისა, რამეთუ მთასა ზე-დაცა თაბორსა, რომელ სთქვა მახარებელმან, ვითარმედ: „პირი მისი, ვითარცა მზე“, ამისთვის ესრეთ სთქვა, რამეთუ არარად კპოვა სოფლისა საქმეთაგან ხილულთა უბრწყინ-ვალეს მზისა, რათამცა მას მიამსგავსა სახე იგი. უკეთუ არა, ესე ცხად არს, თუ რაზომ უმეტეს იყო ბრწყინვალეა იგი ნათელსა მზისასა, [S220] რამეთუ აჲ ესერა მცხინ-ვარებისაგან მზისა არაინ დაეარდების პირსა ზედა, რამეთუ მაშინ ესოდენ გარდაემატა ბრწყინვალეა იგი ნათლისა მზისასა, რომელ ყოვლადვე ვერ იტვირთეს მოწაფეთა, [A246] არამედ დასცვივეს პირსა ზედა. ჴეშმარიტად უკუე გამო-ბრწყინდენ მართალნი დღესა მას მეორედ მოსლვისასა უმეტეს მზისა, ხოლო ვამ ცოდვილთა, რამეთუ დიდი სიბ-ნელე და შიში და ძრწოლა შეედვას მათ, რაუამს საქმენი მათნი ბოროტნი ემხილებოდენ⁶⁰⁷. მაშინ რად სახმარ არს მამხილებელთა და მოწამეთა წარმოდგინება, რამეთუ ყოველივე უწყის უცთომელად მსაჯულმან მან საშინელ-მან; ყოველივე შიშუელ⁶⁰⁸ და თავდადრეკილ იყოს წინაშე მისსა. არა არს მუნ მდიდარი და გლახაკი, ძლიერი და უძლური, ბრძენი და უმეცარი, მონა და აზნაური, არამედ

ესე წესნი და სახენი დაიჭსნებიათ და გამოიძიება საქმეთა თუალუხუჯავო იხილვების და მოქმედანი უსჯულოებისანი სირცხვილუელნი გამოსსნდებიათ.

ამისთვის, საყვარელნი, გვედრებთ: აღვიძარცვნეთ სამსკელნი ესე ხენეში და ცოდვით შებღალულნი და შევიძოსით საჭურველი ნათლისა, რათა დიდება უფლისა გამობრწყინდეს [S221] ჩვენ ზედა, ჰელ-გყით [A247] მცნებათა უფლისათა აღსრულებად, რამეთუ არარაჲ შეუძლებელი უბრძანებოეს, არამედ ყოველნივე მცნებანი მისნი ადვილ და შესაძლებელ არიან.

იხმინე, რასა იტყვის წინასწარმეტყველისა მიერ და სცან სიადვილე მცნებათა უფლისათა: „შე-ღათუ-იდრიკო, ვითარცა გრკალი, ქედი შენი და ძაძა შთაიციუა და ნაკარი დაიუიხო, მითცა არა ეწოდოს მარხვა და დღე სათხო უფლისა, რამეთუ არა ესე ვითარი მარხვა გამოვირნიე, იტყვის უფალი, არამედ განხეთქენ ყოველი კრულება სიცრუვისა და განხეთქე ყოველი გულარძნილება ცოდვისა, განუტკევენ პერობილნი მიტყეებითა და ყოველი ჰელითწერილი სიცრუვისა განხეთქე“ (ეს. 58.5-6).

იხილე სიბრძნე იგი წინასწარმეტყველისა: წარმოსთქვა პირველად ძნელოვანნი და გამოაჩინა, ვითარმედ არა თუ ჭირსა და შრომასა ეძიებს ღმერთი, არამედ მორჩილებასა მისსა, რამეთუ ადვილად მოგუცემს წყალობასა, უკეთუ გვენუბოს. და გვიხვენებს, ვითარმედ სათხოება ადვილ არს და სუბუქ, ხოლო ცოდვა მძიმე არს და მწარე. ამისთვის ცო[A248]დვასა სახელ-სდვა გულარძნილებად და კრულებად სიცრუვისა, და სათხოებასა ვსნილად და აზნაურებად. განიჭსენ ყოველი კრულება სიცრუვისა და განხეთქე ყოველივე გულარძნილება ცოდვისა. [S222] ჰეშმარიტად ცოდვა კრულება არს სულისა და ჰელბორკილი არს მრავალუერთა გულარძნილი, რომელი შეაშთობს და აჭირებს სულსა მას შეკრულსა გულარძნილებითა მისითა.

აწ უკუე, მორწმუნენო, განხეთქნეთ ჩვენგან აპაურნი ცოდვისანი და განეაგდოთ ჩვენგან უღელი მისი. შევიტკ-

ბოთ სათხოება და მცნებანი უფლისანი 'შევიწყნარნეთ, რამეთუ უღელი მისი ტკბილი არს და ტვირთი მისი მცირე არს და სუბუქ. იხილე შემდგომიცა სიტყვა წინასწარ-მეტყველისა: „კანუტევეო პერობილნი მიტევებითა და ყოველივე ჰელითწერილი სიცრუვისა განხეთქე“. ზემო კრულებად სიცრუვისა და გულარძნილებად ყოველისავე ცოდვისა უწოდა, ხოლო აწ ჰელითწერილი სიცრუვისანი ახსენნა, [A249] რომელ ახსენა ჰელითწერილი იგი ვახშოთა და აღნადგინებათანი, რომლნი-იგი დიდად საუნებელ და წარმწყმედელ არიან სულისა, რათა გვიხვენოს, თუ რაზომ ადვილ და სუბუქ არს კეთილისა საქმე. რამეთუ რად სიძნელე არს არამოხდა^მ ვახშისა გლახაკთაგან^მ? რად სიძნელე არს ამას შინა? ჰეშმარიტად არცა ერთი, გარნა ვნება [S223] იგი ანგაპრებისა იქმს ამას ყოველსა.

გულისტმა-ჰყავ, მ კაცო, ვითარმედ ამისთვის მოგეცნეს საფასენი ღმრთისა მიერ, რათა ნუგეშინის-სცემდე გლახაკთა, არა თუ ამისთვის, რათა უმეტესად განამრავლებდე ჭირთა და მწუხარებათა, რამეთუ აწ სახითა ნუგეშინისცემისათა უფროსად აღაორძინებ განსაცდელსა სიგლახაკისა მისისასა, მისცემს საფასესა, რათა უმეტესად განამრავლო საფასე; მისცემს ოქროსა, გინა ვეცხლსა, რათა მოიგო ოქროს და ვეცხლი უმეტესი ჭირისა მისგან გლახაკისა, რომელმან ივასხა.

ბოროტ არს ვაჭრობა ესე, საძაგელ არს ჰელითწენება ესე და ღონე საძულველ არს წინაშე ღმრთისა. [A250] მიეც, საყვარელო, ოქრო შენი და ვეცხლი და მოიყიდე სასუფეველი ცათა. ნუ მცირესა და უნდოსა საეაჭროსა მოივაჭრებ, ვახშსა და აღნადგინებსა ათეულსა საფასისა შენისასა, გინა თუ ხუთეულსა, არამედ ცხოვრება იგი უკუდავი მოიგე.

რადსათვის გლახაკ ხარ გონებითა და დაურდომილ? რადსათვის უგუნური ვაჭარი ხარ, ფრიადისა მიმცემელი და მცირედისა მომღებელი? [S224] საფასისა წილ წარწყმედადისა სასუფეველი ცათა მოგეცემის და შენ არა

მოიგებ მას, არამედ მცირედის აღნადგინებისათვის მოიშობი. მ ყრიადი ესე სიყვიცხე! რად დაუტეობ ღმერთსა და კაცობრივთა ხარგებელთა სდევ? რასათვის მდიდარსა მას და განმამდიდრებელსა ყოველთასა თანა-წარხდები და გლახაკისა მისგან ეძიებ აღნადგინებსა შენსა და ცუდად აშობ მას? მდიდარი იგი მეუფე მ'სა არს მოცემად, ჳელი განუმარტებოეს და წინა-გიყოფს ნიჭსა მას დიდებულსა და შენ თანა-წარხდები მას და მისგან გნებავს მოღებად, რომელი [A251] იძულებითვა მცირედსა მოცემად ვერშემძლებელ არს.

იგი წადიერ არს მოცემად და ესე მწუხარე არს; იგი ასწილად მოგცემს და ესე ასეულსა(ვა ვერშემძლებელ არს; იგი ცხოვრებასა საუკუნოსა მოგცემს და ესე – წარწყმედასა; იგი თანანადებსა შენსა ქებით და დიდებით მოგცემს და ესე – შყოთით და გინებით.

აწ უკუე არა უკანასკნული უგუნურება და სიციოფე არს-ა დიდთა მათ კეთილთა დატევება და [S225] უნდოთა ამათ და ცუდთა ძიება? რავდენნი აღნადგინებისათვის დიდთა განსაცდელთა შთაუარდეს; რავდენთა თაენი(ვა თვისნი და მოყვასნი(ვა დააგლახაკნეს, რავდენნი ამის ჯერისათვის სრულიად წარსაწყმედელსა მიეცნეს.

და ნუ ამას იტყვი, კაცო, თუ გლახაკი იგი წადიერ არს მოცემად აღნადგინებისა, რამეთუ ესე გარდამატებულისა⁶¹¹ მის ანგაძარებისა შენისათვის იქმნების, ვინათგან თვინიერ ვახშისა არა ავასხებ. ამისთვის აი[A252]ძულებს ჳირი გლახაკსა მას წადიერებად აღნადგინებისა მოცემასა და შენისა მისთვის უსახურობისა მადლიერ არს, არამედ შენ გულისჳმაჳყავ, რავდენსა ბრალსა ამის საქმისასა წარმოიტყვიან წერილნი ძველნი და ახალნი.

გარნა იტყვიან ვინმე მევახშეთაგანნი, ამისთვის მოვიღებთო აღნადგინებსა, რათა მივცეთ იგი გლახაკთა.

გულსავსე იყავ, მ კაცო, ვითარმედ ესევეითარი ქველის-საქმე ღმერთსა არა პნებავს. უმჯობეს არს არამიცემა გლახაკთა, ვიდრედა ესევეითარისა მონაგებისაგან მიცემა.

უკეთეს აღნაღვინებისაგან იქმოდე ქველისსაქმესა, გრქევას შენ ღმერთმან, ვითარმედ: არა ეგვევითარი ქველისსაქმე გამოვირსიე. [S226] ვახში და აღნაღვინები სრულიად განგდებულ არს სჯულისაგან საღმრთოდასა⁶². და არა ესე ხოლო, არამედ წესისაგანცა პირველთა მათ⁶³ მეყვეთა და მთავართასა საძულველ იყო ესე საქმე, რამეთუ სჯულსა შინა პრომაელთა სამეფოთასა ესრეთ განწესებულ არს, რათა მთავა[A253]რთა მათგან, რომელთაცა სეინკლიტიკოს ეწოდების, რომელიც იპოოს აღნაღვინებისა მიმდებულად, განვარდეს სამთავროსაგან თვისისა; ხოლო აწ ჩვენცა ვქადაგებთ, ვითარმედ ყოველი მევახშე და აღნაღვინებისა მკრებელი განაგდებს თავსა თვისსა სასუფეველისაგან ცათასა.

აღნაღვინები მზგავს არს ნაშობსა⁶⁴ იქედნეთასა, რამეთუ ვითარცა იგინი შესჭამენ საშოსა დედისასა, ეგრეთვე ესე შესჭამს სულთა მათ მომგებელთა მისთასა.

ამათ ესე ვითართათვის სთქუა წინასწარმეტყველმან, ვითარმედ: „ყოველივე ჯელითწერილი სიცრუვისა განხეთქეო“, რომელმან ესრეთ გვიბრძანა: „ავასხებდითო, ვინაჲ-იგი არა მოელოდეთ მოღებასა“ (ლუკ. 6,35). ხოლო შენ, კაცო, არა მას ოდენ ეძიებ, რომელი მიეც, არამედ აღნაღვინებსაცა მოხდად იკადრებ გლახაკისაგან და ჰკონებ, თუ ამით ჯერითა საფასეთა [S227] შენთა განამრავლებ, არამედ უწყოდე, საფასისა წილ ცეცხლსა მას უშრეტსა ალატყინებ შენ ზედა.

[A254] ამისთვის გევედრები, საყვარელნო, უცხო-ვპყენეთ თაჲნი ჩვენნი ამის უჯეროებისაგან; მოვიწყვიდნეთ ბოროტნი ესე ჩვეულებანი, დავამხვნეთ აღნაღვინები იგი აღნაღვინებისანი⁶⁵; განვხსნეთ ყოველნი კრულება სიცრუვისა; განვხეთქით გულარძნილება ყოველისავე ცოდვისა; განუტევნეთ პყრობილნი მიტევეებითა და ყოველი ჯელითწერილი სიცრუვისა განვხეთქით; ესცეთ მშვიერთა პური და გლახაკნი უსართულონი შევიყვანნეთ⁶⁶ სახლად ჩვენდა; ვიხილოთ თუ შიშველი, შევმოსოთ იგი და თვისი

ნათესაებისა ჩვენისა არა უგულვებელს-ვევით (ესე არიან ყოველნივე სარწმუნოებისა მიერ წმიდისა ნათლისღებისა ძმანი ჩვენნი); მოვიგოთ სიყვარული, სახიერება, კაცთმოყვარება, მოწყაღება, სიწმიდე, სიმდაბლე, ღმობიერება; უცხო-სყენეთ თავნი ჩვენნი ყოველისავე ცოდვისაგან; შევიინან-ნეთ პირველქმნიელნი უსჯულოებანი; მოვიქცეთ ბოროტი-საგან და ვიქმოდეთ კეთილსა.

ესრეთ თუ ვიყენეთ, ღირს-ვიქმნეთ ჰეშმარიტისა მის [A255] ვაჭრობისა მოვაჭრებად, ვითარცა იტყვის მოციქული, ვითარმედ: „ნანდვილვე არს [S228] სარეწავე დიდ ღმრთისმ-სახურება უნაკლულებით. რამეთუ არარაჲ მოვიღეთ სოფლად, სსიანს, რამეთუ არცა განდებად ქელ-გვეწიყებ-ის“ (1ტიმ. 6.6). გარნა ხოლო საქმენი ჩვენნი, გინა თუ კეთილნი, გინა თუ ბოროტნი.

აწ უკუე, ძმანო, კეთილნი საქმენი მოვიგნეთ, რათა კად-ნიერებით ღირს-ვიქმნეთ ხილვად დიდად შეგნიერებასა მას უფლისასა, მო-რა-ვიდეს მიუთხობელთა მით დიდებ-ითა თვისითა, განკითხვად ყოველთა კაცთა და დაუსდგეთ მარჯვენით მისსა და გვესმას ჳმა იგი კურთხევისა და მივემთხვიენეთ მკვიდრობასა მას სასუფეველისა ცათასა.

ამას ესეუთარსა კეთილსა ღირსმცა ვართ ყოველნი მიმთხვევად მაღლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა არს დიდება და სიმტკიცე თანა მამით და სულით წმიდითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

[A256] [S229] სწავლა ლ

ქრისტეს მცნებათა აღსრულებისათვის

მ საყვარელნო, კეთილად უკუე და სამართლად განამტ-კიცნა უფალმან გულნი მოწაფეთანი ხსენებითა⁶¹⁷ მის დღისათა, რამეთუ ნანდვილვე ხსენება დღისა მის განკითხ-ვისა სათნოთა და ღმრთისმოყვარეთა თვისთა საწადელ არს, ვითარცა-იგი ცოდვილთათვის და დასჯილთა გონები-თა საშინელ არს და საგლოუველ. ამისთვის გვეუდრები,

საეკლესიო ძმანო ჩემნო, ნუ გვექმნის ოდენ და ვსძრწით მის დღისაგან, არამედ მოვიქცეთ სინანულადცა, ვიდრედა ეამი გვაქუს. განვეშორნეთ ბოროტთა საქმეთაგან⁶⁸ და ვიქმოდეთ კეთილსა, რამეთუ ძალ-გვიძს, უკეთუ ოდენ გვეჩუბოს. არა მხედავთ-ა, ვითარ პირველსაცა სჯულსა შინა, ოდეს-იგი დიდ იყო მძლავრება ცოდვისა, მრავალნი მძლეუქმნეს ვნებათ და წარმართეს სათნოება? არა აწ უმეტესად აღვიღ არს-ა, ვინათგან ქრისტე მოვიდა და განგვიახლნა ჩვენ უსა სათნოებისა და ცოდვა დასაჯა პატიოსნითა ჯერითა თვისითა? [A257] გულისგმა-გსყოთ უკუე, ვითარმედ არარად ძნელი და შეუძლებელი გვიბრძანა ქრისტე მან. არა გვამცნო: განკეთა მთათა, ანუ ფრინვა პაერთა, ანუ განვლა [S230] ზღუათა, არცა რაემე შეუძლებელთაგანი, არამედ ესრეთ აღვიღი მოქალაქობა განგვიწესა, რომელ ნება ხოლო გვიხმს სულისა და მეესეულად წარმართების, არცა მახვილი უკმს, არცა საჭურველი⁶⁹. მიხედენითდა წმიდათა მოციქულთა, კაცნი იყენეს კორციელნი, გლახაკნი და შიშველნი, ვითარ ღვთიუშეენიერად წარმართეს მცნებანი ქრისტესნი, რამეთუ ჭეშმარიტად არარად შეუძლებელი⁷⁰ გვიბრძანა უფალმან, რამეთუ იტყვის: ნუვის ემტერებო, ჩუვის მოიძულებო, ჩუ ბოროტსა იტყვი, შეიყვარე მოყვასი შენი. რად შეუძლებელ არს ამათ შორის? უფროსად წინააღმდეგომნი ამათნი არიან ძნელ და საძულველ. ხოლო ესენი არა მძლე არიან ბუნებით, არამედ ბოროტნი ნებანი ჩუენნი აღგვიჩენენ მძიმედ და ძნელად. არამედ განვიფროთხოთ, ძმანო, ვიხრუნოთ ცხოვრება სულთა ჩუენთა. [A258] აჰა, დაგვიდვა უფალმან საფუძველი ცხოვრებისა, რაჟამს უბრძანა მოციქულთა, ვითარმედ: „წარვედით და მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი და ნათელ-სცემდით სახელითა მამისათა და ძისათა და სულისა წმიდისათა და ასწავებდით მათ [S231] დამარხვად ყოველი, რაოდენი გამცენ თქვენ“ (მთ. 28.19-20). ესე არს საფუძველი ჭეშმარიტი, ამისთვის იტყვის ნეტარი პავლე, ვითარმედ: „კაცად-კაცადი ეკრძალონ, ვითარ ეინ აშენებდეს, რამეთუ საფუძველი სხუა ვერვის

*კვლ-ეწიყების დადებად გარეშე მძიხა, რომელი-იგი დაღუპ
 ბუღ არს იყხო ქრისტე უკეთუ ვინ ამხენებდეს საფუძველ-
 ხა მას ზედა თქროსა, ვეცხლსა ანთრაქსა პეტროსანსა ძეგლსა
 თოვასა, ღუღაწამსა, კაცად-კაცადისა იგი საქმე გამოიკადნეს,
 რამეთუ დღემან მან გამოიკხადოს” (1კორ. 3.10-13). აწ უმძიმ
 ხა ცნაურ არს, ვითარმედ საფუძველი ჭეშმარიტი არს წმი-
 და ესე მართალი სარწმუნოება, რომელი განგვიწესა უფალ-
 მან და წმიდათა მოციქულთა და მამათა გვისწავეს¹¹ და
 სხუა საფუძველი ვერვის კვლ-ეწიყების [A259] დადებად.
 რამეთუ რომელთაცა სხვისა საფუძველისა კვლ-მეცხ დაღუ-
 ბად, იქმნეს მწვალებელ და სამართლად შეინყენნეს და
 განვარდეს. ხოლო ჩვენ გვაქვს ჭეშმარიტი და მტკიცე საფუძ-
 ველი, აღვაშენებდეთ მას ზედა თქროსა, ვეცხლსა და ანთრაქ-
 ხა პეტროსანსა, რომელ არიან საქმენი კეთილნი და დავად-
 გრეთ საფუძველსა ზედა ჩვენსა, რომელ არს იყხო ქრისტე.
 [S232] დავადგრეთ მის თანა, ვითარცა ვენახსა შინა არს
 ვაზი¹². ჩუმცა განვეშორებით ყოვლადვე ქრისტესა, რათა
 არა შეგვემთხვიოს რა-იგი მან ბრძანა, ვითარმედ: „უკეთუ
 ვინმე არა დაადგრეს ჩემ თანა, განვარდეს გარე და ვი-
 თარცა ნასხლევი განხმეს; და შეკრიბონ იგი და ვეცხლსა
 დასხან და დაიწვას“ (ინ. 15.6). პე, გვედრები ძმანო, შეუდ-
 გეთ ქრისტესა და ჩუ მოვსწყდებით მას, რათა არა წარესწ-
 ყმდეთ, რამეთუ წერილ-არს: „აქა ესერა, რომელთა
 განიშორნეს თავნი მათნი შეგან, ივინი წარწყმდეს“ (ფს.
 72.27). ხოლო შედგომა მისი და მიახლება საქმეთა მიერ
 კეთილთა იქმნების, რამეთუ იტყვის: „რომელსა აქუნდეს
 მცხებანი ჩემნი და დაიმარხნეს ივინი, იგი არს, რომელსა
 უყვარ მე“ (ინ. 14.21). და იხილეთ, რადენითა სახითა შეგ-
 ვიყვანა და შეგვაერთნა მან თავსა თვისსა. იგი არს თავი
 და ჩვენ ასონი, იგი არს საფუძველი და ჩვენ დაშენებულნი,
 იგი არს ვენახი და ჩვენ რტონი, იგი არს გზაჲ და ჩვენ
 მოგზაურნი და კვალად ჩვენ ვართ ტაძარ და იგი მყოფი
 ტაძარსა მას შინა, იგი არს პირმშო და ჩვენ გვიწოდა ძმად,
 [S233] იგი არს მკვიდრი და ჩვენ თანამკვიდრნი, იგი არს*

აღდგომა და ხვეწ თანააღდგომილნი, იგი არს ცხოვრება და ხვეწ თანაცხოვნებულნი. ესე ყოველი შენაწვევრებასა და შეერთებასა მასწავებს და არარას დაუტეობს შორის და არცა ყოულადჲ კელ-გვეწიფების განყოფად მისგან, რომელი განიყოს და განიკვეთოს, წარწყმდების, რამეთუ განიკვეთოს თუ ას[A261]ოჲ გუამისაგან, განიკვეთილი იგი მკვდარ არს და წარწყმედულ; და ნასხლევი მოეკვეთოს რა ვაზისაგან, უხმარ იქმნების. ეგრეთვე ხვეწ, უკეთუ მცირედცა მოვწყდეთ ქრისტესა, მცირე იგი არამცირე არს, არამედ მის დიდ იქმნების და ყოვლითურთ განგვაშორებს. ამისთვის ოდეს მცირედი რაჲმე ვსცოდით, ანუ უღებ-ვიქმნეთ, ნუ უგულბებელს-გვყოფთ, რათა არა დიდი დანახეთქი იქმნას ხვეწ შორის და ქრისტესა, და დიდთა ბოროტთა შთავარდეთ, არამედ ვისწრაფოთ, რაოდენ ძალ-გვიძს, თანა-შევიწინეთ ღოცვანი წმიდათანი და მოღვაწებანი სუდიერთა წინამძღვართანი, რათა მცირედიცა იგი წყლულება განიკურნოს და ძნაად საკურნებელ იქმნეს და უკუეთუ განსაცდელითა მტერისათა ვერ დავიცვნეთ თაჲნი ხვეწნი საფუძველსა [S234] მას^ლ ზედა კეთილსა, არამედ გარდაუგორდეთ, ვითარცა ქვანი უხმარნი და დიდად იქმნას წყლულება ხვეწნი უღებებითა ხვეწითა. მერმეცა მოვიქცეთ სინანულად და შეგვეწიოს ღმერთი, რამეთუ არა [A262]ჰნებაეს სიკუდილი ცოდვილისა, არამედ მოქცევა და ცხოვნება. და ვიდრედა სოფელსა ამას შინა ვიყვნეთ და არა მოწვენულ იყოს სიკუდილი, რაოდენთაცა ცოდვათა შთავარდეთ, კელ-გვეწიფების სინანული, უკეთუ გვენებოს და პირველსავე წესსა მიწვენად და უმაღლესსაცა აღსლვად, უკეთუ ვიღვაწოთ.

აწ უკუე, ნუმცა ვინ წარიკვეთს სასოებასა, ნუმცა შეიპურობის სენითა მით უსჯულოთათა, რამეთუ მათი არს ცოდვაჲ ესე, ვითარცა წერილ არს, ვითარმედ: „*უსჯულო მო-რა-იწიის სიღრმედ ბოროტთა, უგულბებელს-ჰყვის*“. საცნაურ არს უკუე, ვითარმედ არა თუ სიმრავლე ცოდვათა იქმან სასოწარკვეთილებასა, არამედ – უსჯულოსა გონებაჲ.

ხოლო შენ, კაცო, დაღაცათუ ყოველთა ბოროტთა შთავარ-

დამიდ იყო, სოქე, ვითარმედ: კაცთმოყვარე არს ღმერთი და ძეგბავს ცხოვრება ჩემი⁶⁴, რამეთუ იტყვის: „*უკეთუ იყვნენ ცოდვანი თქვენნი ვითარცა ღებღინი, ვითარცა თოვლი* [S235] *განუასბუტაკნე*“ (ეს. 1.18). ესე სოქე და განუშორე ცოდვასა, მოიქცე [A263] სინანულად და მზა არს ღმერთი, შეწყნარებად შენდა. აწ უკუე, ნუ სასოწარკვეთიდ ვართ, ძმანო, რამეთუ არა ესრეთ ბოროტ არს ცოდვა, ვითარ დაცემულისა არა აღდგომა, არცა ესრეთ ძნელ არს წყლვას, ვითარ წყლულისა მის კერნებისა არა ძიებად, რამეთუ ვინ იქადოს სიწმიდე გულისა? ანუ ვინ იკადროს თქმად, თუ წმიდა ვარ ყოვლისაგან ცოდვისა? არამედ სინანულთა განვიბანეთ ცოდვანი, რამეთუ მზა არს სახიერი ღმერთი შეწყნარებად მონანულთა. და ამას ვიტყვი არა ამისთვის, რათამცა უღებებად მოვიყვანნე, არამედ – რათა არაეინ მოვიდეს სასოწარკვეთილებად. გნებავს ცნობად, თუ ვითარ სახიერ არს მეუფე ჩვენი? წარსდგა თდესმე მეზვერე სავსე ბევრეულითა ბოროტითა და სოქეა: „*ღმერთო, მიღხინე ცოდვილსა ამას*“ (ლუკ. 18.13) და მოიქცა განმართლებული. რადმცა იყო სწორი ამის კაცთმოყვარებისა? არამედ ესე არს ბოროტი ჩვენი, რომელ არცა თუ ესოდენსა ღმთი[A264]ბიერებასა ვანივენებთ, არცა ჰელ-უკყოფთ მკნებათა ღმრთისათა აღსრულებად, ამისთვის უკერნებელ იქმნებიან სენნი ჩვენი, ხოლო უკეთემცა მოვიქცით სინანულად, [S236] არა ძალ-უძს სიმრავლესა ცოდვათა⁶⁵ ჩვენთასა ძლევად სახიერებასა ღმრთისასა, ნუ იყოფინ! არამედ ვ⁶⁶ ჩვენი ესე გულფიცხელობა! ყოველნი შექცეულ ვართ ანგაჰრებასა, ვეცხლისმოყვარებასა⁶⁷, უღებებასა და სხუათა ბოროტთა. მეშინის, ნუუკუე ითქუას ჩვენთვისცა, რათუი პრქუა უფალმან იერემიას პურიათათვის: „*არა მხელავო, რაესა ესენი იქმან: მამანი მათნი აღაკზებენ ცეცხლსა ძენი მათნი პერებენ, შეშასა, ღუჯანი მათნი მხელენ სა*“⁶⁸ ნუ უკუე ჩვენთვისცა ითქუას: არა მხელავო-ა, ესენი იქმან? ყოველნი თვისსა ეძიებენ და არა ქრო' მამანი მიმორბიან⁶⁹ მიხეუჭად და ტაცეზად, ჭაბუ

ვიან საქმეთა ბილწებისათა, დედანი შექცევულ არიან სამკაულთა და სახიობათა,⁶³⁰ ცუდთა და მავნებელთა.

ვიდრემდის ვიყვნეთ, ძმანი⁶³¹, მონებასა შინა მამონასა[A265]სა, ვიდრემდის ვიყვნეთ ტყვენი საჭმართმოყვარებისანი და სხუათა მათ ვნებათა? არა შეუიკდიმოთ-ა მამათა ჩვენთაგან სამ ათასთა მათ და კვალად ხუთ ათასთა, რომელთა გული და გონება ერთ იყო? და არცა ერთმან ვინ სთქვის [S237] მონაგები მისი თვისად, არამედ იყო ყოველივე მათი 'ხოგად. რად არს სარგებელი ამის ცხოვრებისა, უკეთუ არა ამით მოვივაგროთ საუკუნო იგი? იხილეთ, ვითართა სასყიდლითა მოგვიყიდნა ჩვენ ქრისტემან: თავი თვისი მისცა და პატიოსნითა სისხლითა თვისითა გვიხსნნა საწყითოდსა ამისგან ბოროტისა და აწ ჩვენ კვალად დავემონებთ თავთა ჩვენთა, ვინა-იგი ვიხსენით და უძვირესი ესე არს, რომელ საწადელცა გვიჩნს ბოროტი ესე მონება.

განვიფროთხოთ, საყვარელნი, განვაგდოთ ჩვენგან უღელ ბოროტისა მის სოფლისა მონებისა და დავემონებთ ქრისტესა, რამეთუ არა ჰელ-გვეწიფების მონებად ღმრთისა და მამონადსა. ბოროტი არს მონება მამო[A266]ნადსა: აქა – ზრუნვანი და ჭირნი და მუხ – საუკუნო სასჯელი. ხოლო მონება ქრისტესი აქაცა ტკბილ არს, საწადელ და მსგავს ანგელოსთა და მუხ – სანატრელ და დიდებულ. და ნუ იტყვი, კაცო, თუ: სიმდიდრე და საფასეთა სიმრავლე კეთილ არს და საქებელ კაცთა მიერ, ხოლო სიგლახაკე საწყინო არს და საწუნელ კაცთა. არამედ იხილენ, თუ ვინ მას შინა გამოსჩნდეს, ანუ ვინ ამას შინა: უპოვრებითა [S238] ილია იქცეირდა და ამაღლდა უცხოთა მას გზასა, ამითვე ელისე განბრწყინდა, ამითვე – იოვანე ნათლისმცემელი და ყოველნი მოციქულნი, იხილენ მოწაფენიცა სოფლისანი – ვინ არიან აქაბ, იეზაბელ, გეგზ, იუდა, კაიაფა, და ნერონ – ჰხედაუ-ა, ვინ არიან ესენი და ვინ იგინი? მსთქუას ვინმე, ვითარმედ: უპოვარებასა აქუს ჭირი, რამეთუ რადცა უკმან, არა მპოის. რად არს ესე სიტყვა, კაცო? პავლეცა არა სიყმილითა და შიმშილითა გარდაიხადნა დღენი თვისნი?

გარნა აწ [A267] განისვენებს უკუნისამდე და უფალსა ჩვენსა არა აქენდა, სადამცა თავი მიიდრიკა. იხილეთა სადა აღვიდა ქებაჲ უპოვარებისა და სიგლახაიისა? და ვის დაამოყესებს მიუშაკთა მისთა წმიდათა მათ დიდთა, და უფროსად თავადისა უფლისა მობაძავ-ქყოფს.

უკეთუმცა თქროდ და ვეცხლი და სიმდიდრე კეთილ იყო, არამცა მიეცა-ა ქრისტესა მოწაფეთადა? კე, ჭეშმარიტად! რომელმან მოუგონებელნი იგი კეთილნი მისცნა, თქროდ არამცა უხვებით მისცა-ა? გარნა არა ხოლო თუ არა მისცნა, არამედ ამცნო არა მოგებად. ამისთვის [S239] პეტრეს არა სირცხვილ უნდა სიგლახაიე, არამედ უფროსად იქადოდა და იტყოდა: „ვეცხლი და თქრო არა მაქვს ჩვენ, ხოლო რომელი მაქს, მიქცეთ შენ“ (საქ. 3.6). აწ უკუჲ პეტრე: რომელმან საქმემან ნეტარეულჲყო: აღდგინებამან მკუდრისამან, ანუ დატევებამან საფასისამან?³² თავადისა ქრისტესაგან ისწავე, რად პრქუა მან მდიდარსა მას, რომელი იძიებდა საუკუნო ცხოვრე[A268]ბასა არა პრქუა, თუ – აღადგინენ მკელობელნი, ანუ – მკუდარნი, არამედ: „განჩუიდე მონაგები შენითა და მიეც გლახაიეთა, მოუედ და შეგომიდეგ მე“ (მთ. 19.21). და კუაღად³³ პეტრე – არა პრქუა, თუ: უფალო, სახელითა შენითა განვასხამთ ეშმაკთა და ვიქმთ სასწაულთა, რამეთუ მრავალსა იქმოდეს, არამედ პრქუა: „აჲ ესერა ჩვენ დაუტევეთ ყოველი და შეგიდექით შენ, რად-მე იყოს ჩვენდა“? (მთ. 18.27); და უფალმან არა³⁴ სასწაულთა მოქმედება სანატრელჲყო, არამედ: „რომელმან დაუტეოს სახლი, გინა აგარაკი, გინა ძმანი, ანუ დაანი, ანუ მამა, ანუ დედა, ანუ ცოლი, ანუ შეილნი, ანუ ქუეყანა სახელისა ჩემისათვის, ასი წილი მიიღოს და ცხოვრება საუკუნო დაიმკვიდროს“ (მთ. 19.29).

აწ უკუჲ, საყვარელნი, ჩვენცა ესრეთ ვიქმნეთ და ყოველნი მცნებანი ქრისტესნი ღვთივშენიერი აღვასრულნეთ, რათა არა სირცხვილელ უიქმნეთ, არამედ კადნიერებით წარმოუდგეთ წინაშე საყდარსა ქრისტესსა. [A269]

კე, გვეედრები, ძმანო, მოვიგნეთ კეთილნი საქმენი მარ-

თლისა [S240] სარწმუნოებისა, თანა-ვიღვაწით⁶⁵ დამარხ-
ვად, რა-იგი გვაძცნო უფაღმან, რათა იყოს ჩვენ თანა და
ჩვენ ყოველნი მორწმუნენი მის თანა საუკუნოსა მას სა-
სუფვეველსა მადლითა და კაცთმოყვარებითა უფლისა
ჩვენისა, იესო ქრისტესითა, რომლისა არს სუფვევა, ძალი
და⁶⁶ დიდება თანადაუსაბამით მამით და ყოვლადწმიდით
სულითურთ, აწ და მარადის და უკუნითი-უკუნისამდე. ამინ.

სრულ იქმნა სადიდებლად სამებისა წმიდისა. ამინ.

[A270] ბეჭედი

ღმრთიესულიერსა ამას წერილსა ეწოდების კლიტე-
რადსა? სასუფვეველისა. ვითარ? მით, რამეთუ რომელმან
აღასრულნეს ტკბილნი ესე ღმრთიეშეგნიერნი სწავლანი,
ნამდვილვე განუხმიან მას კარნი წყალობისანი და შევალს
უოხჭნოსა დიდებასა, ვითარცა ბრძანებს უფალი: „*კეთილ-
მონათ, სახიერო და სარწმუნოთ, შეუვდ სიხარულსა უფლისა
შენისასა და მიიღე სიმართლისა იგი გვირგვინი*“ (მთ. 25,23).

და რამეთუ ესე ყოველი იოვანე ოქროპირისა თქმულთ-
აგან რჩევით შემოკრებულ არს ოქროპირისა ყოვლადშ-
გნიერთა სწავლათა მიერ, რომლისათვის წერილ არს,
ვითარმედ: უმჯობეს ვიდრემე არს, რათა მოაკლდეს მზე-
სა ნათელი თვისი, ვიდრე იოვანე ოქროპირისა სწავლათა
– დადუმებად; ხოლო უწინარეს ამისსა სხუასაცა ვისმე
